

# საბჭოეთში საშენებლო საქმე

ს.ს.ს.წ.  
ქსტსაზაფხვის  
ქრბვიწაყლი  
ქრბანო

## → შინაუწყობა ←

- ი. ვარძიელი.—დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის.
- კ. შიქელაძე.—მეზობელთა ურთიერთობის მოწესრიგების საფუძვლები საბჭოთა სამართლით.
- ს. ქავთარაძე.—პროკურორის მუშაობა და მოვალეობა.
- ს. ჯაფარიძე.—უზენაეს სასამართლოს პრაქტიკიდან.
- მ. ხერხეულიძე.—პირობითი მსჯავრი.
- ვ. გოგილაძე.—სამოსახლოების საკითხი მიწადმოწყობის დროს.
- ი. ვადაჭკორია.—სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის შესახებ.

### კრატტიკოსის უნიფორმები.

- ალ. კობერიძე—გლახურ მეურნეობაში დაქირავებულთა შრომის გამოყენების შესახებ.
- ი. კალანდაძე—ცოტა რამ სასამართლოს ხარჯების და ბაჟების აკრეფის შესახებ.
- დ. ხიხაძე—ორი საკითხი, რომელიც მოითხოვს სათანადო გამორკვევას.

### ტარაგიონოლოგიის მასალინათვის.

- პ. ქავთარაძე.—თვით მასალა.

შრომის საქმეთა სასამართლოების მუშაობა.  
იუსტისაქმის კოლეგიის დადგენილება.  
დამცველთა კოლეგიაში.  
ქრონიკა.  
კანონმდებლობის მიმოხილვა.  
ოფიციალური ნაწილი.

# № 13

ი ვ ლ ი ს ი  
1928



# 1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ი ს ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის  
ორგანიზაციული ორგანო

## „ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

**„საბჭოთა სამართალი“** ისახავს მიზნად გააქვით იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააქვით სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა, საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა ომუშავეთ საანადო მასალის მიწოდებაში, ადამ საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი კენიზმების, სემილიციზმ და სხვა სხვა სამართლის სამკვრივი მილიციის მუშაობას.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ტერმინოლოგიის მასალა, პრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანამშრომლებს შემდეგი პირობები:

ალხოვი ა., ამალღობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ. ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ურუშაძე ა., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარკიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ა. ურუშაძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.  
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაქვადი ხელისმომწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 10—51.





34(05)

ს. 13 - პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საბჭოთა საშრობელი


რედაქციის და კანტორის  
მისამართი:

თფილისი, ტრიუმფალის  
ძ. № 32  
ტელ. № 10 - 51

ხელისმძვინკის უახი:

წლიურად — 10 მან.  
6 თვით — 5 მ. 50 კ.  
3 თვით — 3 მ.  
1 ნომერი 50 კ.

№ 13



თფილისი 1928 წ.

№ 13

## დაეცვალოს მუშაკების რეორგანიზაციისათვის \*) (თეზისები)

1. იმ დროს, როცა მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საბჭოთა იუსტიციის ორგანოები ყოველნაირად ცდილობენ საპროცესო ნორმების გამარტივებას, სასამართლოში არსებულ ბიუროკრატიულ ტენდენციების აღმოფხვრას და პროლეტარული სასამართლოს მაქსიმალურად დაახლოვებას სოციალისტური მშენებლობისა და მშრომელი მასების საჭიროებასთან, — ამ დროს საბჭოთა ადვოკატურის, როგორც სასამართლო პროცესის განუყრელი ნაწილის რეორგანიზაციის საკითხი არ შეიძლება ლოდიკურად მთელი თავისი სიმწვავეით არ წამოიჭრას ჩვენს წინაშე.

2. თანამედროვე ადვოკატურის სახით სახალხო სასამართლოს სისტემაში ჩვენ დავტოვებთ თავისუფალი პროფესიის იმ პირთა ორგანიზაციას, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უფლება აქვთ იურიდიული დახმარება გაუწიონ მოსახლეობას.

3. ადვოკატურამ, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო რევოლუციის წინა დროს ორგანიზაციის ფორმები, დღემდე შეინარჩუნა მოღვაწეობის ინდივიდუალისტური ფორმა, რომლის ძირითად გამოხატულებას წარმოადგენს კერძო კაბინეტი, ხოლო იურიდიული კონსულტაცია, რომელიც ადვოკატურის მოღვაწეობის არსებით სახეს უნდა შეადგენდეს, ნამდვილად რჩება დამცველთა კოლეგიის მოღვაწეობის მხოლოდ დამატებად.

4. ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში კერძო კაპიტალისტურ ელემენტებს თანდათან სდევნის კოლექტიური ელემენტები და კოლექტიური ფორმები (არტელები, კოლექტივები და სხვ.) შეუჩერებლივ წინ უსწრებს ინდივიდუალისტურ ფორმებს, ამიტომ, დამცველთა კოლეგიის მოღვაწეობის განხილვის დროს თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ პირობების თვალსაზრისით, საჭიროა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ადვოკატურის მუშაობის არც ფორმები და არც მეთოდები არ შეეფერება ჩვენი კულტურისა და ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილებებს და რომ ამ მხრივ დამცველთა კოლეგია უკან ჩამორჩა ცხოვრებას.

5. თუ ბურჟუაზიული წყობილების კერძო კაპიტალისტური ურთიერთობა ლოდიკურად აიძულებდა ძველ

რევოლუციის წინა დროის სასამართლოს დაეცვა იმ კლიენტების კერძო-კაპიტალისტური ინტერესები, რომლებიც კარგ ჯილდოს მიმღებ „მოხერხებულ“ ადვოკატების საშუალებით ცდილობდნენ სასამართლო პროცესზე გავლენის მოხდენას, — დღეს საბჭოთა ეკონომიკისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის განვითარების პირობებში ასეთ ტენდენციებს ნიადაგი გამოეცალა და საბჭოთა ადვოკატურის წინაშე დასმულია მასების ახალ კულტურულ-უფლებრივ მოთხოვნილებებთან თავისი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეგუების ამოცანა.

6. დამცველთა კოლეგიის თანამედროვე ორგანიზაცია, რომელმაც შეინარჩუნა მუშაობის ძველი კაპიტალისტური ფორმები მუშებისა და გლეხებისათვის სასარგებლო ინტელიგენტ მუშაკებს სწყვეტს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამწყვედევს მათ საკუთარ კაბინეტებში და თავის წევრებში ანვითარებს წმინდა ინდივიდუალისტურ, საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან დაშორებულ ტენდენციებს, ხოლო ზოგიერთ „პროფესიონალებში“ — გამდიდრების მისწრაფებასაც.

7. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხურ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი ადვოკატურა და ზოგიერთი მერყევი და გამდიდრების სურვილით გატაცებული ვეკილები მშრომელთა წრეში იწვევენ მტრულ დამოკიდებულებას დამცველთა კოლეგიისადმი და ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის განწყობილებას. უმთავრესად ესევე გარემოება აფერხებს ადვოკატურის გამუშურებას, ვინაიდან ის პირნი, რომელთაც საბჭოთა უმბლესი სასწავლებლები აქვთ დამთავრებული, შეგნებულად გაურბიან დამცველის მოღვაწეობას, რადგან ეშინიათ მოსწყდნენ პროფესიონალურ ორგანიზაციებს და არ სურთ იყვნენ საბჭოთა და კულტურულ-ეკონომიურ შემოქმედების გარეშე მაყურებელნი.

8. დამცველთა კოლეგიის წევრთა შორის ვეკილების ერთ ნაწილს ჰყავს დიდი კლიენტურა, ხოლო მეორე ნაწილს — უფრო ნაკლები, ფაქტიურად მდგომარეობა ასეთია: ერთი მხრით არსებობს საკმაოდ უზრუნველყოფილ ვეკილების უმნიშვნელო რაოდენობა — „ხედავენა“, რომლის მონაპოლიას შეადგენს დიდი პროცესები, მეორე მხრით კი — გაჭირვებით მცხოვრებ საშუალო ვეკილთა უკუთი და ბოლოს — ნახევრად მშვირი „ქვედა ფენა“;

\*) საქართველოს მთავრობის დადგენილებით.



რომელიც ეკონომიურად ძლიერებისაგანაა დამოკიდებული.

9. დამცველთა კოლეგიის ორგანიზაციის კერძო-კაპიტალისტურმა ფორმამ, რომელიც არ ეგუება მოღვაწეობის საზოგადოებრივ-კოლექტიურ ფორმებს, ვერ შესძლო კოლექტიურ მუშაობის განვითარება თვით ორგანიზაციის შიგნით და ორგანიზაციისათვის, რასაც აშკარად მოწმობს: საკმაო ინიციატივის უქონლობა დამცველთა კორპორაციის კულტურულ-ეკონომიკურ გაუმჯობესების საკითხებში, პასივობა არასასურველ და ხშირად მავნე ელემენტებისაგან დამცველთა კოლეგიის გაწმენდის საქმეში და, ბოლოს, იურიდიული საზოგადოების დაშლა, რაც იმის მომასწავებელია, რომ დამცველთა კოლეგიამ ვერ გააოჩინა სამართლის ყოველდღიურ და პრაქტიკულ საკითხების კოლექტიურად განხილვის უნარი.

10. დამცველთა კოლეგიის მიერ მოსახლეობისათვის „კაზიონურად“, იძულებით, და, მაშასადამე, უფულოდ აღმოჩენილი დახმარება ვერ აღწევს თავის მიზანს, ვინაიდან კლიენტების ფასიანი დაცვა ღირსებით მნიშვნელოვნად სჭარბობს „კაზიონურ“ დაცვას, რაც ვეჭილებს მატერიალური დაინტერესებით აიხსნება. ეს გარემოება ჰქმნის კლიენტების უთანასწორო მდგომარეობას სასამართლოში და სცემს სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს მოსახლეობის განსაკუთრებით მის უღარიბეს ნაწილს—მუშებისა და გლეხების თვალში.

11. ვიღებთ რა მხედველობაში მთელი ჩვენი მოსახლეობის კულტურულ დონეს, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საჭიროა დამცველთა ინსტიტუტი თანამედროვე სასამართლო პროცესში, დამცველთა ინსტიტუტი ჯერ კიდევ უნდა დარჩეს საბჭოთა სასამართლოს მნიშვნელოვან ელემენტად.

ოღონდ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დამცველთა კოლეგიის მუშაობა მაქსიმალურად შეუთანხმდეს საბჭოთა სახელმწიფოსა და მშრომელი მასებისათვის სასარგებლო ფუნქციების შესრულებას.

ეს შესაძლებელია მხოლოდ დამც. კოლეგიის წევრების ხელახალი აღზრდით და დამცველთა კოლეგიის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მისი მუშაობის მეთოდების სათანადო შეცვლით.

12. საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე კულტურულ-ეკონომიურ განვითარებისა, მშრომელი მასების საზოგადოებრივ-უფლებრივ შეგნებისა და საბჭოთა პროლეტარულ სასამართლოს ინტერესების თვალსაზრისით, მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევის ერთადერთ ფორმად აღიარებულ უნდა იქნეს მუშაობის საზოგადო კოლექტიური მეთოდი — დამცველთა მთლიანი კოლექტივის შექმნა, რომელიც განსახლვრული წესით განაწილებს შრომას თავის წევრებს შორის.

13. მხოლოდ ასეთი მეთოდით მუშაობის დროს:

- ა) აღმოიფხვრება კლიენტებისაგან დამცველთა მატერიალური დამოკიდებულების გავლენა;
- ბ) შესაძლებელი გახდება მუშაკების ბუნებრივი თვისობრივი შერჩევა;
- გ) ადგილი აღარ ექნება ერთი დამცველის დამოკიდებულებას მეორესაგან;
- დ) შესაძლებელი გახდება დამცველთა კოლეგიის გამუშურება და უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავ-

რებულთ ფართო შესაძლებლობა მიეცემათ გამოიყენონ თავისი ძალები ამ ასპარეზზე;

ე) ამგვარად, დამცველთა ორგანიზაცია მოსახლეობის თვალში მოიპოვებს სათანადო ავტორიტეტს და ის უფლებებით გაუთანასწორდება მშრომელთა სხვა ორგანიზაციებს და

ვ) დამცველთა კოლეგიის კარები გამოკეტული იქნება ყველა შემთხვევით ელემენტებისათვის.

14. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი, რომელიც არსებულ კანონმდებლობის მიხედვით მოქმედობს, საჭიროებისდაგვარად აწყობს ადგილებზე დამცველთა კოლეგიებს, რომლებიც კოლეგიალურად მუშაობენ სამაზრო სასამართლოებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის მეთვალყურეობის ქვეშ.

მოქალაქე, რომელიც იურიდიულ დახმარებას ეძებს, მიმართავს არა ცალკე დამცველს, არამედ კოლექტივს, რომელიც სათანადო წესით ავალებს ერთ-ერთ თავის წევრს დახმარების გაწევას.

კოლექტივის თვითუფლები წევრი ხელფასს ღებულობს თავისი კვალიფიკაციის მიხედვით და მას არავითარი უშუალო მატერიალური დამოკიდებულება არა აქვს კლიენტთან.

ასეთივე ორგანიზაციები ადგილობრივ აფართოებენ მშრომელთა მოსახლეობის იურიდიულ დახმარების ქსელს და მით სწევენ თავის ავტორიტეტს და ნდობას იხვეჭენ მშრომელ მასებში.

15. დამცველთა კოლეგიის კოლექტივები მუშაობენ საკუთარი საშუალებებით. თვითანაზღაურების საფუძველზე, ორგანიზაციის ყველა ხარჯები იფარება რესპუბლიკის, ოლქების და მაზრების ცალკე კოლექტივების შემოსავლიდან.

ჩვენ არ შევხებვართ საკიოხის დეტალებს და აღვნიშნეთ მხოლოდ დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის პრინციპიალური მომენტები. იმედი გვაქვს, რომ მშრომელთა ფართო მასების აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დამცველთა კოლეგიის წევრების ფხიზელი და ობიექტიური მიდგომა და იუსტიციის მუშაკთა სათანადო ინტერესი საკითხისადმი ხელს შეუწყობს ისეთი შეხედულების შემუშავებას, რომელიც შეეფერება ახალი ცხოვრებისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის თვალსაზრისს აღძრულ საჭირობორთა საკითხებზე.

ი. ვარძიელი.

**მეზობელთა ურთიერთობის მოწესრიგების საფუძველზე საბჭოთა სამართლით\*)**

სახელმწიფოს ყოველი რეჟიმი თხოულობს მეზობელთა ურთიერთობის მოწესრიგებას. მაგრამ ამ ურთიერთობის განსახლვრას ყველა ქვეყნის სამართალი ერთნაირად არ უდგება. ამ მხრივ ჩვენ უნდა გავატაროთ გარჩევა ორ რეჟიმს შორის, სახელმწიფო და კერძო საკუთრების რეჟიმის შორის, რომლის მიხედვით მიდგომა მეზობელთა ურთიერთობის განსახლვრისადმი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძო საკუთრების რეჟიმის დროს მეზობელთა ურთიერ-

\*) დიკუსიის წესით.



თობის მოწესრიგება უფრო შორს მიდის, ვიდრე მიწაზე სახელმწიფო საკუთრების რეჟიმის დროს. ეს იმით აიხსნება, რომ იქ მეზობლური სამართლის გამოსავალი წერტილია მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტი. აქედან ცხადია, რომ იქ მეზობელთა ურთიერთობის მოწესრიგება ეხება მესაკუთრის უფლების შეზღუდვას მიწის გამოყენების სფეროში. მაგრამ ეს შეზღუდვა იქ ემყარება ისეთ ინტერესებსაც, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს საკუთრების დანიშნულებასთან. ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამართალში ჩვენ შევხვდებით ისეთ ნორმას, რომლითაც ცნობილია, მაგალ., უფლება პერესპექტივაზე\*). ამ უფლებას, ეჭვს გარეშეა, არა აქვს სოციალ-სამეურნეო დანიშნულება. მისი მოქმედება შეიძლება დაკავშირებულ იქნეს ისეთ დებულებასთან, რომელიც ჰპოულობს გამართლებას მხოლოდ კერძო მესაკუთრის ვიწრო ინტერესში. მეზობელთა ურთიერთობის მოწესრიგება საბჭოთა სამართლის თვალსაზრისით შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ მიწის მოსარგებლის უფლების გამოყენებას მის სოციალ-სამეურნეო დანიშნულებისამებრ. მიწაზე კერძო საკუთრების საშუალოდ გაუქმების შემდეგ მიწისადმი ცალკე პირის, თუ ორგანიზაციის მიმართება განისაზღვრება მიწაზე სახელმწიფო საკუთრების რეჟიმით, რითაც მიწის სარგებლობის უფლების დაცვა დაპირობებულია მისი გამოყენებით სოციალ-სამეურნეო დანიშნულების თანახმად.

იმ სფეროში, რაც შეეხება მიწის სარგებლობას უფლების სუბიექტს მოეთხოვება, რომ სარგებლობის უფლება მის მიერ იქნეს გამოყენებული მის დანიშნულებისამებრ. აქ მიწისადმი სარგებლობის სუბიექტის მიმართების არსებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ განკარგულების უფლება, რომელიც გამოიხატება გამოყენების უფლებაში, ემყარება საქვეყნო სამართლის ნორმებს, რომლითაც განისაზღვრება მიწისადმი მიმართება მიწის მოსარგებლისა მის კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. იმდენად, რამდენად მიწისადმი მოსარგებლის მიმართებაში განხორციელებული ინტერესი შეფარდებულია საქვეყნო ინტერესთან, რომლის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს მიწაზე უფლების გამოყენება, ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს კანონიერ გამოყენებათ. მაგრამ საკითხია, შეიცავს თუ არა მიწის სარგებლობის უფლების მის სოციალ-სამეურნეო დანიშნულებისამებრ გამოყენება იმ მომენტს, რომ ეს გამოყენება უნდა იქნეს შეფარდებული, შეთანხმებული მეზობლის იმ ინტერესთან, რომ მან, მეზობელმა შესძლოს თავისი სარგებლობის უფლების განხორციელება მის დანიშნულებისამებრ. აქ უნდა გავარჩიოთ მეზობლისადმი მოქმედება, რომელიც არ აძლევს მეზობელს საშუალებას გამოიყენოს საკუთარი უფლება და უფლების ისეთი გამოყენებისაგან, რომელიც ხელს უშლის მეზობლის უფლების გამოყენებას ან ზიანს აყენებს ან შეუძლია ვნება მიაყენოს მეზობლის არსებით ინტერესებს. ეჭვს გარეშეა, რომ უფლების გამოყენებას პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი მიწის მოსარგებელე შეიჭრება მეზობელი მიწის მოსარგებლის უფლების სფეროში ისე, რომ გამორიცხულია უკანასკნელის შესაძლებლობა სარგებლობის უფლების

გამოყენებისა მის დანიშნულებისამებრ. ასეთი მდგომარეობა გამოიხატავს მეზობლის სარგებლობის უფლების ისეთ დარღვევას, რომელიც თხოულობს მის აღდგენას და ზარალის ანაზღაურებას, უკეთუ უფლების დარღვევამ წარმოშვა ეს უკანასკნელი და შეიძლება წარმოსდგეს არა მარტო მეზობელ მაწის მოსარგებლის მიმართებიდან, არამედ სხვის მოქმედებიდანაც. ასე რომ ან ნიადაგზე წარმოშობილ ურთიერთობის მოწესრიგება არ გამოძინარეობს მხოლოდ მეზობელთა ურთიერთობის მოგვარების საჭიროებიდან. მეზობელთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებას მოითხოვს იმის საჭიროება, რომ მეზობელმა შესძლოს მიწის სარგებლობის უფლება განახორციელოს მის დანიშნულებისამებრ ისე, რომ მათ ხელი არ შეუშალოს ერთმანეთს ამ განხორციელებაში ან ზარალი არ მიაყენონ ერთმანეთს.

სახელმწიფო მოითხოვს რომ მოქალაქემ მინიჭებული უფლების განხორციელება ამსახუროს საქვეყნო ინტერესს, ე. ი. საწარმოო ძალთა განვითარებას. ამ უფლების ისე გამოყენება, როცა ამით ის ვნებას აყენებს მეზობლის უფლებას, ვერ ჩაითვლება უფლების გამოყენებათ მის სოციალ-სამეურნეო დანიშნულების საწინააღმდეგოდ, თუ თავისთავად უფლების გამოყენება არ ეწინააღმდეგება ამ დანიშნულებას. მიწის მოსარგებელე აგებს შენობას ისე, რომ ის ზიანს აყენებს ან შეუძლია მომავალში ზიანი მიაყენოს მეზობლის ქონებას. სარგებლობის უფლების სუბიექტის ეს მოქმედება ვერ ჩაითვლება იმის საფუძვლად, რომ ვთქვათ, რომ უფლება იყენება მის სოციალ-სამეურნეო დანიშნულების საწინააღმდეგოდ, თუ ის ახორციელებს მას ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი დანიშნულება. მეზობელს, რომელსაც ეს მოქმედება ემუქრება ზარალით ან ზარალის შესაძლებლობით, შეუძლია მიიღოს შესაფერი ღონისძიება საკუთარ ინტერესების დასაცავად. ასეთი მოქმედებით რომ ირღვევოდეს საქვეყნო ინტერესი, რომელიც მოითხოვს უფლების გამოყენებას მის დანიშნულებისამებრ, სახელმწიფო ჩაერევდა ამაში და თაოსნობას გამოიჩინდა, რათა დაცულ იქნეს ეს ინტერესი. სახელმწიფოს არა აქვს საბაბი აქ თაოსნობა გამოიჩინოს; ის აძლევს მოქალაქეს შესაძლებლობას როგორც უფლების განხორციელებისა, ისე მისი დაცვისათვის, ხოლო დაცვის პროცესში კანონიერ დახმარებას უწევს მხარეებს ნამდვილი ურთიერთობისა და სიმართლის გამორკვევაში. ასე რომ უფლების იმ მიმართულებით განხორციელება, რაც ვნებას აყენებს მეზობლის არსებით ინტერესებს, არ შეიძლება ჩაითვალოს უფლების ისეთ განხორციელებათ რაც ეწინააღმდეგება მის სოციალ-სამეურნეო დანიშნულებას, თუ უფლების განხორციელება თავისთავად არ არის განხორციელება მის სოციალ-სამეურნეო დანიშნულების საწინააღმდეგოდ.

მოყვანილი დებულებანი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ხერხი მეზობელთა ურთიერთობის განსაზღვრისადმი მიდგომისა თვითეული მიწის მოსარგებლის უფლების შინაარსის თვალსაზრისით. საბჭოთა კანონმდებლობაში ვვენ ვერ ვიპოვნით ისეთ ნორმებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ევროპიულ სახელმწიფოების სამოქალაქო სამართალში. ასეთი ნორმებიც რომ იყოს საბჭოთა სამართლის სისტემაში, მათ ადვილს ჩვენ ვერ აღმოვაჩინებთ სამოქალაქო სამართლის კოდექსში, რადგან

\*) შესახედაობის, გადახედვის უფლება.



მიწისადმი მიმართება, რომელიც შეადგენს საფუძველს მეზობელთა ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, განისაზღვრება სახელმწიფო საკუთრების რეჟიმით და მოწესრიგებულ უნდა იქნეს მიწის სამართლის ნორმების საფუძველზე.

მიწის სამართალში მეზობელთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მოცემულია ზოგადი დებულება, რომლის დაკავშირება მიწის სარგებლობის ძირითად პრინციპთან და მისი ასე განხილვა მოგვცემს ჩვენ საშუალებას ერთგვარი დასკვნა გამოვიტანოთ იმ საკითხზე, თუ რა მოცულობა აქვს მეზობლურ უფლებას და რა გარემოებებით არის დაპირობებული მისი მოქმედება.

აქ უნდა აღინიშნოს ის უდავო დებულება, რომ მეზობლური უფლების მოქმედება დაკავშირებულია იმ აკრძალვასთან, რომ მიწის მოსარგებლემ არ განახორციელოს მიწის სარგებლობის უფლება ისე, რომ ამ განხორციელებით ის ხელს უშლიდეს მეზობლის მიერ საკუთარი უფლების განხორციელებას, ან იმ მოთხოვნას, რომ მიწის მოსარგებლემ იმოქმედოს, როცა მის უმოქმედობას შეუძლია ვნება მიაყენოს მეზობლის ქონებრივ ინტერესებს. ამ დებულების გამამართლებელ ნორმას ჩვენ ვპოულობთ მიწის სამართლის 21 მუხლში, სადაც დადგენილია, რომ მიწის მოსარგებლეს არ შეუძლია თავის მიწაზე ააშენოს, მოაწყოს ან მოიმოქმედოს ისეთი რამე, რითაც დაარღვევს მეზობელ მიწის მოსარგებელთა არსებით ინტერესებს. აქ სიტყვა „მოიმოქმედოს“ გულისხმობს როგორც დადებითს, ისე უარყოფით მოქმედებას. ერთი მდგომარეობა მიწის მოსარგებლეს ავალებს იმოქმედოს, რათა მისი უმოქმედობით ზარალი არ მოუვიდეს მეზობელს, მეორე მდგომარეობა კი—თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებისაგან, რასაც შეუძლია ვნება მიაყენოს მეზობლის არსებით ინტერესებს.

აღნიშნული მუხლის დადგენილებაზე უნდა იქნეს აშენებული დებულებანი მეზობლური უფლების მოცულობის და მოქმედების ფარგლების შესახებ. თუმცა ეს დადგენილება უშუალოდ ეხება მიწის შრომით სარგებლობას, მაგრამ მასში გამოხატული პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული მეზობელთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ქალაქშიდაც. როგორც სოფელში, ისე ქალაქში მიწა მოცემული აქვთ მოქალაქეთ განსაზღვრული დანიშნულებისათვის, რომელსაც მათ უნდა ამსახურონ თავისი სარგებლობის უფლება. მიწის მოსარგებლის უფლება მიწაზე არ ხასიათდება ისეთი აბსოლიუტიზმით, რაც ახასიათებს მიწაზე საკუთრების უფლებას. საკუთრების უფლება მიწაზე განიცდის შეზღუდვებს, მაგრამ ეს შეზღუდვანი განისაზღვრებიან განსაკუთრებით არა იმ ინტერესით, რითაც განისაზღვრება მიწაზე უფლება საბჭოთა სახელმწიფოში.

იმ სფეროში, რაც შეეხება მიწის ისეთ სარგებლობას ან გამოყენებას, რომლითაც შესაძლებელია დარღვეულ იქნეს მეზობლის მიწის სარგებლობის უფლება მეზობლის ინტერესი მოითხოვს, რომ მიწის მოსარგებლემ ისე არ გამოიყენოს მიწა, რომ ამით დაარღვიოს მეზობლის არსებითი ინტერესები. მაგრამ როცა ლაბარაკია მეზობლის არსებით ინტერესებზე, ჩვენ უნდა გვქონდეს მხედველობაში მიწის მოსარგებლის არა სამეურნეო ინტერესი მხოლოდ; შეიძლება ადგილი ჰქონდეს დარღვევას მისი სხვა ინტერესისა, რომელსაც უნდა ჰქონდეს სამეურ-

ნეო ინტერესთან კავშირი. მიწის მოსარგებლეს სარგებლობის მიწაზე შენობის აგებით შეუძლია დაარღვიოს მეზობლის არსებითი ინტერესი, თუ შენობა ისე იგება, რომ სრულებით ჩრდილავს მეზობლის შენობას, რომ ეს უკანასკნელი რჩება მოკლებული მზის სხივების მოქმედებას ან დღის სინათლეს. ამ შემთხვევაში მეზობლის არსებითი ინტერესის დარღვევა იმაში გამოიხატება, რომ მეზობლის შენობა ან ოთახები, რომლებიც დაჩრდილული იქნებიან, ვერ დააკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას ან მათი გამოყენება დანიშნულებისამებრ შესაძლებელი იქნება, თუ ხელოვნური ღონისძიება იქნა მიღებული. ზოგ შემთხვევაში ასეთი მდგომარეობით შექმნილი ნაკლის გამოსწორებაც შეუძლებელი ხდება. მეზობლის შენობა ან მისი ნაწილი (ოთახები) ჰკარგავს იმ მნიშვნელობას, რაც მათ წინედ ჰქონდათ; შენობის ან მისი ნაწილის გამოყენება მის დანიშნულებისათვის შეუძლებელი ხდება ან და თუმცა შესაძლებელია, მაგრამ მავნებელია ჯანმრთელობისათვის, ბნელ და ნესტიან ოთახში ცხოვრება დიდად მავნებელია ჯანმრთელობისათვის მაშასადამე ის მავნებლობას ახდენს იმათ მოღვაწეობაზეც, ვინც განიცდის ასეთ პირობების გავლენას. აღნიშნულ მოქმედებებს განსაკუთრებული მავნებლობა მოაქვს ქალაქში, სადაც მოსახლეობა საზოგადოდ უფრო ვიწროდ სცხოვრობს, ვიდრე სოფლად, სადაც კეთილმოწყობას განსაკუთრებული, უდიდესი გავლენა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ამ მდგომარეობით აიხსნება ის, რომ ქალაქში ამშენებლობა ემორჩილება ერთგვარ წესებს, მაგრამ ამ წესებს არ შეუძლია მოგვცეს ნორმათა კომპლექსი რომლითაც მოწესრიგდება მეზობლური ურთიერთობის ყველა მხარე.

ქალაქში მიწის დანიშნულებას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სოფლად. ცალკე პირის თუ ორგანიზაციის სარგებლობის უფლების შინაარსის თვალსაზრისით რომ განვიხილოთ მიწის ნაკვეთების დანიშნულება ქალაქში და სოფლად, დავიხაზავთ, რომ გამოყენების შესაძლებლობა ქალაქში ერთ საფუძველს ეყარება, სოფელში კი სხვას. მაგრამ როგორც უნდა იყოს ეს დანიშნულება, მეზობლური ურთიერთობის თვალსაზრისით მიწის ნაკვეთების გამოყენება ქალაქში და სოფლად ერთ დივივე დებულებას უნდა ემორჩილებოდეს. როგორც ქალაქში, ისე სოფლად მიწის მოსარგებლემ არ უნდა შეასრულოს ისეთი რამ, რითაც მას შეუძლია მეზობლის არსებით ინტერესს ზიანი მიაყენოს. არსებითი ინტერესი-მათვის ზიანის მიყენებას აქვს ადგილი მაშინ, თუ მიწის მოსარგებელ ხელს უშლის თავისი მოქმედებით მეზობელ მიწის მოსარგებლეს მიწის ნაკვეთის მის დანიშნულებისამებრ გამოყენებაში ან უშუალოდ აყენებს ზიანს მის სამეურნეო ან სხვა ინტერესებს რომელიც გავლენას ახდენს მის სამეურნეო ინტერესზე. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე მეზობლის არსებით ინტერესის დარღვევასთან. ამრიგად მიწის მოსარგებლის მხრივ უნდა ჰქონდეს ადგილი მავნებელ მოქმედებას, რომ დაირღვეს მეზობლის არსებითი ინტერესი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით გაუწიოთ ანგარიში ისეთ დებულებას, რომელსაც იცავს ბურჟუაზიული სახელმწიფოების სამართალი და რომლის გამართლება უფლების სოციალ-სამეურნეო დანიშნულებით შეუძლებელია. მაშინ უნდა გაეწიოს ანგარიში მიწის მოსარგებლის



ისეთ მოთხოვნებს, რომლების საფუძველი იმალება მის კერძო ვიწრო ინტერესში და არა უფლების სოციალ-სამეურნეო დანიშნულებაში.

ამრიგად მეზობლების უფლებების მათი დანიშნულე-ბისამებრ გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ მიწის მოსარგებლის თვითიველი მოქ-მედება მის სარგებლობის მიწაზე, რომ სწორი შეხედუ-ლება გამოვიტანოთ იმაზე თუ როგორ უდგება საბჭოთა სამართალი მეზობლური ურთიერთობის მოწესრიგებას. მოკლეთ შევეხეთ შენობის აგების ერთ მხარეს. გასარჩე-ვია სხვა მხარეებიც, სადაც შესაძლებლობა მეზობლის არსებით ინტერესების დარღვევისა არ არის გამორიც-ხული. მეზობელს შეუძლია შენობის აგებას შეუდგეს ისე, რომ შენობის ნაწილი გადადის მეზობლის არეზე. აქ, ექვს გარეშეა, დარღვევაა მეზობლის ინტერესის, რამდენად უკანასკნელის შესაძლებლობა საკუთარი სარგებლობის მი-წის გამოყენებისა იზღუდება. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მიწის მოსარგებლე აგებს შენობას ისე, რომ მისი ბალკონი ან ფანჯრები გადადის მეზობლის არეზე ისე, რომ უკანასკნელს ხელს უშლის ან შეუძლია შეუშალოს საკუთარი სარგებლობის მიწის გამოყენებაში მის დანი-შნულებასამებრ. მეზობლის ინტერესები იქნებიან დარღ-ვეული მხოლოდ მაშინ, თუ იმდენად დაბლად არის გა-კეთებული ბალკონი ან ფანჯარა, რომ აღნიშნული ეფექ-ტი წარმოსდგება.

მაგრამ მიწის მოსარგებლეს შეუძლია ხელი შეუშა-ლოს მეზობელს მიწის გამოყენებაში ან ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს არა მარტო შენობის აგებით, არამედ მი-წის მის დანიშნულებისამებრ გამოყენების სხვა მიმართუ-ლებითაც. მიწის მოსარგებლეს შეუძლია თავისი სარგებ-ლობის მიწა მიჯნაზე ისე გათხაროს, რომ მეზობლის მი-წის ზედაპირს დასჭირდეს გამაგრება, რომ შესაძლებელი იქნეს მისი გამოყენება. ამ შემთხვევაში მას მოეთხოვება ან თავი შეიკავოს ასეთ მოქმედებისაგან, ან ისე გათხ-როს მიწა, რომ მან ასეთი შედეგი არ გამოიწვიოს ან და თუ ეს არ არის შესაძლებელი, ნიადაგი გაამაგროს და ამის შემდეგ შეუდგეს მიწის გათხარას. მიწის მოსარგებ-ლეს შეუძლია თავის სარგებლობის მიწაზე ისეთი მცენა-რეობა გააშენოს, რომლების ფესვები შორს მიდიან და გადადიან მეზობლის არეზე და არ აძლევენ უკანასკნე-ლის მცენარეს ზრდას და განვითარებას. შესაძლებელია, რომ მიწის მოსარგებლემ მიჯნაზე, სადაც მეზობელს ბალ-ხა აქვს, ააგოს ნაგებობა ან გააშენოს ისეთი ნარგავი, რომ ეს იმდენად დაჩრდილავს მეზობლის აღნიშნულ არეს, რომ შეუძლებლად გახდის მეზობლის მცენარის გახ-რებასა და გაზრდას. ბევრ ფორმებში შეიძლება გამოი-ხატოს მიწის მოსარგებლის მხრივ მიწის ისეთი გამოყე-ნება, რომელიც თუმცა არ სცილდება მის დანიშნულებას, მაგრამ ზიანს აყენებს მეზობლის არსებით ინტერესებს. მიწის მოსარგებლის ზოგიერთ მოქმედებათა შორის უნდა გავარჩიოთ ისეთი მოქმედებანი, რომლების შესრულება მისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, თუმცა მეზობელს ზიანს აყენებს. შექმნილი მდგომარეობა მეზობელს ამართ-ლებს, მაგრამ ვერ გაანთავისუფლებს პასუხისმგებლობისა-გან. მისი გაპართლება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ის ზარალი, რომელიც მას მოუვიდოდა მაშინ, რომ მოქ-მედება არ შესრულებინა, ბევრად მეტი იქნებოდა,

ვიდრე ის, რაც მეზობელს მოუვიდა. აქ პასუხისმგებლობა არ შეიძლება ისე შორს წავიდეს, როგორც მაშინ, თუ მდგომარეობა არ აიძულებდა მას ასეთი მოქმედება შე-სრულებინა. აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება შეიქ-ნას, მაგ., ხანძრისა და წყალდიდობის დროს. შეიძლებოდა გაგვევარძლებია ჩამოთვლა იმ მოქმედებებისა, რომლები-თაც მიწის მოსარგებლეს შეუძლია მიაყენოს ზიანი მე-ზობლის არსებით ინტერესებს, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ეს არ არის საჭირო. საკმარისი იყო ზოგიერთ მაგალი-თების მოყვანა, რომლებითაც ირკვევა ჩვენი მიდგომა მე-ზობლური ურთიერთობის მოწესრიგებისადმი, ის მიდგომა, რომელსაც მიზნით აქვს წამოაყენოს პრინციპი, დამახასია-თებელი მხოლოდ მეზობელთა ურთიერთობის მოწესრი-გების თვითიველის მათგანის საკუთარი სარგებლობის მი-წის უშუალოდ გამოყენების სფეროში.

მიწის მოსარგებლის მხრივ შეიძლება იყოს უფლე-ბის ისეთი გამოყენებაც, რომელიც გამოიხატება მეზობ-ლის მიწით ან ქონებით ისეთ სარგებლობაში, რომელიც არ ზღუდავს უკანასკნელის განკარგულების უფლებას ფართო მნიშვნელობით. მიწის მოსარგებლეს შეუძლია გამოიყენოს მეზობლის შენობის კედელი ან სხვა ნაწილი, მაგალ, მიადგას თავისი შენობა მეზობლის შენობას. ამ შემთხვევაში მეზობლის ინტერესის დარღვევა იქნება, თუ შენობის მიდგმა მისთვის საშიშროებას წარმოადგენს. აქ არის მეზობლის საკუთრებით სარგებლობა, რაც მიწის მოსარგებლეს, რომელიც სხვის ქონებით სარგებლობს, აძლევს სახსრის ერთგვარ ეკონომიას. მეზობლის კედელი რომ არ ყოფილიყო მიჯნაზე, ის იძულებული გახდებოდა უფრო ფუნდამენტალური კედელი აეგო ან შეიძლება ნია-დაგიც გაემაგრნა. თუ ტენიკურის თვალსაზრისით შენო-ბის ასეთი აგება დასაშვებია, მეზობელს არც შეუძლია პრეტენზია განაცხადოს. შესაძლებელია აგრეთვე მეზობ-ლის მიწით სარგებლობაც, მაგრამ იმისათვის, რომ ეს სარგებლობა დაკანონებულ იქნეს, საჭიროა, რომ ამას მოითხოვდეს უშუალოდ სამეურნეო ინტერესი ან მიწის მოსარგებლის ისეთი მდგომარეობა, როცა შეუძლებელი ხდება სამეურნეო ინტერესის განხორციელება, თუ მას არ ექნება მინიჭებული სხვისი მიწით სარგებლობის უფ-ლება. ამ ნიადაგზე წარმოშობილი მეზობლური ურთიერ-ობა გამოდის მიწის მოსარგებლის მხრივ საკუთარი სარ-გებლობის მიწის უშუალოდ გამოყენების ფარგლებიდან. ამიტომ მეზობლური ურთიერთობის ამ მხარის ვაშუქება შეიძლება იქნეს საგანი შემდგომი წერილისა.

კ. მიქელაძე.

### პროკურორის მუშაობა და მოვალეობა

პროკურორი დღევანდელ სინამდვილეში აღტურვი-ლია განუსაზღვრელი ნდობით და უფლებით, ის წარმოა-დგენს ხელისუფლების მთავარ ძარღვს და მის თვალყურს და ამავე დროს პროკურორი არის მშრომელი საზოგა-დობის ინტერესების დამცველი ყოველგვარი უკანონო-ბისა და ჩავრა ექსპლოატაციისაგან. პროკურორს, რო-გორც ხელისუფლების წარმომადგენელს, ევალება ზედა-მხედველობა მის სამოქმედო მასშტაბში მყოფ ყველა ორ-განოს საქმიანობისა, აგრეთვე მან უნდა აწარმოოს სას-ტიკი ბრძოლა კანონის დარღვევის წინააღმდეგ მიუხედა-



ვად იმისა, თუ ვინ დაარღვია კანონი. ამასთან ერთად XV პარტყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროკურატურის მუშაობას და აღნიშნა რევოლიუციური კანონიერების გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის პროკურატურის მუშაობის სიმძიმის მუშათა და გლეხთა ფართე მასაში გადატანა და მათთან უმეფეო მჭიდრო კავშირის დამყარება. ამრიგად უდავოა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს პროკურორის მუშაობა გაცილებით უფრო რთულია და საბასუსისმგებლო, ვიდრე ძველად. პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების ცხვრებაში სავსებით ვასატარებლად და აგრეთვე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს თავის დროზედ სწორი აღლოს აღება ყოველგვარ დანაშაულებრივ ქმედობასთან და მშრომელი საზოგადოებისათვის მავნებელ მოვლენებთან ბრძოლაში, როგორც სისხლის სამართლის წესით, ისე კულტურულ-უფლებრივ ღონისძიებით და ამასთანავე დანაშაულებრივ მოვლენების სოც-ეკონომიური მიზეზების გამოსარკვევად და მათ შესასწავლად საჭიროა: ა) პროკურატურის ხაზით მაზრაში მომუშავე ამხანაგები იყონ სათანადოთ მომზადებულნი თეორიულად და პრაქტიკულად, როგორც იურიდიულ დარგში, ისე პოლიტიკურ სფეროში, ბ) პროკურორის მუშაობა უნდა იყოს გეგმიანი და მას ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს ყველა საკითხი, თუ რა უნდა გააკეთოს საანგარიშო პერიოდში და გ) უმთავრესად პროკურორმა უნდა იცოდეს, თუ რას შეიცავს მისი მუშაობა და მოვალეობა, რასაც სამწუხაროდ დღემდის ადგილი არა აქვს. ადგილებიდან შემოსულ მასალებიდან სჩანს, რომ მაზრებში მომუშავე პროკურორების უმრავლესობას ჯერ კიდევ სავსებით არა აქვთ შეთვისებული, თუ რა უნდა გააკეთონ თავიანთ სამუშაო დარგში, მაგალითისათვის მომყავს ზოგიერთი მაზრის მუშაობის გეგმა და ანგარიში: ერთ-ერთი მაზრის პროკურორი აღნიშნავს, რომ მას ა/წ. პირველ სამუშაო კვარტალში წაუკითხავს მოხსენება **ლენანის** სამგლოვიარო საღამოზე; მეორე აღნიშნავს, რომ მას განზრახული აქვს მიიღოს აქტიური მონაწილეობა საპირველმისო დღესასწაულის ჩატარებაში; მესამე, ის რომ ხელმძღვანელობს მომღერალთა გუნდს და სხვა ბევრი ამის მსგავსი, რაც ამტკიცებს საქმისადმი ინტერესის უქონლობას, განკარგულებების, ცირკულარების და იურიდიულ სახელმძღვანელოების და ლიტერატურის სრულს უცოდინარობას. აქედან კი ნათელია, რომ პროკურატურა ასეთი ზერეფე და უსისტემო მუშაობით ვერ შესძლებს თავისი დანიშნულების გამართლებას და რევოლიუციური კანონიერების განმტკიცებას. ამის გამო ყველა პროკურორი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღებით და მაქსიმალი ენერგიით შეუდგეს ამ დიად საქმეს და გრძნობდეს სრულს პასუსისმგებლობას თავის მუშაობაში. ამასთან ერთად ზედმეტი არ იქნება, რომ ერთხელ კიდევ სანიმუშოდ აღვნიშნოთ, თუ რა უნდა გააკეთოს პროკურორმა და რაში გამოიხატება მისი მოვალეობა.

**მოკვლევის დარგში.**

1) პროკურორი სისტემატიურად უნდა ათვალერებდეს მაზრის მილიციის სამმართველოს მუშაობას, ხოლო სამილიციო რაიონების და მილიციის სადარაჯოთა დათვალერება და მათი საქმიანობის გამოკვლევა უნდა ხდებოდეს არა ნაკლებ ორი გზობისა თვეში;

2) მილიციის ორგანოების დათვალერების და მათი საქმიანობის გამოკვლევის დროს პროკურორმა უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგს საკითხებს:

ა) მოიპოვება თუ არა საბაბი სისხლის სამართლის დევნის აღსაძვრელად და მოკვლევის მოსახდენად თანახმად ს. ს. ს. კოდ. 91 მუხ.

ბ) დაცულია თუ არა მოთხოვნილება ს. ს. კოდ. 10 და 11 მ.მ. იმ საქმეების აღძვრის დროს, რომელიც გათვალისწინებულია ნაჩვენებ მუხლებში,

გ) დაცულია თუ არა მოთხოვნილება ს. ს. ს. კოდ. 96 მუხ. პ. 1 ერთის დღე-ღამის განმავლობაში გამოძიებისა და პროკურორისათვის შეტყობინების საჭიროების შესახებ იმ საქმეებზე, რომლებზედაც სავალდებულოა წინასწარი გამოძიება,

დ) დაცულია თუ არა ს. ს. ს. კოდ. 136, 138, 163 — 168 მ.მ. მოთხოვნილებანი ბრალდებულისა და მოწვეების დაკითხვისას და არის თუ არა დაკითხვის ოქმში აღნიშნული ყველა საჭირო საკითხი და ცნობა,

ე) დაცულია თუ არა სათანადო მოთხოვნილება აღმკვეთი ზომის არჩევისას თანახმად ს. ს. ს. კოდ. 143 — 161 მ.მ. და სწორია თუ არა კლასური მიდგომა ასეთი ზომის არჩევის დროს,

ვ) დაცულია თუ არა ვადა მოკვლევის წარმოებისა და წესი მის წარმართვისა თანახმად ს. ს. ს. კოდ. 105 მ.,

ზ) დაცულია თუ არა წესი გაჩხრეკის და საბუთების ამორკვევის თანახმად ს. ს. ს. კოდ. 175, 177, 183 და 184 მ.მ.,

თ) ღებულობს თუ არა მომკვლევი ორგანო ზომებს დაზარალებულის ინტერესების დასაცავად და რამდენად სრულდება ამ შემთხვევაში ს. ს. ს. კოდ. 119 — 121 მ.მ.,

ი) დაცულია თუ არა ი. ს. კომისარიატის და შ. ს. ს. კომისარიატის 12 მაისის — 26 წ. № 19 ცირკულარის მოთხოვნილება მუშგლეხკორების წერილების გამო მოკვლევის წარმოების შესახებ,

კ) აქვს თუ არა ადგილი მომკვლევი ორგანოების მხრივ სამოქალაქო საქმეებში ჩარევას,

ლ) არის თუ არა სწორი ადმინისტრაციული წესით დადებული გადასახადები,

მ) როგორ აწარმოებს ბრძოლას დანაშაულობასთან ესა თუ ის მილიციის ორგანო,

ნ) რამდენად სწორედ სწარმოებს საპატიმრო მოკვლევის ტელეფონოგრაფის და სხვა წიგნები,

ო) რა მდგომარეობაშია მილიციის ორგანოებთან არსებული საპატიმრო ადგილები და რამდენად მოწყობილია ისინი,


პ) როგორია მოპყრობა პატიმრებისადმი,

ჟ) ჰქონდა თუ არა ადგილი მოქალაქეების უკანონოდ დაპატიმრებას, ვის მიერ და რა მიზეზით,

რ) როგორ ასრულებს მილიცია თავის მოვალეობას განაჩენების სისრულეში მოყვანის და უწყებების მხრივ,

ს) როგორია მილიციის შედგენილობა, მის თანამშრომელთა ცოდნა და კვალიფიკაცია მოკვლევის დარგში და რამდენად შეგნებული აქვსთ მილიციის თანამშრომლებს თავისი მოვალეობანი,





ტ) როგორია მოპყრობა მილიციის თანამშრომლების მხრივ მუშების და გლეხებისადმი,

და უ) მილიციის ორგანოების მუშაობის დათვალეობის და გამოკვლევის შესახებ უნდა დგებოდეს სათანადო ოქმი სამ ცალად, რომელშიც უნდა იყოს აღნიშნული დრო დათვალეობისა, აღმოჩენილი დეფექტები და ამის შესახებ მიცემული წინადადებანი. ერთი ცალი ოქმისა უნდა დარჩეს დათვალეობის ორგანოს, ერთი უნდა გაეგზავნოს შემდგომი მილიციის სამმართველოს სათანადო ზომების მისაღებად დეფექტების გამოსასწორებლად და ერთიც უნდა დარჩეს პროკურორთან საზედამხედველო წარმოებაში და ხელმეორედ იმავე ორგანოს დათვალეობის დროს პროკურორმა უნდა გამოარკვიოს იქნა თუ არა გამოსწორებული წინეთ აღმოჩენილი დეფექტები, თუ არა—ვისი ან რისი მიზეზით.

**საგამომძიებლო დარგში.**

დანაშაულობასთან ბრძოლაში რომ სასურველ შედეგებს მივალწიოთ და წინასწარი გამოძიების პროცესი სასურველ დონეზე დაეყენოთ, საჭიროა რაც შეიძლება ხშირად, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ორი გზობისა თვეში ხდებოდეს საგამომძიებლო საქმეების დათვალეობა, რომლის დროს პროკურორმა არსებითად უნდა უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგ საკითხებს:

- ა) მოაზოგება თუ არა საქმეში კანონიერი საბაბი სისხლის სამართლის დევნის აღძვრისა,
- ბ) სწორედ არის თუ არა საქმე კვალიფიცირებული.

გ) არის თუ არა სწორედ არჩეული აღმკვეთი ზომა და დაცულია თუ არა ამ მხრივ ს. ს. ს. კოდ. 143—147 მ.მ. მოთხოვნა და კლასური ხაზი,

დ) არის თუ არა საქმისათვის საჭირო ექსპერტიზა,

ე) არის თუ არა გამოძიებლის მიერ მიღებული ზომები სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად თანახმად ს. ს. ს. კოდ. 121 მ.,

ვ) არის თუ არა მიღებული ზომები ქონების ვაღმალვის წინააღმდეგ ისეთი დანაშაულის საქმეებზე, რომლებსაც ეხება ქონების კონფისკაცია თანახმად ს. ს. ს. კოდ. 121 მ.,

ზ) არის თუ არა შესრულებული ყველა საგამომძიებლო მოქმედება თანახმად ს. ს. ს. კოდ. 108, 109, 110, 128, 129, 146 და 207 მ.მ.,

თ) დაცულია თუ არა ვადა წინასწარი გამოძიებისა და წესი მისი წარმართვის თანახმად ს. ს. ს. კოდ. 133, 203, 203<sup>1</sup> და 211 მ.მ.,

ი) არის თუ არა დაცული წესი გაჩხრეკისა საერთოდ და დიპლომატიური წარმომადგენლის სადგომის კერძოდ თანახმად ს. ს. ს. კოდ. 177—188 მ. მ.,

ლ) არის თუ არა საჭირო ბრალდებულის ფსიქიური მდგომარეობის გამოკვლევა და მოხდენილია თუ არა იგი,

მ) არის თუ არა სწორი გამოძიებლის მოქმედება იმ მოკვლევის გარშემო, რომლებიც მასთან შედის ს. ს. ს. კოდ. 105 მ. 3 პ. თანახმად,

ნ) როგორ აწარმოებს დანაშაულობასთან ბრძოლას გამოძიებელი, რაში გამოიხატება ის და როგორია საერთოდ მისი კლასური მადგომა საქმისადმი,

ო) არის თუ არა მიზანშეწონილი ესა თუ ის საქმე წარიმართოს საბრალმდებლო დასკვნით,

პ) აგრეთვე საგამომძიებლო საქმეების ადგილობრივ დათვალეობისას და მათი შემდეგი მსვლელობის საკითხის განხილვისას პროკურორმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საქმის სრულსა და ყოველმხრივ გამოძიებას, რომ საქმეში არ იყოს დართული ისეთი საბუთები, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვს, არ ხდებოდეს გამოწვევა, როგორც წინასწარ გამოძიებისას, აგრეთვე სასამართლოში ისეთი მოწმეებისა, რომლებმაც საქმისა არსებითი არაფერი იციან, რა გარემოებასაც დღემდე ხშირად აქვს ადგილი და რომ საქმის გამოძიება ხდებოდეს მარტივად ჩქარი ტემპით ყოველგვარი „ვოლოკიტის“ და ზედმეტი ფორმალისზმის გარეშე. ამასთან ერთად პროკურორი ვალდებულია, როდესაც რამე მასალას უგზავნის საგამომძიებელს წინასწარი გამოძიების მოსახდენათ, ამ მასალას არსებითად გაეცნოს და აღნიშნოს, როგორც კვალიფიკაცია, აგრეთვე საჭირო საგამომძიებლო მოქმედებანი და ყოველგვარი მისი წინადადება საგამომძიებლო საქმეებზე უნდა წერილობითი იყოს როგორც სამეთვალყურო წარმოებაში, აგრეთვე თვით საქმეში.

**სასამართლოს დარგში**

არანაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს პროკურორმა სასამართლოს საქმიანობას, ვინაიდან მთელი 100 პროც. სამოქალაქო საქმეებისა და 70 პროც. სისხლის სამართლის საქმეებისა უმეშვეოდ შედის სასამართლოებში და ირჩევა პროკურორის მონაწილეობის გარეშე და ამიტომ იმისათვის რომ გატარებული იქნეს ერთნაირი ხაზი ყოველგვარ დანაშაულობასთან ბრძოლაში, საჭიროა:

ა) რომ პროკურორი სისტემატიურად ეცნობოდეს სასამართლოების ყველა განაჩენს და გადაწყვეტილებას მათი სისწორის შესამოწმებლად,

ბ) პერიოდულად უნდა ათვალეობდეს სახ. სასამართლოების საქმეებს გამოსარკვევად იმისა, თუ რამდენად დროით და სწორედ ირჩევა საქმეები,

გ) განაჩენების და საქმეების დათვალეობისას უნდა მიექცეს ყურადღება, თუ რამდენად სრულდება დირექტივები და განკარგულებანი სხვადასხვა დანაშაულობრივ ქმედობის წინააღმდეგ, როგორცაა: თანამდებობრივი დანაშაული, მიწის ნასყიდობა, მკვლელობა, ყაჩაღობა, საქონლის ქურდობა, მევახშეობა და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეები,

დ) მოხსენებულ დანაშაულთა გასამართლების დროს უნდა მოეწყოს საჩვენებელი პროცესები პროკურორის და საზოგადო ბრალმდებლის მონაწილეობით,

ე) პროკურორმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სასამართლოების საჯარო სხდომებში ა. წ. 8 ივნისის № 10 ცირკულარში აღნიშნულ საქმეებზე,

ვ) პროკურორმა სამ. სამ. კოდ. 4 მუხ. უნდა გამოიყენოს ფართედ და გააძლიეროს თავისი მონაწილეობა ქვირეობლების, მოჯამაგირების, ღარიბ-ლაცაკთა ინტერესების დასაცავად,

ზ) როგორც საზედამხედველო საჩივრებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით პროკურორმა უნდა გამოითხოვოს საქმეები და განიხილოს სედაშედეგობის წესით თანახ-



მად სისხ. სამ. საპრ. კოდ. 416—428 მ. მ. და სამ. სამ. საპრ. კოდ. 251, 254 მ.მ.,

თ) სისხ. სამართლის ისეთ საქმეებზე, რომელთა სა-სამართლოში განხილვისას პროკურორი თვით ღებულობდა მონაწილეობას და სასამართლოს განაჩენი მიაჩნია უსამართლოდ ან არა კანონიერად, მან უნდა შეიტანოს პროტესტი ს. ს. ს. კოდ. 400 მუხ. წესით,

ი) უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება, რათა თავის დროზედ იქნეს აღსრულებული სასამართლოს განაჩენები და გადაწყვეტილებანი სათანადო ორგანოების მიერ,

კ) პროკურორი პერიოდულად უნდა ათვალიერებდეს საპატიმრო და გამასწორებელ სახლებს და ყურადღებას უნდა აქცევდეს საშინაო წესების დაცვას, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, შრომა-გასწორების კოდექსის სისწორით შეფარდებას, ადმინისტრაციის მიერ პატიმრებისადმი მოპყრობას და სხვა.

**საერთო ზედამხედველობის დარგში**

პროკურორმა, რომელიც სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობას უწევს ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობას, აგრეთვე ყველა სამეურნეო დაწესებულებისა, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების და ცალკე პირის მოქმედებას, განსაკუთრებული ენერგიით და სიძლიერით უნდა განახორციელოს ეს ზედამხედველობა განსამტკიცებლად რევოლუციური კანონიერებისა და მისი საქმიანობა ამ დარგში გამოიხატება შემდეგში:

ა) პროკურორი სისტემატიურად უნდა ესწრებოდეს მაზრ-აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომებს,

ბ) სათანადო კანონიერი განმარტების მიცემა რომ შესძლოს ამა თუ იმ საკითხზე პრეზიდიუმის სხდომის დროს, პროკურორმა უნდა მოაგვაროს საქმე ისე, რომ ეს წინასწარ ღებულობდეს როგორც დღის წესრიგს, აგრეთვე სავალდებულო დადგენილების, ბრძანებ ს, ცირკულარის, ხელშეკრულების და სხვა პროექტების გასაცნობად, მაგრამ თუ რამე მიზეზის გამო პროკურორი არ დაესწრო ამა თუ იმ სხდომას, მაშინ მან უნდა დაათვალიეროს სხდომის ოქმი,

გ) პროკურორმა სხდომას უნდა განუმარტოს თუ როგორ უნდა იქნეს კანონი შეფარდებული ან გაგებული ამა თუ იმ საკითხის შესახებ, და თუ სხდომა პროკურორს არ დაეთანხმება, იგი განუცხადებს სხდომას, რომ მის მიერ შეტანილი იქნება პროტესტი, რომელიც უნდა იქნეს შეტანილი რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში,

დ) პროკურორი ვალდებულია ადევნოს თვალყური, თუ რითი დამთავრდა მის მიერ შეტანილი პროტესტი,

ე) პროკურორმა უნდა მიიღოს ზომები, რათა ყოველგვარი სავალდებულო დადგენილებანი იქნეს გამოქვეყნებული და სისწორით გატარებული ცხოვრებაში,

ვ) პროკურორმა ასეთივე ზედამხედველობა უნდა გაუწიოს თემ-აღმასკომების და სასოფლო საბჭოების საქმიანობას, რისთვისაც პერიოდულად უნდა დაათვალიეროს მათი მუშაობა, სხდომების ოქმები, დადგენილებანი და სხვა,

ზ) დათვალიერების დროს უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ ირჩევა წინახედების და ტყის გაჩხვის საქმეები

და მიაქციოს ყურადღება წითელ არმიელთა საჩივრების თავის დროზედ განხილვას,

თ) პროკურორი ზედამხედველობას უწევს მაზრის აღმასკომის განყოფილებებს და ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს, სამეურნეო და საკოოპერაციო დაწესებულებას, რომელიც მის სამუშაო ფარგალში იმყოფება,

ი) ამისათვის პროკურორი სისტემატიურად უნდა ეცნობოდეს ზემოხსენებულ ორგანოთა და დაწესებულებათა მიერ გამოცემულ ყველა სახელმძღვანელო და საერთო ხასიათის ცირკულარს და განკარგულებას, რომლებსაც ის უნდა ღებულობდეს ხსენებულ ორგანოებისაგან,

კ) პერიოდულად უნდა ეცნობოდეს საწარმოო და სამეურნეო ორგანოების მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, სარევიზიო აქტებს და მათ პასივსა და აქტებს,

ლ) პროკურორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საფინანსო პოლიტიკის გატარებას, რომ სისწორით და საესებით იქნეს სასოფლო-სამეურნეო და სხვ. გადასახადები აკრეფილი,

მ) რომ გლახთა მეურნეობის განმტკიცების და სხვ. სესხების ობლიგაციების რეალიზაცია იძულებითი წესით არ ხდებოდეს,

ნ) ყურადღება უნდა მიაქციოს თვით დაბეგვრის საკითხს კანონიერებას მხრივ,

ო) უნდა გააძლიეროს რეპრესიები სოფლის ბობოლა გლეხობის მიმართ,

პ) თვალყური უნდა ადევნოს საარჩენო კომპანიების ჩატარების სასწორს,

ჟ) ზედამხედველობა უნდა გაუწიოს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის საქმეს,

რ) დრო-გამოშვებით უნდა ათვალიეროს გლეხკომების და საკრედიტო ამხ-თა საქმიანობა,

ს) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კოოპერატივების მუშაობას,

ტ) უნდა იქონიოს ზედამხედველობა სახელმწიფო და საწარმოო დაწესებულებათა და ორგანოების იური-კონსულტების საქმიანობისა და დრო-გამოშვებით უნდა მოაწყოს მათი თათბირები ყოველდღიურ პრაქტიკაში აღძრული საკითხების შესახებ და აგრეთვე კანონებს ერთნაირად განმარტებისა სწორად შეფარდებისათვის,

უ) პროკურორმა თავისი მუშაობის სიმძიმე უნდა გადაიტანოს მუშათა გლეხთა რაიონებში, რისთვისაც პერიოდულად უნდა მიმოდინდეს ამ რაიონებში — თემებსა და სოფლებში — და უშეშვოდ მართავდეს სჯა-ბაასს გლეხობასთან და მუშებთან რათა გამოარკვიოს, თუ რა აწუხებს მ-თ, რას უჩივიან, როგორია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოპყრობა მათდამი, გამართოს კითხვა-პასუხის საღამოები და ადგილობრივ უნდა მიიღოს საჩივრები და განცხადებები და იქვე უნდა გასცეს სათანადო პასუხი შეძლებისამებრ ან და შემდეგში უნდა აცნობოს საბჭოების მეშვეობით შედეგი საჩივრებისა და განცხადებების,

ფ) თვალყური უნდა ადევნოს გამოქვეყნებულ მამბილებელ ცნობებს და იმ შემთხვევაში, როდესაც მხილებული იქნება სისხ. სამ. დასასჯელი ქმედობა ან სუსტი ელემენტების ექსპლოატაცია და ჩაგვრა, თვითონ პირადად ან მომკვლვეი ორგანოების და გამოძიებლის საშუალებით უნდა შეახსენოს მოკვლევა,



ქ) ყოველგვარი დანაშაულებრივი ქმედობის და მშრომელი საზოგადოებისთვის მავნებელ მოვლენების წინააღმდეგ, როგორცაა ძველი ზნე-ჩვეულება, ადათები და სხვა, უნდა აწარმოოს ბრძოლა, როგორც სისხ. სამ. წესით, ისე კულტურულ-უფლებრივი ხაზით და აგრეთვე უნდა შეისწავლოს და გამოარკვიოს ამ მოვლენათა და ქმედობათა სოცეკონომიური მიზეზები.

**კულტურულ-უფლებრივ დარგში**

რევოლიუციური კანონიერების გამტკიცების მიზნით:

- 1) პროკურორმა უნდა მოაწყოს პერიოდული მოხსენებები მაზრის მთავარ პუნქტებში, მუშათა რაიონებში, სოფლის გლეხობაში და ყველა თათბირსა და კონფერენციას უნდა შეემდეგ თემებზე: ა) რევოლიუციური კანონიერება, ბ) საბჭოთა სამართალი, გ) პროკურორის უფლებამოვალეობა ძველად და ახლად, დ) სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის უფლება და მნიშვნელობა, ე) ადგილობრივი ყოფაცხოვრების საჭირობოროტო მოვლენები და სხ.;
- 2) უნდა მოაწყოს თათბირები მუშაკორექციონათა ორგანიზაციებთან საქმიანი კავშირის დაკვირვის მიზნით,
- 3) მოაწყოს მაზრის მთავარ პუნქტებში საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინსტიტუტები და გამოიყენოს ისინი საზოგადოებრივ მნიშვნელობის პროცესებში,
- 4) მოაწყოს ყველა სოფლის ქობ-სამკითხველოებთან იურიდიული დახმარების ბიუროები, რომელთა მუშაობის გამოკვლევა და ხელმძღვანელობა პერიოდულად უნდა სწარმოებდეს,
- 5) მოაწყოს იურიდიული თვითგანვითარების წრეები ი. ს. კომისარიატის მომუშავეთა, სახალხო მსაჯულთა, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, ნოტართა, სასამ. აღმასრულებელთა, და იურიდიული დახმარების ბიუროთა მონაწილეობით, სადაც მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ი. ს. კომისარიატის ა. წ. 19/1 № 1129 ცირკულარის მიხედვით,

6) უნდა მოაწყოს თავისი ხელმძღვანელობით ცალკე წრე მილიციის ორგანოების მომუშავეთა მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სხვა.  
ზემოაღნიშნული საკითხები მარტო სანიმუშო ნუსხას წარმოადგენს, და თვითიური პროკურორის მოვალეობას შეადგენს განავითაროს იგი და შეაფასოს თავის რაიონის მუშაობის პირობების მიხედვით.

**ბ. ქავთარაძე.**

**უზენაეს სასამართლოს პრაქტიკიდან**

(სადავო კითხვები).

II.

1926 წელს ამერიკელთა სააქციო საზოგადოებამ — „ქართულმა მარგანეცმა“ — მიიწვია გ. ტყემალაძე, როგორც სპეციალისტი-იურისტი, ორი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტების გამოსამუშავებლად. გასამარჯვლო ამ სამუშაოს შესრულებისათვის ივლისისხმებოდა თავის თავად, მაგრამ რაოდენობის შესახებ მოლაპარაკება არა ჰქონიათ. ტყემალაძემ იმუშავა ორი ცვლის განმავლობაში და შეასრულა დაკისრებული დავალება. ამის შემდეგ „ქართული მარგანეცის“ წარმომადგენლებმა შეადგინა ტყემალაძეს ჯილდო 700 მანეთი, მაგრამ ეს ტყა-

ნასკნელი არ დასთანხმდა და აღძრა სასამართლოში საკმე. ტფილისის საპროკურორ სასამართლომ დაკითხა მოწმეები, გამოიწვია ექსპერტებიც და სცნო, რომ ტყემალაძეს დაუხარჯავს არა მარტო ორი კვირის შრომა ხელშეკრულებების დამუშავებისათვის, არამედ ვაცილებით მეტი, თუ მხედველობაში მიღებული იქნება ის, რომ აღნიშნული მუშაობა, როგორც ფაქტიზი სპეციალური დარგის საქმე მოითხოვს წინასწარ მომზადებას. ამიტომ სასამართლომ, ექსპერტის დასკვნის თანხმად, სამართლიანად მიიჩნია მიესაჯა ტყემალაძისათვის 2000 მანეთი.

„ქართულმა მარგანეცმა“ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში, მაგრამ აქაც გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა. საქმე გადავიდა უზენაეს სასამართლოს პლენუმში, რომელმაც ა. წ. აპრილის 3-ს განაპრტა:

„მოსარჩლეს უმუშავნია „ქართულ მარგანეცთან“ ორი კვირის განმავლობაში, ხოლო მხარეთა შორის მუშაობის ჯილდოს რაოდენობაზე წინასწარი შეთანხმება არ მომხდარა. შრომის კანონების მიხედვით კვალიფიციური მუშაკების განაკვეთის რაოდენობა არ აღემატება თვეში 350 (360?) მანეთს. ამიტომ მოსარჩლე ტყემალაძის ორი კვირის განმავლობაში შრომის ჯილდო უნდა განისაზღვროს 175 მან. რაოდენობით“.

ამ მოსაზრებით პლენუმმა გააუქმა უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიის დადგენილება და სამაზრო სასამართლოს მიერ ტყემალაძის სასარგებლოდ მისჯილი თანხა — 2000 მან. — შეამცირა 175 მანეთამდე.

ამგვარად, ერთად ერთი საფუძველი, რომლის მიხედვით პლენუმმა შესცვალა 1-ლი ინსტანციის გადაწყვეტილება, ყოფილა ის, რომ „შრომის კანონების მიხედვით კვალიფიციური მუშაკების განაკვეთის რაოდენობა არ აღემატება თვეში 350 მანეთს“.

არის თუ არა ეს სწორი? არა, არ არის. ჯერ ერთი ის, რომ კანონის ძალათ სპეციალისტის ხელფასის განაკვეთი შეიძლება იქნეს 360 მანეთიც, 500 მანეთიც და კიდევ მეტიც (სსრ კავშირის კან. კრებ., 1928 წ., № 26, მუხ. 236).

მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ განაკვეთის მაქსიმუმი დაწესებულია შრომის კანონებით მხოლოდ და მხოლოდ ისეთ სპეციალისტებისათვის, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებაში ან საწარმოში, კოლპერატულ ორგანიზაციაში და შერეულ სააქციო საზოგადოებაში, ე. ი. ისეთ სააქციო საზოგადოებაში, რომლის ძირითადი თანხის ნახევარი ან მეტი არის სახელმწიფო კაპიტალი (პოსტ. СТО Союза ССР от 2 ноября 23 г.—Вестн. ЦИК, СНК и СТО ССР 23 г. № 8, ст. 260). სახელმწიფოს არც შეუძლია სხვანაირად მოიქცეს: ის თანხა რომელიც მას სჭირია საკუთარი სპეციალისტების არმიისათვის, მინ უნდა შეუფარდოს თავის ეკონომიურ შესაძლებლობას და მხოლოდ ამიტომ არის იძულებული განსაზღვროს ხელფასის მაქსიმუმი. მაგრამ ეს კანონი არავითარ შემთხვევაში არ შეეხება კერძო საწარმოს. პირიქით კერძო საწარმოსათვის შრომის კანონები განსაზღვრავს ხელფასის მხოლოდ მინიმუმს, რომლის ნაკლებს იგი ვერ მისცემს მუშა-მოსამსახურებს



ხოლო რამდენად ამაზე მეტს მისცემს, იმდენად ეს უკეთესია მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსათვის.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში, როცა ტყემალაძეს საქმე ჰქონდა ამერიკელთა არხი-კაპიტალისტურ და არხი-მილიონურ კერძო საწარმოსთან, ტყემალაძის შრომის გასამრჯელოს საკითხის გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო შეფარდებული არა შრომის კანონებით განსაზღვრულ მაქსიმუმთან, არამედ სულ სხვა პირობებთან. „ქართულ მარგანეცში“ მოსამსახურე სპეციალისტები იღებენ თვეში 1000 მან., 2000 მან. და კიდევ მეტს. სხვათა შორის, საქმეში ყოფილა წარდგენილი ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ მის იურისკონსულტს ჰქონდა წელიწადში 4000 ამერიკული დოლარი, რაც, ჩვენ ფულზე ოფიციალური კურსით, უდრის 8000 მან. საქმიდან სჩანს ისიც, რომ თვით „ქართულ მარგანეცს“ უცვნიან სამართლიანად შეეძლია ტყემალაძისათვის შესრულებულ სამუშაოს ჯილდო 700 მანეთი და სრულებით გაუგებარია, რატომ მიუსაჯა პლენუმმა ამაზე ნაკლები მაინც.

რაკი საქმისათვის კანონით დაწესებული მაქსიმუმი შესაფარდებელი არ იყო, აქედან გამომდინარეობს მეორე შეცდომა: საქმის ფაქტიური გარემოების გამოკვლევა, ამა თუ იმ სადავო შემთხვევის განსაკუთრებული პირობების შეფასება და აქედან დასკვნის გამოტანა ეკუთვნის მხოლოდ 1-ლი ინსტანციის სასამართლოს.

საკასაციო ინსტანციის უფლება აქვს მართოდ-მართო შეამოწმოს 1-ლი ინსტანციის გადაწყვეტილების იურიდიული სისწორე და ისიც იმ ფაქტიური სურათის თვალსაზრისით, რომელიც მოცემულია 1-ლი ინსტანციის გადაწყვეტილებაში (საპროც. კოდ., მუხ. 237). ამ შემთხვევაში ტფილისის სამაზრო სასამართლომ გამოიკვლია საქმის ფაქტიური მხარე, დაკითხა მოწმეებს, მოისმინა ექსპერტების დასკვნა, შეაფასა ყველა მასალა და დაადგინა იმ აზრს, რომ ტყემალაძისათვის მისაცემი გასამრჯელო უნდა განისაზღვროს 2000 მანეთის რაოდენობით. ეს არის ფაქტიური ხასიათის დასკვნა, რომლის შემოწმება და შეცვლა უზენაეს სასამართლოს არ შეეძლო.

III.

ვლად. ბიბილაშვილმა იჩივლა ქუთაისის სასამართლოში: წისკვილი მქონდა წყალწითელაზე, მაგრამ უზრუნველდებოდა და მისმა ამხანაგებმა ჩემს ქვეით, 300 საყენის დაშორებით, გააკეთეს ახალი წისკვილი ისე, რომ წყალმა შეტბორა, ჩემი წისკვილი დასილა და გამიჩერაო. ამიტომ ითხოვა ზარალის, დაკარგული შემოსავლის, ანაზღაურება. სასამართლომ დაკითხა მოწმეებს, მოახდინა ადგილობრივი დათვალიერება ექსპერტების მონაწილეობით და დაადგინა იმ დასკვნას, რომ მართლაც ქვედა წისკვილი ყოფილა მიზეზი ბიბილაშვილის წისკვილის წახდენის, და მიუსაჯა ბიბილაშვილს 6000 მანეთამდე.

საქმე გადავიდა უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში, რომელმაც განიხილა იგი ა. წ. 14 მაისს და სცნო, რომ ბიბილაშვილის წისკვილის დასილების ბრალი უნდა მიეწეროს ორივე მხარეს. ამიტომ უზენაესმა სასამართლომ გაანახევრა ქუთაისის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი თანხა და მიუსაჯა ბიბილაშვილს 3000 მანეთამდე.

ამნაირად უზენაესმა სასამართლომ სხვანაირად შეაფასა საქმის ფაქტიური მასალა, ვიდრე 1-ლი ინსტანციის სასამართლომ და გამოიტანა იქიდან სხვა დასკვნა, ვიდრე იმავე 1-მა ინსტანციამ.

არის თუ არა ეს სწორი?

არა, არ არის. აქსიომად უნდა მივიღოთ, რომ, როგორც უკვე ზევით იყო მოხსენებული, საქმის ფაქტიური მასალის შეფასება და აქედან დასკვნის გამოტანა ფაქტიური გარემოების შესახებ მინდობილი აქვს კანონით მხოლოდ 1-ლ ინსტანციას და არა საკასაციო ორგანოს. ბ. ფურცხვანიძის აზრი, რომ საკასაციო ინსტანციამ, ნაწილობრივ მაინც, უნდა განახორციელოს სააპელაციო ინსტანციის ფუნქციები, ე. ი. არსებით მხარესაც უნდა შეეხოსო (იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 11) უნდა ჩაითვალოს ყოვლად შეუწყნარებელ აზრად, რაზედაც ცალკე გვექნება ლაპარაკი. შესაძლებელია უზენაესი სასამართლო წააწყდა საქმეში ისეთ მნიშვნელოვან საბუთებს, რომლებიც 1-ლ ინსტანციას გამოორჩა მხედველობიდან და რომლებზედაც რომ შეჩერებულიყო, შეიძლება, სულ სხვა დასკვნას გამოიტანდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მას უნდა გაეუქმებინოს 1-ლი ინსტანციის გადაწყვეტილება და საქმე დაებრუნებინა მისთვისვე ხელახლა განსახილველად. ამის შემდეგ 1-ლ ინსტანციას შეეძლო ხელახლა გარჩევის დროს დარწმუნებულიყო, რომ სულ მთლად ბიბილაშვილის ბრალი იყო მისი წისკვილის გაჩერება, ან მოპასუხეების ბრალი იყო, ან ორივე მხარის. ეს, ვიმეორებთ, მხოლოდ მის ფუნქციას შეადგენს.

შესაძლებელია უზენაესმა სასამართლომ ეს სისწრაფისათვის ქნა, მაგრამ კანონის ძირითადი პრინციპები არ უნდა შეეწიროს სისწრაფის მოსაზრებას.

ს. ჯაფარიძე.

პირობითი მსჯავრი\*)

საბჭოთა კანონმდებლობაში პირობითი მსჯავრის შემოღება ისეთი ნაბიჯია, რომელიც ამ კანონმდებლობაში ამ მხრივაც რევოლიუციის მოხდენას წარმოადგენს.

პირველად პირობითი მსჯავრზე აზრი ჩაისახა ინგლისისა და ჩრდილო ამერიკის ზოგიერთი შტატების სამართალში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მხოლოდ კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ამერიკის ერთ შტატში — მასაჩუსეტსში — 1869 წელს, მერე ინგლისში — 1879 წ. და შემდეგ სხვაგან, — ასე რომ 1914 წელს პირობითი მსჯავრი სხვადასხვა სახით შემოღებული იყო 110 დამოუკიდებელსა და ავტონომიურ სახელმწიფოში (А. Пионтковский - Советское уголовное право, ტ. I, გამოც. 1928 წ., გვ. 297), \*\*) ხოლო მეფის რუსეთი, როგორც სახელმწიფო, რომლისთვისაც მსჯავრი დამნაშავეს გასასწორებლად კი არ იყო შემოღებული, არამედ მას მიზნად

\*) დისკუსიის წესით.

\*\*) შემოხსენებული თარიღები ალბად ეხება საერთო კანონმდებლობას, რადგან პროფ. პოზნიშევის გამოკვლევით — Ученник уголовного права, 1923 წ. გვ. 278, პირობითი მსჯავრის ბოსტონში და მთელ მასაჩუსეტსში სრულწლოვანთათვის შემოღება 1878 და 1880 წლებით არის დათარიღებული.



ქონდა ფიზიკური ტანჯვის მიყენება, დამნაშავეის ადამიანური ღირსების დამცილება და ბოროტი შურისძიება, (ალსანიშნავია, რომ ასეთი ტენდენციები დღეს უაღრესად არის განვითარებული ისეთ „განათლებულ“ სახელმწიფოებში, სადაც კანონმდებლობაში პირობითი მსჯავრიც უწერიათ), მოექცა ისეთ სახელმწიფოთა მცირე ჯგუფში, რომელსაც პირობითი მსჯავრი არა სწამდათ.

ჩვენი კოდექსით პირობითი მსჯავრი არის ისეთი ღონისძიება, რომლითაც სასამართლოს შეუძლიან დამნაშავე მსჯავრის დადების შემდეგ გაანთავისუფლოს (დატუსალებისა ან იძულებითი მუშაობისაგან) იმ პირობით, რომ მან განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახალი, არა ნაკლებ მძიმე, დანაშაული არ ჩაიდინოს... ასეთი ღონისძიებით ჩვენმა კანონმდებლობამ სანაქებო შედეგები მოგვცა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს ღონისძიება მიზანს ვერ აღწევს, და უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთი რამ ხდება არა კანონის უფარვისობით, არამედ ამ კანონის აღმასრულებელ ზოგი მოსამართლის მიზებით.

რად ხდება ასე?

ს. ს. კოდექსი პირდაპირ სვამს კითხვას: როგორი ბრალდებულისათვის შეიძლება პირობითი მსჯავრის შეფარდება? და იქვე (50 მ.) გვაქვს პასუხი: თუ მსჯავრდებული საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებას არ წარმოადგენს (1925 წლის რედაქციით კი—თუ საზოგადოებრივად საფრთხეს არ წარმოადგენს). ასეთი რედაქციით სასამართლოს გაშლილი აქვს ვრცელი ასპარეზი: ყოველი საქმის განხილვისას იგი ითვალისწინებს დამნაშავეის პიროვნების ყოველ მხარეს—ვინ არის იგი დღეს, რას წარმოადგენდა წარსულში, როგორია მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სახე, შეგნებულია, თუ შეუგნებელი, პირველად არის დამნაშავეის სკამზე, თუ ამ სკამის ხშირი სტუმარია და სხვა, და მხოლოდ ამის მიხედვით გამოაქვს დასკვნა მისი საზოგადოებრივად საშიშროების შესახებ. და რამდენადაც ჩვენი სასამართლოს ესა თუ ის შედეგნილობა სოციალისტურად შეგნებულია იმდენად ამ საკითხის გადაჭრაც მისთვის ვადვილებულია.

მაგრამ მე მინდა ჩვენი სასამართლოების ყურადღება მივაპყრო შემდეგ საკითხს: პირობითი მსჯავრის დასადადებად საკმარისია თუ არა ბრალდებულის თუნდაც ყოველგვარი ღირსება, თუ იგი თავის დანაშაულს არა გრძნობს?—ე. ი. წარმოადგენს თუ არა საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებას ისეთი მსჯავრდებული რომლის სხვა ღირსებებს თან არ ახლავს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეგრძნობა?..

მე ვფიქრობ, რომ არავითარ შემთხვევაში არ კმარა პირობითი მსჯავრისათვის სხვა ღირსებანი, თუ თვით დამნაშავე თავის პირად მოქალაქობრივობას მოკლებულია. მართლაც და როგორ შეიძლება ასეთი შეღავათი იმისთვის, ვინც თუმცა ღარიბია, უსწავლეობა, წარსულშიც არაფერი დაუშავებია, დღესაც შემთხვევითი ბრალდებულია, მაგრამ ამჟამად, თავის დანაშაულს არა გრძნობს, და გამოუსწორებლობის შთაბეჭდილებასა სტოვებს. აქ არ შეიძლება მისი საქციელის უგუნურობით გამართლება, რადგან სასამართლოში ასე თავის დამტკიცებელი ყოველგვარი სინდისიერების გარეშე სდგას. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ პირობითი მსჯავრი დაედოს

ყველა იმას, ვინც დანაშაულს აღიარებს, არამედ დანაშაულის გულწრფელი აღიარება ერთი აუცილებელი პირობათაგანი უნდა იყოს დამნაშავეისათვის პირობითი მსჯავრის შესაფარდებლად, თუ ეს არ იქნება, დამნაშავეის გაფრთხილება-გამოცდაზე ფიქრიც კი ამაოა... შეიძლება ვინმემ სთქვას: თუ არ გამოსწორდება, თვითონ იზარალებს, დანაშაულის განმეორების შემთხვევაში ორივე მსჯავრს მოიხდისო, მაგრამ ეს ლოლიკა მისაღებია პიროვნების დასჯა-წამების მიზნით გატაცებული კანონმდებლისათვის, საბჭოთა კანონმდებლობას კი გამოსწორებისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრის შექმნის მიზნები ახასიათებს.

არის ხოლმე შემთხვევები პირობითი მსჯავრის დადგენისა ისეთ ბრალდებულთათვის, რომლებიც დანაშაულს ურცხვად ჰფარავენ. ამ დროს ხალხი აღშფოთებულია, განაჩენი საჯაროდ გამოცხადების მიზანს ვერ აღწევს, ხოლო ბრალდებულნი კი ბოროტი სიამაყით სტოვებენ სხდომის დარბაზს. მაგრამ უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს წინაშე თავდახრილი, დანაშაულის გულწრფელად მომნანიებელი თრთოლვით ისმენს სასამართლოს პირობით მსჯავრს, რმთაც თავისი ქმედობის დაუშვებლობაზე უფრო რწმუნდება, დანაშაულის ჩადენის საათსა სწყყევლის, სხდომის დახურვამდე სასამართლოს მადლობას უხდის და თავის ირგვლივ მყოფთ ნამდვილ პირობას აძლევს: ცუდს აღარაფერს ჩავიდნო. და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში მისი მთელი სხეულის ყოველ კუნთულში, მის სულში აუცილებელი გარდატეხა ხდება და გამოსაცდელი ვადის განვლის შემდეგ პატიოსან მოქალაქედ უბრუნდება საზოგადოებას.

მის. ხერხეულიძე.

### სამოსახლოების საკითხი მიწადმოქმობის დროს\*)

ხშირად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში სამოსახლოს ზედაკრავს გარემოც, რომელშიც არის ბალი, ვენახი, კარზე ტყე, და სახნავ-სათესიც. თუმცა მეურნეობისათვის ასეთი წყობა მიწებისა საუკეთესოა, მაგრამ მიწის კოდექსის 83 მუხლი მაინც მოითხოვს, რომ როცა სოფელში სამოსახლოების სიფიწროვეა, ასეთი გავრთიანებული მეურნეობის პატრონს ჩამოერთვას არა კულტურულად დამუშავებული ნაწილი მის გარემოდან (სახნავ-სათიბი, საბალახო, ბუჩქნარი) და გადაირიცხოს ფონდში სამოსახლოებათ გადასაცემად ისეთებზე, ვისაც სამოსახლო არა აქვს. ეს დებულება სრულიად უცხო იყო რუსეთის მიწის კოდექსისათვის, მაგრამ გასულ წელს იქაც შემოიღეს ასეთი წესი, რადგან სამოსახლოების საკითხი იქაც თავსატეხ საგნათ არის გამხდარი. რომელიმე შეძლებულ მეურნეს უჭირავს დიდი ზომის საუკეთესო სამოსახლო მიწა და ხმარობს შას არა მარტო სამოსახლოდ, სხვა სახმარ მიწადაც, იმავე დროს კი მისი მეზობელი 50-100 კვ. საჟენზე არის მოკეცილი და შევიწროვებული. მეორეს მხრით სამოსახლოების დაქუცმაცებისა და და უხერხულ პატარა-პატარა ნაკვეთებათ გადაქცევის წი-

\*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 12.



ნაღმდევაც საქიროა ბრძოლა. ამ მიზნით მიწის კოდექსის მე-84 მუხლი სოფლის მეურნეთ უკრძალავს 300 კვ. საყენზე ნაკლებ სამოსახლო ნაკვეთზე სახლის აგებას ან ძველი სახლის განახლებას ხოლო არა სოფლის მეურნის ამის ნება აქვს, რადგან სხვა მიწა მას არ აქვს და ვერც მიიღებს. მაგრამ ეს დებულება, თავის თავად სრულიად მიზან-შეწონილი, იშვიათად ტარდება ცხოვრებაში, რადგან სამოსახლო ადგილების უქონლობის გამო ასეთი აკრძალვა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი რჩება: კაცს სახლი დაეწვა, ან ძმები გაიყარნენ და ახალ სამოსახლოს ვერ პოულობენ; რა ძალა გააჩერებს მათ, რომ სახლი არ განაახლონ ან განაყარონ არ აიშენონ სახლი, თუნდაც მათი სამოსახლო 50 კვ. საყენს არ აღემატებოდეს? რადგან ეს მუხლი მიწის კოდექსისა დეკლარაციის მუხლად რჩება და მისი ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია, ამიტომ უკვე შემუშავებულია პროექტი ამ ნორმის (300 კვ. საყ.) შემცირებისა 150 კვ. საყენამდე. არ არის კარგი სამოსახლო ნორმის ასეთი შემცირება, მაგრამ გაჭირვება ყველაფერს შვება.

კოდექსის 85 მუხლის თანახმად „სოფლის მცხოვრებთ შეუძლიანთ ითხოვონ სოფლის ახალ გეგმაზე მოწყობა, ან სხვა ადგილზე გადატანა“. ამ უმად ეს დებულება უკვე მოძველებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან არამც თუ სოფელს შეუძლია მოითხოვოს ახალ გეგმაზე გადასვლა, პირიქით სახელმწიფო თითონ იღებს ინიციატივას თავის თავზე და იძულებასაც მიმართავს, რომ სოფლების უმცირესი წყობა მოსპობს და სოფელი ჩააყენოს ადამიანური არსებობის პირობებში. არის პროექტი, რომლის ძალითაც მთელმა სოფელმაც რომ უარი სთქვას გეგმაზე გადასვლაზე, ეს გეგმა მაინც უნდა შესდგეს, ეს უნდა მიეცეს სახელმძღვანელოდ სოფლის კეთილ მომწყობ საგანგებო კომისიას, რომელმაც ის უნდა განახორციელოს თუ ერთდროულად არა, ნაწილ ნაწილად მაინც და თანდათანობით. შეიძლება ამისათვის მოეწყოს საკრედიტო დაწესებულებები, რაც უფრო გაადვილებს და წააქეზების სოფლებების გეგმაზე გადასვლას. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სანიმუშო სოფლების მოწყობას მთავარ რაიონებში.

მიწის კოდექსის 140 მუხლის თანახმად სამოსახლოების მოწყობის დროს უმიწა-წყლოებს და მცირე სამოსახლოს მქონეთ, ე. ი. ვისაც 300 კვ. საყენზე ნაკლები სამოსახლოები აქვს, სამოსახლო უნდა მიეცეთ ზომით 300-600 კვ. საყენამდე ან სოფელში ჩამორთმეულ მიწებიდან ან სოფლის გარშემო მდებარე მიწებიდან და კალოებიდან. ამ კანონით ორგანიზაცია ბრძოლაა გამოცხადებული: სოფლის ბობოლებს, რომელთაც უმთავრესად ეკუთვნით „სოფლის გარშემო მდებარე მიწები“ და კალოების წინააღმდეგ. ამ კანონის მოთხოვნის შესრულება იმ დროს, როცა ძალაშია იმავე კოდექსის მე-19 მუხლი, რომლითაც ყველა მიწის მოსარგებლეს უფლება აქვს მიწის ნაკვეთების არჩევისა მისი მიწებიდან შეუძლებელი ხდება. ჩვენ თუ გვინდა ამ (140) მუხლის მოთხოვნის შესრულება, უნდა გაუქმდეს მე 19 მუხლის დებულება მიწის ნაკვეთების არჩევის შესახებ.

ამ წინააღმდეგობის გამოსწორებას თითქოს რამდენიმედ ცდილობს მიწის კოდექსის 141 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ სოფლის გაფართოება 140 მუხლის თა-


ნახმად შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოისურვებს სოფლის მეურნეთა ორი მესამედით. მაგრამ აქაც წინააღმდეგობა აშკარაა: ორში ერთი ან ორი მესამედი ან მიწების არჩევის უფლება, ორივე ერთად შეუძლებელია. ასეთია მოკლეთ ჩვენი მიწის კოდექსის მიდგომა სამოსახლო ადგილების საკითხისადმი და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი სოფლის მოსახლეობა სამოსახლოების ასეთი სიცივეროვისა და უხერხულ ფორმების გამო, რადგან მიწის გაცვლა-გაპოცვლის საკითხი ჩვენში მეტათ გაძნელებულია. შემჩნეულია, რომ ამ გაცვლაში ხშირად იმალება მიწის გაყიდვა სართის მიცემის სახით. მიწის კოდექსის 118 მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად მიწის გაცვლა-გაპოცვლა შეიძლება მხოლოდ მიწათ მოწყობისა, კომლის გაყრის და ძირითადი საადგილ-მამულო რეგისტრაციის დროს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კომლის გაყრის დროს მიწების გაცვლას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გაუყრელი კომლის მიწები კომლის წევრების საერთო სარგებლობაშია და გაყრის დროს განაყარონ შეუძლიანთ ნებაყოფლობით გაინაწილონ ნაკვეთები ისე, როგორც სურთ, აქ გაცვლა არაფერ შუაშია. გვრჩება მიწების გაცვლის შესაძლებლობა მხოლოდ მიწათ-მოწყობის და ძირითადი საადგილ მამულო რეგისტრაციის დროს. ერთი-და მეორეც ჩვენში ძალიან იგვიანებენ, რადგან რესპუბლიკის 4776 სოფელში ასეთი მუშაობა დღემდე, ე. ი. 6 წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ასეულ სოფელშია ჩატარებული. რამდენ ხანს უნდა უტადოს მიწათ მოწყობას ან საადგილ-მამულო რეგისტრაციას იმ გაჭირვებულმა მოსახლემ, რომელსაც მეწყერი, წყალი ან სხვა სტიქია უნგრევს სამოსახლოს და ემუქრება განადგურებას. ასეთი შემთხვევები კი ჩვენი ქვეყნის ტოპოგრაფიულ და ჰავის პირობებში ხშირია.

ამ შემთხვევაში სრულიად სადათ უდგება საკითხს რუსეთის პრაქტიკა. რ. ს. ფ. ს. რ. მიწსახეობის განმარტებით მიწების მოცვლა შეიძლება ყოველ დროს ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლას ქვეშ, უკეთუ ხელისუფლება დარწმუნდება იმაში, რომ მიწების გაცვლას სარჩულად არ უდევს მიწის ყიდვა-გაყიდვა და როცა მოცვლა მიზანშეწონილია მეურნეობის თვალსაზრისით ორივე მხარისათვის, ან როცა მოცვლა აუცილებელია რაიმე გარდაუვალი საპატიო მიზეზის გამო. საქიროა ჩვენც შემოვიღოთ ეს წესი. უამისოდ ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას მიწების მოცვლას გაავადებთ კარში, მაგრამ ის ფანჯრიდან ისევ შემოვა.

დღემდე მოსახლეობის მოწყობა-მოწესრიგების საქმე მკიდროთ არის დაკავშირებული მიწათმოწყობასთან და რამდენადაც ეს უკანასკნელი ნელი ნაბიჯით მიდის, ერთი ათჯერ უფრო მძიმეთ მიდის სამოსახლეობის მოწყობის საქმეც. მიწათმოწყობილ სოფლებში მთლიანად და ნაწილობრივ მოწესრიგებული და გეგმაზე გადაყვანილი, როგორც ზევით ვთქვით, მხოლოდ 9.5 პროც. მდგომარეობა კი მოითხოვს, რომ სოფლის დასახლებულ ადგილების გეგმაზე მოწყობა არ იქნეს მიჯაჭვული მიწათმოწყობაზე. ამ საქმეს უნდა ჩაუდგეს სათავეში საზოგადოებრივი ინიციატივა და დააჩქაროს მისი განხორციელება.





ყველა სოფელში, სადაც-კი ასეთ საჭიროებას ხედავს ადგილობრივ მომუშავე ახალთაობა, მან უნდა აიღოს ინიციატივა და მტკიცე ნებისყოფით თანდათანობით გაჩაჩხოს საქმე. ცალკე სოფლების და რაიონებისაგან მოძრაობა მიიღებს ფართო ხასიათს, შეიქმნება ჯერ სამაზრო და შემდეგ რესპუბლიკის ცენტრი და საქმე უზრუნველყოფილი იქნება. ასეთ ფართო ინიციატივის გარეშე ჩვენ კიდევ დიდხანს დავრჩებით აზიური ტიპის სოფლების ამარა.

3. გოვილაძე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის შესახებ.\*

საპროცესო კოდექსი ორგანიზულად დაკავშირებული უნდა იყოს მოქმედ კანონებთან მაგრამ დღესდღეობით არსებული საპროცესო კოდექსი ვერ ამრთლებს თავის დანიშნულებას და თავს ვერაღწევს ტრადიციულად გადმოცემულ ბურჟუაზიულ ფორმალიზმს. ამ მხრივ მეტად საგულისხმაოა ს. ს. საპროცესო კოდექსის ახალი პროექტი რომელიც აგებულია ათი წლის პრაქტიკაზე და რომელის შემოღება მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. დღეს ამ პროექტის გარშემო დიდი კამათია, ამ ფრიად საჭირობოროტო საკითხს ეხება ანხ. ივ. სურგულაძეც, ცდილობს კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ხსენებული პროექტი და იძლევა ნეგატიურ განმარტებას. გავსინჯოთ მისი არგუმენტაცია და ვნახოთ, რა საფუძველს ემყარება ის.

\*) დისკუსიის წესით.

როგორც ვიცით, პროექტი სხვა მრავალ საკითხთან ითვალისწინებს შემდეგს: სასამართლოში დამცველის როლი ფაქულტატურია; ზოგ შემთხვევაში დამცველის დაშვება პროკურორს მიენდობა, პროკურორი არის სასამართლოში არა მხარე, არამედ მომხსენებელი, რომელიც ეხება როგორც საბრალდებო ისეც დასაცავ მომენტებს და სხ. ჩვენ შევჩერდებით ამ ორ მთავარ პუნქტზე. საერთოდ წინასწარ უნდა ითქვას, რომ როცა პროექტს ვიხილავთ, ჩვენი მსჯელობის გამოსავალი წერტილი უნდა იყოს სახელმწიფო და მისი მიზანი. როცა ამ კონცეპციას მოვიმარჯვებთ და წავიმძღვარებთ, ნათელი შეიქნება პროექტის დებულებათა სისწორე. ამ აზრს იგიწყებს ანხ. ივ. სურგულაძე ნებისით თუ უნებლეთ და მთელი მისი საბუთთა ლოლიკიური წყობა სუბიექტურ მსჯელობაზეა აგებული. აღიარებს რა მხარეთა კამათის პრიორიტეტს ივ. სურგულაძე ამბობს: „როცა ადამიანი სწავლობს საქმეს, შესწავლის პროცესში მას ბუნებრივად უმუშავდება შეხედულება—დადებითი ან უარყოფითი პასუხისა... ის მისი ნების გარეშე დაამახინჯებს ფაქტებს და მის მსჯელობას ყოველთვის ექნება ტენდენცია—საკუთარ შეხედულებას დაუახლოვოს ფაქტები; ამ შემთხვევაში სუბიექტის გარეშე არსებული ფაქტი და ქეშმარიტება არარა არის, რადგან თვით სუბიექტია უმაღლესი ფაქტი და ქეშმარიტება“. („საბჭ. სამ.“ № 6.) ამაზე შორს ვერ წავალთ! პატივცემული ავტორის აზრით გამოდის, რომ არსებობს შეხედულება ამა თუ იმ სუბიექტისა, რომელიც გვერდს აუხვევს ფაქტებს ან თავისებურად გარდაქმნის, შეუფარდებს წინასწარ შემუშავებულს შეხედულებას, რის შემდეგაც ფაქტი პიროვნულ

დაგველოთ კოლეჯიანი

(საქართველოს დამცველთა კოლეჯის პრეზიდიუმის ინიციატივითი ღონისძიება მუშაობის შესახებ 1928 წ. 20 ნოემბრიდან 1927 წ. 1-ლ ივნისამდე

1927 წლის 20 ნოემბერს შესდგა საქართველოს დამცველთა კოლეჯის წევრთა ახალი შედგენილობის საერთო კრება, რომელზედაც არჩეული იქნა პრეზიდიუმის ახალი შედგენილობა 13 წევრისაგან და 5 კანდიდატისაგან, მათ შორის ორი წევრი ქ. ქუთაისიდან, პარტიული ოთხი, დანარჩენი უპარტიო, და სარევიზიო კომისია 3 წევრისაგან და 1 კანდიდატისაგან.

1927 წლ. 1 ოქტომბრისათვის, როდესაც მოხდა კოლეჯის რეორგანიზაცია, კოლეჯის წევრთა რიცხვი მთელს საქართველოში იყო 398; ქ. ტფილისში—239, ადმ. საქართველოს მაზრებში—67 და დასავლეთ საქართველოში—82.

მიმღები კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ კოლეჯის წევრთა საერთო რიცხვი საქართველოში დატოვებულ იქნა—379. კომისიამ უარი უთხრა ჩარიცხვაზე 57 შემთხვევაში და საკითხი დატოვებულ იქნა ღიად—22 შემთხვევაში.

იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ აღდგენილ იქნა კოლეჯის წევრად 30; მათ შორის 6 შემთხვევაში პრეზიდიუმის შუამდგომლობით; პრეზიდიუმის მიერ აღდგენილ იქნა მექანიკურად 3.

ა. წ. 1 ივნისისათვის კოლეჯის წევრთა საერთო რიცხვი საქართველოში არის 363; 16 წევრი ჩარიცხულია პრეზიდიუმის მიერ და წარდგენილი დასამტკიცებლად იუსტ. სახ. კომისარიატში. მათ შორის ქ. ტფილისში—219; დასავლ. საქართველოში 88; და ადმ. საქართველოს მაზრებში 56. ამათში. მამაკაცი 356 დედაკაცი 7. ეროვნების მიხედვით: ქართველი—278, სომეხი—58, რუსი—20, ებრაელი—3, პოლონელი—1, ბერძენი—3.

საანგარიშო დროის განმავლობაში პრეზიდიუმს ჰქონდა სულ 26 სხდომა და მცირე პრეზიდიუმს—5; გაირჩა—444 საკითხი პრეზიდიუმის სხდომაზე და 14—მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე.

პრეზიდიუმის მიერ ჩარიცხულ იქნა კოლეჯის წევრად 49 კაცი, მათ შორის 14 შემთხვევაში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. უარი უთხრა ჩარიცხვაზე 39—ყველა შემთხვევაში სათანადო სტაჟის უქონლობის გამო.

ჩარიცხულებიდან იუსტ. სახ. კომისარის მიერ არ იყო დამტკიცებულნი კოლეჯის წევრად 2, პრეზიდიუმის მიერ დროებით გადაყენებულ იქნა პასუხისგებაში მიცემის გამო 1; გავიდა თავის ნებით კოლეჯიდან 2; ამორიცხულ იქნა მექანიკურად—16 კოლეჯის წევრი (პარტიულები) ვინაიდან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ დამცველთა კოლეჯისათან; გარდაიცვალა—4.

1 ნოემბრისათვის პრეზიდიუმში ირიცხებოდა წარმოებით დაუმთავრებელი სადისციპლინო საქმე 15, საანგარიშო დროის განმავლობაში აღძრულ იქნა სადისციპლინო საქმე 64, სულ წარმოებაშია 79 საქმე.



რაობაში იჩქმალება. გეკათხებით: განა შესაძლებელია ფაქტის თავის გემოზე გარდაქმნა? ჩვენ გვგონია რომ არ შეიძლება უარყოფა იმისა, რაც შენს წინაშეა, როგორც წარუშლელი ფაქტი. კიდევ მეტი: მაშინ, როდესაც საქმე გავქვს ისეთ სასამართლოსთან, რომლის ინტერესი საქმის ცალ-მხრივი გარჩევა და გამორკვევა კი არ არის, არამედ ვახსნა იმპატერიალურ ჭეშმარიტებისა თავის თავად რომ არსებობს, უფრო ღრმად რომ ჩავუკვირდეთ ამ საკითხს აუცილებლად შევძებნავ დანაკარგებს უნდა წავაწყდეთ, სუბიექტივობაში იქ იჩენს თავს, სადაც მატერიალური ან იმპატერიალური ინტერესი არსებობს. ამ მხრივ ნაკლები ვარანტია გვაქვს იმისა, რომ მხარეთა კამათის დროს არ ექნება ადგილი ფაქტის დამახინჯებას ან ბრძანეთ, რა საჭიროა მაშინ ცერემონია, ტყუილად დროის ხარჯვა, დამცველის გრძელი სიტყვა, სადაც ვერ ნახავთ ჭეშმარიტების ნათამაშს, ვითარცა მღვდელის მამაოჩენოში, მაშინ, როცა საქმე გვაქვს აშკარა საბუთთან? ეგ იმისთვის რომ „უბედურ ადამიანს იცავს“, მ. ღვამიჩავს სიტყვით რომ ვსთქვათ. მე მგონია აქ „უბედურ ადამიანს“ სხვა სუნი უდის, რომელიც ზემოთხსენებულ ინტერესის დაცვაში მღვდლომარობს. სასამართლოს დემოკრატიულობა ის კი. არ არის როცა შეჯიბრი იმართება პროცესის დროს, არამედ ის როცა სასამართლოს და მის ატრიბუტებს გავამარტივებთ, ხალხს დაუახლოვებთ, მას ფსიხიკას შევუფუებთ, აგრეთვე, რაც უმთავრესია როცა მოვსპოათ ყოველ გვარ მემკვიდრეობით მიღებულ ბურჟუაზიულ ფორმალისტს. როგორც მარქსი ამბობს, „პრაქტიკა ყოველ თეორიაზე უკეთესია“ და მართლა პრაქტიკა მოგვცემს და დღესაც გვაძლევს დამამტკიცებელ სა-

ბუთს, თუ რამდენად შესაძლებელია დამცველთა ინსტიტუტის გაუქმება და რომ შესაძლებელია ამას ცხოვრების სინამდვილე დაგვანახებს, ჩვენ სოლცთან ერთად აღვიარებთ, რომ შეჯიბრებითი პრინციპი და დამცველთა ლადი უბრალო ფორმალობაა, რომელიც ბურჟუაზიულ სამართალში ჰპოულობს საფუძველს. შეიძლება აქ გვიბასუბონ-ფაბრიკა-ქარხნებიც ბურჟუაზიულიაო. ეს დებულება ყალბია და არ არის საღ აზროვნებაზე დამყარებული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სულ სხვა და სხვაა ფაბრიკა-ქარხნების გადმოტანა და მასზედ აგებული ფორმის ე. ი. სოციო-ტენიკის გადმოტანა. მართალია, ვლდებულობით ბურჟუაზიისაგან ყოველგვარ ტენიკას, მაგრამ მასში გაბატონებული ორგანიზაცია უკუ გდებულა ანაირადვე უარს არ ვამბობთ სასამართლოზე, როგორც ბურჟუაზიის მიერ შექმნილ ინსტიტუტზე, მაგრამ მასში გაბატონებულ ბურჟუაზიულ ყაიდაზე აგებულ ორგანიზაციას უკუვადებთ, რამდენადაც შესაძლებელია, როგორც გამოუსადეგარსა და შეუფერებელს დღევანდელ სინამდვილეში. ვინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მთელი პროცესი დამყარებულია ძიებასა და საქმის ობიექტიურ მოკვლევაზე, რის გარეშე ყოველად შეუძლებელია ჭეშმარიტების გამორკვევა. მაგრამ რასაკვირველია არა იმგვარს ძიებაზე, რაგვარსაც საშვალო საუკუნოებში ჰქონდა ადგილი და რაც წმინდა წყლის ინკვიზიციას წარმოადგენდა, არამედ ჩვენ საქმე გვექნება ერთის მხრივ თანამედროვეობაში მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებულ ძიებასთან, მეორეს მხრივ, რაც მთავარია, ობიექტურ ძიებასთან, სადაც ადგილი არ ექნება რომელიმე გაბატონებული კლასის ნება-

პრეზიდენტმა დაათვარა წარმოებით 45 საქმე, და-რჩა განუხილველი 1 ენისისათვის 34 საქმე.

33 შემთხვევაში სადისციპლინო საქმეები პრეზიდენტის მიერ მოსპობილ იქნა წარმოებით დისციპლინური დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო; დანარჩენ 12 შემთხვევაში პრეზიდენტმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

აეკრძალა პრაქტიკა 3 თვით ერთს, გამოეცხადა სასტიკი საყვედური-ერთს, საყვედური-ხუთს, გაფრთხილება ერთს და განმარტება-ერთს.

კონსულტაციაში მორიგეობაზე დაუსწრებლობის გამო აღძრული იყო 18 საქმე; წარმოებით მოსპო 7; გამოეცხადა განმარტება სამს, დაინიშნა რიგ გარეშე მორიგედ-ხუთი და დაჯარიმდა სამი.

ქ. ტფილისში მოწყობილია 8 იურიდიული კონსულტაცია აღმოს. საქართველოში 17 და დასავლეთ საქართველოში 16.

საერთო რიცხვი იურიდიული რჩევა-დარიგების აღმოჩენისა კამერებში მთელ საქართველოში უდრის-8277;

**იურიდიული სექციები:**  
წარსული წლის მიხედვით ყველა რაიკომთან განახლებული იქნა მუშაობა იურიდიულ სექციებში.

1 რაიკომში დაარსებული იყო ორი ჯგუფი: ქართული და რუსული. რუსულ ჯგუფში მსმენელთა რიცხვი იყო 15-დღე და ქართულ ჯგუფში კი-20-დღე. მეცადინეობა სწარმოებდა გასული წლის დეკემბრიდან ა. წ. მაისის შუა რიცხვებამდე. მეცადინეობა სწარმოებდა კვირაში

ერთხელ. მსმენელების რიცხვმა გასულ წელთან შედარებით გაცილებით მოიმატა. გამართული იყო 2 ექსკურსია გამსახლის დასათვალისებრებლად. ჩატარებული იყო სულ 38 ლექცია.

3 რაიკომთან არსებულ სექციაში გამოყოფილი იყო 3 ლექტორი; ჩატარებული იყო სულ 38 ლექცია-საუბარი; დამსწრეთა რიცხვი აღრიცხული იყო 100-დღე. სექციის ხელმძღვანელი პრაქტიკულადაც აცნობდა დელეგატ-ქალებს სასამართლოებში საქმის მსვლელობას და გამსახლებში პატიმრების ცხოვრებას. ეს გარემოება იწვევდა მსმენელთა შორის დიდს კმაყოფილებას.

3 რაიკომში წაკითხული იყო სულ 20 ლექცია- გამოყოფილი იყო 3 ლექტორი. მსმენელთა რიცხვი იყო არა უმეტეს 10-11-სა

4 რაიკომში წაკითხული იყო სულ 13 ლექცია. გამოყოფილი იყო 3 ლექტორი. მსმენელთა რიცხვი იყო 12-15-დღე.

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად 8 მარტს, თანახმად იუსტ. სახალხო კომისარიატის ცირკულარისა, ყველგან ადგილებზედ და ტფილისშიც რჩევა-დარიგების აღმოჩენა ხდებოდა რიგ-გარეშე და სრულიად უფასოდ. დახმარების რაოდენობის რიცხვი იყო 250 და ჩატარებული იყო მოხსენებები ქალთა უფლებებისა და საქორწინო და სამეურვეო სამართლის შესახებ 15-დღე.

პარტიულ ორგანიზაციების დავალებით ქალ. ტფილისში ჩატარებული იყო 15 მოხსენება სხვადასხვა დაწესებულებაში:



სურვილს ნაცვლად საზოგადოებრივი სამართლიანობის პრინციპისა. მაშასადამე, დამცველის როლის შესუსტებას და ზოგჯერ გაუქმებასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სასამართლოს პრაქტიკაში, რადგან აქედან ბუნებრივად გამომდინარე პროკურორის როლიც იცვლება. როგორც პროექტშია გათვალისწინებული, პროკურორი აღარ რჩება მარტო ბრალმდებლის მხარეზე, არამედ გამოდის მომხსენებლად და იკვლევს ბრალმდებლის ორივე მხარეს. თუ შესაძლებელია, რომ პროკურორი მოგვევლინოს როგორც მომხსენებელი და პროცესსა დროს ორივე მხარე გაარკვეოს თანასწორად, მაშინ ბუნებრივია, რომ დამცველი ზედმეტ ბარგად რჩება, რომელსაც არავითარი ორგანიული კავშირი აღარ ექნება პროცესთან, არამედ იქნება მექანიკური დამატება. ესლა მომქმედი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროკურორი ნებისთ თუ უნებლიეთ არა ობიექტურად არკვევს ამა თუ იმ საქმეს, იჩენს მასში უკიდურესობას, რადგან მის წინაშე დამცველის სახით მეორე უკიდურესობა არსებობს. მაგრამ პროკურორი ამისაგან განთავისუფლდება და მოიქცევა ისე, როგორც უკარნახებს რევოლიუციურად ჩამოქნილი კანონები, რის შემდეგაც მახინჯი ფორმა გაჰქრება. შეიძლება გვითხრან როგორც ამხ. ივ სურგულაძე გვეუბნება, „შრომის განაწილება უდიდესი კულტურული მიღწევაა“ და რატომ გვიჩნდა უკუუვადოთო. უდავოა რომ შრომის განაწილება კარგი საქმეა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ შრომის განაწილებას იქ მოაქვს ნაყოფი, სადაც ჰარმონიულობაა ერთი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. ამ რიგად პროკურო-

რი დადებითი მოვლენაა როგორც მომხსენებელი. აღნიშნავს რა პროექტის „უარყოფითს“ მხარეებს, ივ. სურგულაძე განაგრძობს: „სისხლის სამართლის კანონს ორი მიზანი აქვს: 1) ზოგადი გაფრთხილება ე. ი. პირდაპირ გასწორება (расправა) დამნაშავესთან და სხვების გაფრთხილება, 2) სპეციალური გაფრთხილება ანუ დამნაშავეს გარდაქმნა ისე, რომ ის შეეგუოს საზოგადოებას. იმის და მიხედვით თუ რა მდგომარეობაშია სახელმწიფო, ის წინ აყენებს პირველ ან მეორე მიზანს“ ეს უდაო დებულებაა, მაგრამ შემდეგ ავტორი სახიფათო ნახტომს აკეთებს და განაგრძობს: „პროექტი წინ აყენებს ზოგადი გაფრთხილების მომენტს, რითაც ის სცილდება სისხლის სამართლის პოლიტიკასა“. აშკარად უნდა ვთქვათ, რომ ივ. სურგულაძეს პროექტის კვინტესენცია ვერ გაუგია ან ამახინჯებს. ახალი პროექტი სრულებით არ გულისხმობს ზოგადი გაფრთხილების მომენტს. ეს მხოლოდ მოჩვენებითია, რომლის ფორმა სცილდება შინაარსს და იწყება დაცვა საზოგადოებისა ბოროტმოქმედებისაგან, რაც სრულებით არ ეწინააღმდეგება პიროვნების უფლების დაცვის გარანტიას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ პროექტი თავის შინაარსით პროგრესიულია და შეფარდებული თანამედროვეობასთან, რომლის რეალიზაცია ცხოვრებაში მოსპობს უსაფუძვლო შიშს მოწინააღმდეგეთა.

ი.კ. ვადაკორია.

საერთო რიცხვი ყველა სახის იურიდიული რჩევადარიკებისა საანგარიშო დროის განმავლობაში იყო 9,989;

პრეზიდუმის მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ აუცილებელია სექციების დაარსება, ვინაიდან პრეზიდუმის წინაშე იდგა ისეთი პრინციპული ხასიათის საკითხები, რომლებიც მოითხოვდნენ წინასწარ შესწავლასა და დამუშავებას და პრეზიდუმში კი იყო დატვირთული სადისკიპლინო საქმეებით და მიმდინარე საკითხებით. ამ მიზნით დაარსებული იყო 4 სექცია: ორგანიზაციული, იურიდიული, სალექციო საკონსულტაციო და საფინანსო-ეკონომიური.

პრეზიდუმის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო კოლეგიის წევრების საბჭოთა მუშა-მოსამსახურებთან გათანასწორობის საკითხზედ. იყო ცნობა, რომ მოსკოვში ეს საკითხი გადაჭრილ იქნა დადებითად. აღძრული იყო სათანადო შუამდგომლობა აღმასკომის წინაშე, რათა ბინის ტარიფის გადახდევინებაში დამცველთა კოლეგიის წევრები გათანასწორობულ ყოფილიყვნენ მუშა-მოსამსახურებთან. აღძრული იყო აგრეთვე შუამდგომლობა ყველა კავშირის წინაშე, რომ საზაფხულო კლუბებში შესასვლელი ფასი კოლეგიის წევრებისათვის დაწესდეს ისეთივე, როგორც მუშა-მოსამსახურებისათვის. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია. აღძრული იყო შუამდგომლობა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ თანამშრომლების დასაზღვევი 0,40% პრეზიდუმს ხდებოდეს ისე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებს, მაგრამ შრომის სა-

ხალხო კომისარიატმა არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა.

საქართველოს ფინსახკომთან შეთანხმებით პრეზიდუმის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალი კომისია, რომელსაც მიენდო დამცველთა კოლეგიის წევრების კატეგორიებად განაწილება მათ შემოსავლის მიხედვით, უმაღლესი შემოსავალი განსაზღვრულ იქნა 300 მანეთამდე და ამ განაწილებას ხელმძღვანელოდნენ ფინინსპექტორებიც კოლეგიის წევრებზე საშემოსავლო გადასახადის გაწერისას.

პრეზიდუმის მიერ დამუშავებული იყო საკონსულტაციო კამერის ბიუროსაგან წარმოდგენილი პროექტი კამერების მიერ ფასიან საქმეების აღების შესახებ. შემუშავებულ იქნა ახალი „დებულება—იურიდიულ კონსულტაციებისა“, რომელიც წარდგენილია დასამტკიცებლად იუსტ. სახ. კომისარიატში.

პრეზიდუმის მიერ გამოყოფილ იქნა კომისია საკონსულტაციო კამერების რევიზიისათვის, რომლის მიერ წარმოდგენილია სათანადო ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ 2 კამერის ტურგენევის ქ. № 4 მუშაობა სრულიად დაკმაყოფილებულია, 1 კამერაში კი მუშაობა მოისუსტებს. აღნიშნულია, რომ მესამე კამერა ბინის მხრივ ძალიან შევიწროებულია, ვინაიდან მას არ აქვს ცალკე ოთახი.

სომხეთის დამცველთა კოლეგიის პრეზიდუმთან შეთანხმებით მიზან—შეწონილად იქნა ცნობილი ა/კ ყველა რესპუბლიკის დამცველთა კოლეგიების კონფერენციის მოწვევა საერთო საკითხების გასაშუქებლად. მოწვევა განზრახულია შემოდგომაზე.



# პრესტიჟის უნიფიკაცია

## გლეხურ მემონოგრაფი დაქირავებულთა შრომის გამოყენების შესახებ

1925 წლის 30 ივნისიდან ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე შემოღებულია სამოქმედოთ ა/კ. კომისართა საბჭოს დადგენილება გლეხურ მეურნეობაში დაქირავებულთა შრომის პირობების შესახებ (დროებითი წესები). ამ დადგენილების 1 და მე-2-რე მუხლის თანახმად შრომის კანონების გატარების მხრივ სოფლის მეურნეობა იყოფა ორ ჯგუფად. 1. მშრომელი გლეხის მეურნეობა, სადაც დაქირავებული შრომა სწარმოებს გლეხის ოჯახის დასახმარებლად, და მე-2-რე (დროებითი წესების 2-რე მუხლი) სამრეწველო სახის გლეხური მეურნეობა, სადაც დაქირავება სწარმოებს ექსპლოატაციის მიზნით და მეურნეობა საკმაოდ ღონიერი, ამ უკანასკნელ მეურნეობაზე თანახმად ზემოაღნიშნულ დადგენილების 2-რე მუხლისა ვრცელდება ყველა ის დადგენილება, რომელიც სამოქმედოთაა შემოღებული საბჭოთა მეურნეობაში. ამრიგად შრომის დაცვის და სხვა ორგანოები გლეხურ მეურნეობაში დაქირავებულთა შრომის პირობების მოსაწესრიგებლად ხელმძღვანელობენ ზემოაღნიშნული დადგენილებით, მაგრამ საქმე შემდეგია: მას მერე, რაც დაქირავებულ დაქირავებულებში და საერთოდ სოფლის მოსახლეობაში ფართოდ ჩატარდა დროებითი წესების პოპულარიზაცია, დაქირავებამ მიიღო ისეთი სახე, სადაც შრომის კანონმდებლობის გატარება შეუძლებელი გახდა. სოფლად დაქირავებულთა 90 პროც. მდე არიან მწყემსი — მენახირეები და ასეთების დაქირავებულები დაქირავებულთა ნათლავენ „დაზიარების“ ან და ამხანაგობის სახელით. დაზიარება გულისხმობს 3-4 წლით დაქირავებას, რომლის ხელფასშიც მწყემსი ღებულობს იმ საქონლის მონაგების ნახევარს (ცხვრის, ღორისა და სხვა ნაშენს), რომელსაც ის უფლის რაც შეეხება ჭამა-სმას და ჩაცმა-დახურვას, ეს შეთანხმებაზეა დამოკიდებული; ზოგჯერ ჭამა-სმა და ტანსაცმელიც საქონლის მეპატრონისა და ხშირად კი სანახევროა. ასეთი ფართული დაქირავება შემოღებულია წარმოებითი სახის მეურნეობაში შრომის კანონმდებლობის არიდების მიზნით, რაც უსათუოდ იწვევს დაქირავებულებში სხვადასხვა ხარჯების გაღებას, როგორცაა სოც-დაზღვევის ანარიცხების გადახდა და სხვა. ამრიგად ჩვენ ვდგევართ დაქირავების ფაქტის წინაშე, ვინაიდან 3-4 წლის ნამუშევარში მწყემსი ღებულობს იმ საქონლის ნახევარს, რომელსაც ის უფლის იმ დროს, როდესაც საქონლის მეპატრონე გაურჯვლად ღებულობს იმდენსავე. ამრიგად აქ არავითარ ამხანაგობას არა აქვს ადგილი, როგორც ამას უწოდებენ მადა აშლილი კულაკები, ვინაიდან ერთ მხარეს იმყოფება არარას მქონე მწყემსი, რომელიც იძულებულია გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა 3-4 წლით და მეორე მხრივ საწარმოო საშუალებათა მქონე შეძლებული გლეხი, რომლის მეურნეობისათვისაც აუცილებელია მოგების მიზნით მწყემსის დაქირავება. შეიძლება ამხანაგობა უწოდოთ, რომ თითონაც ღებულობდეს მონაწილეობას საქონლის შოვლაში, ან და მწყემსსაც ჰყავდეს თავისი საკუთარი საქონელი იმ ნახირში, სადაც ის მუშაობს. ამრიგად

იუსტიციის სახ. კომისართან შეთანხმებით პრეზიდენტმა მიზანშეწონილად იცნო, რომ სრულიად შეწყვეტილ იქნეს ჩარიცხვა კოლეგიის ახალი წევრების ქ. ტფილისში და აღმ. საქართველოს ზოგიერთ მაზრებში გამოინაკლის შეადგენენ მხოლოდ სახ. უნივერსიტეტის კურს დამთავრებულნი.

საფინანსო-ეკონომიურ სექციას დაკისრებული აქვს კოლეგიის წევრების ეკონომიური მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა.

პრეზიდენტის განსაკუთრებული კურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ დამცველთა კოლეგიის წევრებზე ირიცხებოდა აუარებელი დავალიანება. იყო შემთხვევები, რომ წევრებს არ ჰქონდათ შემოტანილი საწევრო გადასახადი წლობით და მეტიც, საერთოდ საწევრო გადასახადის შემოუტანლობა ვადაიქცა სისტემატიურ მოვლენათ. ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება ყოველად შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან პრეზიდენტს არავითარი საღსარი არ მოეპოებოდა ყოველ დღიური ხარჯების დასაფარავდაც კი. ამიტომ პრეზიდენტმა იხმარა უკიდურესი ზომები იმ წევრების მიმართ, რომელთაც სისტემატიურად არ შემოქონდათ საწევრო გადასახადი თუმცა მათ ჰქონდათ საშვალება. იყო შემთხვევა ამის გამო სამი კაცის კოლეგიის წევრობიდან გამოირიცხვისა 3 თვის ვადით რომელთაც 15—19 თვის განმავლობაში არ შემოეტანათ ერთხელაც საწევრო გადასახადი. დანარჩენ შემთხვევებში პრეზიდენტმა გაუგრძელა წევრებს რამოდენიმე თვით ვადა გადასახადის შემოტანისათვის და ბევრ შემთხვევაში სრულიად ჩამოსწერა დავალიანება.

დავალიანების რაოდენობა 1 ივნისისათვის ირიცხება ქ. ტფილისში მცხოვრებ წევრებზე 2,174 მან. და მაზრებში კი 1,359 მან. ხ ულ—3,533 მანეთი.

ჩამოწერილია დავალიანება 500 მანეთანდე შეუმკორდა გადასახადი 25—ს.

მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ და დამტკიცებულ იქნა საერთო კრების მიერ ა/წ 26 თებერვალს: შემოსავალი—12,604 მან. და გასავალი 11,351 მ. გათვალისწინებული იყო მუშაობის 80% გადიდების გამო შტატის გადიდებაც ერთი თანამშრომლით, მაგრამ ეს საკითხი დატოვებულია ღიად.

1927 წლის 1 ნოემბრისათვის პრეზიდენტის სალაროში ირიცხებოდა ნაშთი—458 მან. 61 კაპ; საანგარიშო დროის განმავლობაში შემოვიდა—5636 მან. 57 კაპ. დახარჯულია იმავე დროის განმავლობაში—4943 მ. 396. ნაშთი—1 ივნისისათვის—1150 მ. 79 კ.

სარევიზიო კომისიამ მოახდინა საფინანსო ნაწილის რევიზია ორჯერ და ორსავე შემთხვევაში ანგარიშ-წარმოება სრულიად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა

ურთიერთ დამხმარე სალაროს მუშაობის გაუმჯობესობისათვის პრეზიდენტის მიერ მოწვეული იყო გაერთიანებული სხდომები ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობასთან და მიღებულ იქნას პრაქტიკული ზომები სალაროს მუშაობის გასაძლიერებლად.



არამც თუ დაქირავებაა, არამედ ასეთი დაქირავება უნდა ჩაითვალოს დაქირავების ყველაზე ცუდ ფორმად. საქონლის ჭირიანობა ჩვენში საკმაოდ ხშირია და მოსალოდნელია 3-4 წლის შრომამ ამაოლაც ჩაიაროს. ეს საკითხი ძალიან ართულებს შრომის დაცვას სოფლის მეურნეობაში.

შრომის დაცვა წარმოებითი სხის მეურნეობებში შეუძლებელია მანამდის ვიდრე სათანადო ორგანიზებიდან არ იქნება გამოცემული საამისო დადგენილება, რომლის საშუალებითაც მოესპობათ თარეში კულაკებს, ჯერ-ჯერობით-კი როგორც შრომის ინსპექციას ისე სასამართლოებს საამისო (როგორც თვითონ აცხადებენ) არა მოეპოვებათ რა და ასეთი ფორმის დაქირავება-კი დღითი დღე იზრდება. საჭიროა ამ საკითხის შესახებ სათანადო ორგანიზებმა მოგვეცენ ახსნა-განმარტება. ზემოაღნიშნული ითვლება თუ არა დაქირავებად. თუ ითვლება დაქირავებად, მაშინ როგორ უნდა მოწესრიგდეს ხელშეკრულების დადების საკითხი. დროებით წესების მე-8-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულების დადება დაიშვება მხოლოდ ერთი წლის ვადით, დაზიარება-კი ჰხდება სამიოთხი წლის ვადით.

თუ ეს მდგომარეობა ასე გავრცელდა მაშინ მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ მე-15 პარტყრილოზის დადგენილების გატარება, უდავოა, ძალიან გაძნელდება. იმედია მაზრებში მომუშავე ამხანაგები ამ საკითხის ირგვლივ გამოსტყვამენ თავიანთ აზრს. ვფიქრობთ, რომ ასეთი მოვლენები სხვა კუთხეებსაც ემჩნევა.

თელავის მაზრის შრომის ინსპექტორი  
**ალ. კობერიძე.**

### ცოტა რამ სასამართლოს ხარჯების წარმოების და გაშვების აკრეფის შესახებ\*)

თანახმად იუსტისხკომის ცირკულარისა სასამართლოს ხარჯების წარმოება, მარკების გაყიდვა და ფულეების შენახვა დეალებული აქვს სახალხო მოსამართლეს. თუ შეიხედავთ ამ საკითხს პასუხისმგებლობის მხრივ, განკარგულება იუსტისხკომის სწორი არის. ეს არის გარეგანი მხარე საკითხისა, შინაგანი არის კი სულ სხვა არის. რა და ვინ არის მოსამართლე მოსახლეობის თვალში? ის არის ადამიანი, რომლისაგან მოსახლეობა მოელის მართლ-მსაჯულებას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უნდა განიცადოს მთხოვნელმა, როდესაც საქმე შეაქვს სასამართლოში, მოსამართლესგან ელის მართლმსაჯულებას და მოსამართლე კი აღებს სალაროს, იღებს მარკებს და ვაჭრობას მართავს მთხოვნელთან, თუ რამდენი მარკა უნდა დაეკრას განცხადებას და საბუთებს. ხშირია შემთხვევა, რომ მთხოვნელი მართლა ვაჭრობას მართავს ამდენი და ამდენი მარკა დააკარიოთ. რა თქმა უნდა, ასეთი ვაჭრულობა მოსამართლის მხრივ მოსახლეობის თვალში დასცემს მის ავტორიტეტს, როგორც მოსამართლისას. ეს ერთი და მთავარი ნაკლი ამ მარკების სასამართლოებში მოსამართლის მიერ გაყიდვისა.

მეორე ნაკლი ის არის, რომ არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, თუ როგორი სიმცირეა მოსა-

მართლებისა საქმეთა რაოდენობასთან შედარებით, წარმოიდგინეთ ესლა მარკებით ვაჭრობა და იმავე დროს 10—24 საქმის გარჩევა, წინასწარ მათი შესწავლა და შემდეგ გადაწყვეტილება განაჩენების დაწერა და ადვილად დაინახავთ, თუ რამდენად უნდა დაბრკოლდეს სასამართლოს საქმეები. შესაძლებელია ვინმემ სთქვას, რომ ცირკულარში ნათქვამია მოსამართლემ განსაზღვრული რაოდენობით მარკები დილით უნდა ჩააბაროს მდივანს, ხოლო მუშაობის დამთავრებისას ხელახლად უნდა ჩამოართვასო. განა ეს გარემოება სცვლის მდგომარეობას? სრულიად არა. საჭიროა ამ საკითხის რაციონალურად მოგვარებისათვის გამოითქვას ჩვენს ჟურნალში აზრი ამხანაგების მიერ.

მე კი ერთად ერთ ვაზოსავლად მიმაჩნია მარკების გაყიდვის გადაცემა ან შემ-გასავალ სალაროსათვის ან საფოსტო განყოფილებისათვის ან და გამოყოფილი უნდა იქმნეს ერთი თანამშრომელი სპეციალურად სასამართლოებისათვის, აღმასკომის და ფინსახკომის შეთანხმებით, რომელიც უმეშვეოდ დაექვემდებარება მათ და პასუხისმგებელი იქნება მათვე წინაშე.

ერთი კი ცხადია, რომ თვით მოსამართლეები ამ ხედმეტი ტვირთისაგან განთავისუფლებული უნდა იქმნენ.

**ი. კალანდაძე.**

### ორი საკითხი, რომელიც მოითხოვს სათანადო გამორკვევას

უამრავი საქმეები შემოდის სახალხო სასამართლოებში სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცყოფის მიყენების შესახებ. ვისაც ასეთი ხასიათის საქმეების განხილვა ხშირად შეხვედრია ის უქვეყლად შეამჩნევდა იმას, რომ მრავალ შემთხვევებში ესა თუ ის ფიზიკური ან და სიტყვიერი შეურაცყოფა გამოწვეულია ასეთივე ქმედობით, ე. ი. ისევ ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენების გამო. ივანემ ხულიგანი უწოდა პეტრეს იმიტომ, რომ პეტრემ მას პირველად დედა შეაგინა. მიდის პეტრე სასამართლოში, აცხადებს, რომ მას ივანემ შეურაცყოფა მიაყენა და მოითხოვს მის პასუხისგებაში მიცემას, ირჩევა საქმე და ირკვევა, რომ ივანემ მართლა უწოდა ხულიგანი პეტრეს, მაგრამ ეს იმის შემდეგ, როდესაც პეტრემ მას დედა შეაგინა. ასეთივე მაგალითების მოყვანა შეიძლება ფიზიკური შეურაცყოფის მიყენების გამოც. რა უნდა ჰქნას ამ დროს სასამართლომ? სისხლის სამართ. ძველ კოდექსში, ჩვენ გვქონდა სათანადო მუხლი, სახელდობრ 179 მუხ., რომელიც ამბობს შემდეგს: „სოც. დაცვის ღონისძიება არ შეეფარდება შეურაცყოფას, გამოწვეულს დაზარალებულის თანასწორი ან მეტი ძალადობით ან მის მიერ თანასწორი ან მეტი შეურაცყოფის მიყენებით“. ამ ჟამად მომქმედ სისხ. სამ. კოდექსიდან ეს მუხლი მთლიანად ამოშლილია, და სასამართლოებში მის გამო არ შეიძლება არ ექნეს ადგილი ერთგვარ გაურკვევლობას. როგორ მოიქცეს სასამართლო, როდესაც განიხილავს ზევით მოყვანილი მაგალითის მგზავს საქმეებს?.. ივანეს სასამართლო სცნობს დამნაშავედ, ვინაიდან მან მართლა მიაყენა პეტრეს შეურაცყოფა, უწოდა მას ხულიგანი, მაგრამ

\*) დისკუსიის წესით.



სასამართლომ ისიც გამოარკვია, რომ სანამ ივანე პეტრეს ხულიგანს უწოდებდა, პეტრემ ივანეს დედა შეაგინა. ორივეს მამართ ხომ არ შეიძლება ერთ და იმავე დროს, განაჩენის დადგენა, ვინაიდან აქ, ბრალდებულად მხოლოდ ივანე გვყავს გამოწვეული, პეტრე კი დაზარალებულად. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, რომ ივანეს არ შეეფარდოს სოც. დაცვის ღონისძიება? კოდექსის რომელ მუხლს დაეყრდნოს? ასეთი მუხლი არა გვაქვს. მე პირადად შემხვდა ისეთი საქმის განხილვა, როდესაც შეურაცყოფა თანასწორი შეურაცყოფით იყო გამოწვეული, მივედი იმ დასკვნამდე, რომ პასუხისმგებანი მიცემულს არ უნდა შეეფარდოს სოც. დაც. ღონისძიება, მაგრამ ვინაიდან სათანადო მუხლზე დაყრდნობა არ შემძლო, ასეთის უქონლობის გამო, დავეყრდნე ს. ს. კ. 13 მუხ. საერთო საფუძვლებს და სოც. დაც. ღონისძიება არ შეუფარდე. სწორი ვიყავი მე თუ არა? ჩემი აზრით არსებითად სწორი ვიყავი, მაგრამ ფორმალურად კი არა, რადგან ს. ს. კ. 13 მუხ. თავის პარადაპირ დანიშნულებით ასეთი შემთავისათვის არ გამოდგება, ვინაიდან ის ამბობს: „სოც. დაც. ღონისძიება არ შეეფარდება ს. ს. კანონით გათვალისწინებულ ისეთ ქმედობას, რაც ჩადენილი იქნება უკიდურესი აუცილებლობის გამო, ე. ი. ისეთი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად, რომლის აცილებაც შექმნილ პირობებში სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო და სხვა. რა დასკვნა უნდა გახდეს ზემოთ თქმულიდან?“, ჩემის აზრით ის, რომ ამ ჟამად მომქმედ ს. ს. კოდექსში უნდა შეტანილ იქნეს სათანადო მუხლი, რომლის მიხედვითაც არ უნდა შეეფარდოს სოც. დაც. ღონისძიება სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცყოფას, რაც გამოწვეული იქნება თანასწორი სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცყოფით.

2) ეხლა მე მინდა შევეხო იმ საქმეთა მოსპობის წესს, რომლებიც შეიძლება აღძრულ იქნენ მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. როგორც ვიცით, მიზანშეწონილობის გამო არ შეიძლება მოისპოს ს. ს. კოდ. მიხედვით დაზარალებულის საჩივრით აღძრული საქმე, თუნდაც მცირე მნიშვნელობის იყოს დანაშაული. აქვს თუ არა სასამართლოს უფლება მოსპოს ასეთი საქმე თუ საქმის განხილვის დროს დაზარალებული მხარე არ გამოცხადდება? პრაქტიკაში შემოღებულია წესი, რომლის მიხედვით საქმეებს სასამართლოები სპობენ, უკეთუ სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაზარალებული არ გამოცხადდება, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს უწყება ჩაბარებული. სწორია ეს თუ არა?.. ჩემის აზრით სწორია, მაგრამ აქაც კიდევ განვიცდით ერთგვარ უხერხულობას. კოდექსის რომელ მუხლს დავეყრდნობთ ამ შემთხვევაში? როდესაც ეს საკითხი დაუსვია ზოგიერთ მოსამართლეებს მათ მიპასუხეს რომ ასეთ შემთხვევებში საქმე აუცილებლად უნდა მოისპოს. მაგრამ თუ კოდექსში სათანადო მუხლი არ გვაქვს, ეს კოდექსის ნაკლიაო. ეს მართალია. ჩვენ გვაქვს ს. ს. კ. 10 მუხ, რომელიც ეხება იმ საქმეების მოსპობის წესს, რომელიც აღძვრის მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და განმარტავს, რომ საქმე მოისპობა, უკეთუ განაჩენის გამოტანამდე დაზარალებული შეურიგდება ბრალდებულსო. კარგი, მაგრამ თუ დაზარალებული მიუხედავად იმისა რომ უწყება ჩაბარა, მაინც არ გამოცხადდა სასამართლოში, როგორ უნდა მოვიქცეთ?.. ჩემის აზრით საქმე უნდა მოვსპოთ, ვინაიდან ასეთი და-

სკენის გამოტანა შეიძლება ს. ს. კ. იმავე 10 მუხლით, რომელიც განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევებში დაზარალებულს აქვს ბრალმდებლობის გაწვევის უფლებაო. აქ შეიძლება მსჯელობა იმაზე, რომ თუ დაზარალებულს აქვს ბრალმდებლობის გაწვევის უფლება და მიუხედავად უწყების ჩაბარებისა ის გამოცხადდა, ალბად მას არ სურს ბრალმდებლობის გაწვევა. და თუ არ სურს, საქმეც უნდა მოისპოს, მაგრამ ეს ხომ მსჯელობაა და არა ამ მუხლში კონკრეტულად ჩამოყალიბებული წე'ი. ჩემის აზრით ესეც გაუგებრობაა და ვფიქრობ კარგი იქნებოდა, თუ ს. ს. კ. 10 მუხ. დაემატებოდა შემდეგი: „ასეთი საქმეების მოსპობა აგრეთვე შესაძლებელია, თუ დაზარალებული არ დაესწრო საქმის განხილვას მიუხედავად იმისა, რომ მას უწყება ჩაბარებული ჰქონდა“.

სახალხო მოსამართლე: დ. ხიხაძე

## ტერმინოლოგიის გასაღისათვის თვით გასალა

4

- Кабинет—კაბინეტი
- Кабинетный—კაბინეტური, საკაბინეტო
- Кажется—ჰგავს, სჩანს,
- Кажущийся—მოჩვენებითი, ვითომითი, მოსაჩვენარი
- Казарма—ყაზარმა
- Казарменный—ყაზარმული, საყაზარმო
- Казенный—სახაზინო
- Казенная печать—სახაზინო ბეჭედი
- Казенная защита—სახაზინო დაცვა
- Казенная пошлина—სახაზინო ბაჟი
- Казенное имущество—სახაზინო ქონება
- Казна—ხაზინა
- Казначей—ხაზინადარი
- Казначейство—ხაზინა
- Какой би ни—რაგინდრაგვარი, რაგინდრაფერი
- Калибр—(კალიბრი), ყალიბი
- Камера—საკანი; კამერა
- Камерный—კამერული, საკამერო
- Канал—არხი
- Кандидат—კანდიდატი
- Кандидатура—კანდიდატურა
- Кандидатский—კანდიდატური, საკანდიდატო
- Канон—კანონი
- Канонический—კანონიკური
- Канцелярия—კანცელარია
- Канцелярский—კანცელარული, საკანცელარო
- Капитал—კაპიტალი
- Капитальный—კაპიტალური
- Капиталист—კაპიტალისტი
- Капиталистический—კაპიტალისტური
- Карантин—კარანტინი
- Карантинный—კარანტინური, საკარანტინო
- Кара—სასჯელი
- Карательный—სასასჯელო, დამსჯელი
- Карать—დასჯა
- Караул—ყარაული







Контрольный—კონტროლური, საკონტროლო  
 Контролер—კონტროლდორი  
 Конфискация—კონფისკაცია  
 Конфисковать—კონფისკირება  
 Концентрация—კონცენტრაცია  
 Концентрировать—კონცენტრირება  
 Копировать, копирование—გადაღება, კოპირება  
 Копировальный—გადასაღები  
 Копить—გროვება  
 Копия—პირი  
 Корабль—ხომალდი, გემი  
 Корабельный—სახომალდო, საგემო  
 Корабельщик—მეხომალდე, მეგემე  
 Кордон—კორდონი  
 Коренной—ძირითადი, ძირეული  
 Коренным образом—ძირეულად  
 Корешок—ძარაღი  
 Корпус—კორპუსი  
 Корчемство—ხამრობა, სირაჯობა  
 Корыстный—ანგარი  
 Корысть—ანგარება  
 Корыстолюбые—ანგარმოყვარება  
 Косвенный—ირიბი, არაპირდაპირი, საშუალებითი  
 Кошунство—მკრებელობა  
 Кошунственный—მკრებელური  
 Краденный—ნაქურდალი, ნაპარაკი  
 Кража—

	ქურდობა
„ домашная	„ შინაური
„ дорожная	„ გზაში
„ квалифицированная	„ კვალიფიცირებული
„ по нужде	„ გაჭირვების გამო
„ вооруженная	„ შეიარაღებული
„ простая	„ უბრალო
„ семейная	„ ოჯახური
„ со взломом	„ კლიტის გატეხით

  
 Краст—ქურდვა  
 Крайность—განკიდურება, განაპირება; ფრიადობა; უკიდურესობა  
 Крайний—განკიდურებული, განაპირებული; ფრიადი; უკიდურესი  
 Крайняя необходимость—ფრიადი ან უკიდურესი გარღვევალობა  
 Кредит—კრედიტი  
 Кредитный—საკრედიტო, კრედიტური  
 Кредитовать—კრედიტობა  
 Кредитор—კრედიტორი  
 Кредиторский—კრედიტორული, საკრედიტორო  
 Кредитоспособность—კრედიტუნარიანობა  
 Кредитоспособный—კრედიტუნარიანი  
 Кровный—სისხლიერი (ნათესაობა); მოსისხლე (მტერი)  
 Кровник—მოსისხლე  
 Кровное родство—სისხლიერი ან ღვიძლიერი ნათესაობა  
 Кровная месть—მესისხლეობა, სისხლიერი შური  
 Кровная вражда—სასისხლო მტრობა, მოსისხლეობა  
 Кровосмешение—სისხლის აღრევა  
 Кровосмешительный—სისხლის ამღრევი  
 Круговой—თანაზიარი; წრიული, ირგვლივი

Круговая порука—თანაზიარი თავდებობა  
 Круговая ответственность „ პასუხისმგებლობა  
 Круг—წრე, ფარგალი  
 Круг ведомства—გამგებლობის წრე ან ფარგალი  
 Круг обязанностей—მოვალეობათა „ „  
 Крушение—მსხვერვა  
 Крепость—სიმტკიცეობა  
 Крепостной акт—სიმტკიცეობის სიგელი  
 Кто бы ни—ვინგინდავინ  
 Купец—ვაჭარი  
 Купеческий—სავაჭრო, ვაჭრული  
 Купечество—ვაჭრობა, მოვაჭრეობა  
 Купля—ყიდვა  
 Купля-продажа—ნასყიდობა  
 Купон—კუპონი  
 Купчая крепость—ნასყიდობის სიგელი  
 Курган—ყორღანი, ბორცვაკი  
 Кюре—კურსი  
 Курсовой—საკურსო  
 Куртаж—კურტაჟი  
 Куртажный—კურტაჟული, საკურტაჟო  
 Куртажная росписка—საკურტაჟო ბარათი  
 Курьер—კურიერი, გზირი  
 Кустарь—შინამრეწველი, კუსტარი  
 Кустарный—შინამრეწველური, კუსტარული, საკუსტარო  
 Кодекс—კოდექსი  
 Кодификация—კოდიფიკაცია  
 Кодификатор—კოდიფიკატორი  
 Кодифицировать—კოდიფიცირება  
 Кодификационный—კოდიფიკაციური, საკოდიფიკაციო  
 Коллектив—კოლექტივი  
 Коллективный—კოლექტიური  
 Конкуренция—კონკურენცია  
 Конкурент—კონკურენტი  
 Конкурировать—კონკურირება  
 Конституция—კონსტიტუციური, საკონსტიტუციო  
 Конфликт—კონფლიქტი  
 Конфликтный—კონფლიქტური, საკონფლიქტო  
 Концессия—კონცესია  
 Концессионный—კონცესიური, საკონცესიო  
 Концессионер—კონცესიონერი  
 Кооперация—კოოპერაცია  
 Кооператор—კოოპერატორი  
 Кооперативный—კოოპერაციული, საკოოპერაციო  
 Кооперировать—კოოპერირება  
 Котировать—კოტირება  
 Краткосрочный—მოკლევადიანი  
 Казус—კაზუსი  
 Казуальный—კაზუალი  
 Казуализм—კაზუალიზმი  
 Казуистика—კაზუსტიკა  
 Казуистический—კაზუსტიკური  
 Казуист—კაზუსტი  
 Калибровать—კალიბრირება, დაკალიბრება, დაყალიბება, ჩამოყალიბება  
 Каллиграфия—კალიგრაფია  
 Каллиграф—კალიგრაფი



- Каллиграфический — კალიგრაფიული, საკალიგრაფიო
- Кардинальный — კარდინალური
- Кассовый — საკასო
- Катастрофа — კატასტროფა
- Катастрофический — კატასტროფული, საკატასტროფო
- Каузальность — კაუზალობა
- Каузальный — კაუზალი
- Квадрат — ქვადრატი
- Квадратный — ქვადრატული
- Кляуза — შარი
- Кляузный — შარიანი, საშარო
- Кляузничать — შარიანობა
- Классификация — კლასიფიკაცია
- Классифицировать — კლასიფიცირება
- Комментарий — კომენტარი
- Комментатор — კომენტატორი
- Комментировать — კომენტირება
- Компромисс — კომპრომისი
- Компромиссный — კომპრომისიული, საკომპრომისიო
- Коммуна — კომუნა
- Коммунальный — კომუნალი, კომუნური, საკომუნო
- Конкретный — კონკრეტი
- Конкретизация — კონკრეტიზაცია
- Конкретизировать — კონკრეტიზირება
- Констатировать — კონსტატირება
- Контролировать — კონტროლირება
- Корректировать — კორექტირება
- Корректив — კორექტივი
- Кризис — კრიზისი
- Критическое положение — კრიზისული მდგომარეობა
- Критический — კრიტიკული
- Криминал — კრიმინალი
- Криминалист — კრიმინალისტი
- Криминалистика — კრიმინალისტიკა
- Криминальный — კრიმინალური
- Кубический — კუბური

3. ქავთარაძე.

შრომის საქმეთა სასამართლოების მუშაობის შესახებ.

(საქ. პროფკავშირთა საბჭოს მეშვიდე პლენუმის გამო).

შრომის საქმეთა სასამართლოს მუშაობა წინათაც იპყრობდა პროფკავშირის საბჭოს, იუსტიციისა და შრომის სახალხო კომისარიატების ორგანოების დიდს ყურადღებას; თავისებური ინსტიტუტი შექმნა საბჭოთა სამართალში შრომითი სესიის სახით განსაკუთრებით ფაქტების იუსტიციის კომისარიატის სასამართლოს ორგანოების მეშვეობით დაიცვა მშრომელთა ინტერესები და შრომის კანონები დამრღვევთა წინააღმდეგ მიიღოს სათანადო ღონისძიებანი; ასეთი მოქმედებით კი დაეხმაროს შრომის კომისარიატს, როგორც შრომის პირობების სახელმწიფოებრივ მომწესრიგებელს აღნიშნულ საკითხების მოწესრიგებაში. განსაკუთრებით მწვევეთ დაისვა საკითხი შრომის კონფლიქტების შესახებ ცნობილი ლარინის პრაქტიკული წინადადების შემდეგ. არსებობს მთელი რიგი დედგნილებისა საქმის გაქინურების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ეს უფრო მთავლის საკითხია, ჩვენ მტკიცებით ადგილები კი სასწრაფოდ გამოსწორებას მოითხოვენ, რომ სასამართლოს მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს და მშრომელთა საქმეები წარიმართოს იმ მიმართულებით რაც განსაზღვრულია შრომის კანონთა ნორმებით.

შრომითი სესიებმა დიკავეს თვალსაჩინო ადგილი იმ ორგანოთა სისტემაში, რომელნიც აწესრიგებენ შრომითი ურთიერთობას.

საქმეთა მოძრაობა ტფილისის შრომის სასამართლოში მიმდინარეობს აღმავალი ხაზით და წარმოადგენს შემდეგ სურათს: 1923 წელში 849 საქმე, — 1924 წ. 1886, 1925 წ. 3084, 1926 წ. 3601 და 1927 წ. 4322, 1925 წლიდან კი სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი თანდათან მცირდება ან სტაბილიზაციის პირობებში იმყოფებოდა. უკანასკნელის მოძრაობა მიმდინარეობდა შემდეგი სახით: 1923 წელში შეთოსულია 501 საქმე, 1924 წელში — 1556, 1925 წ. — 646, 1926 წ. — 429 და 1927 წ. — 208. 1928 წლის მაისის პირველ რიცხვებში სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა აღწევდა მხოლოდ 15. მთავარი მასა საქმეებისა 1923-24 და 25 წლებში მოიცავდა შრომის პირობების მომწესრიგებელი კანონების დარღვევას. შემდეგ მოდის პროფესიონალურ კავშირებთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დარღვევა და ბოლოს მომუშავეთა ჩაყენება ისეთ პირობებში, სადაც მათ შეეძლოთ დაეკარგათ შოიძის უნარი. ამ ბოლო დროს 27-28 წლ. წლ. უშიშროების ტენიკის და შრომის დაცვის არა სათანადო პირობებმა გამოიწვიეს მთელი რიგი დანაშაულებათა ინჟინერების, ფაბრიკაქარხნების დირექტორებისა და სხვ. მხრივ.

სამოქალაქო საქმეებს თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ პირველ რიგში სდგას ჯგუფური დავა, სადაც მოსარჩლეებთ გამოდიან მუშა-მოსამსახურეები, 3-5 და მეტი შემადგენლობით, მეორე რიგში სდგას ინდივიდუალური დავა, მესამე რიგში კი თვით პროფკავშირთა მიერ აღძრული სარჩელები. უკანასკნელ შემთხვევაში მოსარჩლეებად გამოდიან თითო ორ-ოთხი მუშები, მაგრამ აღნიშნულ სარჩელის დამაყოფილება იწვევს ანალოგიური საქმეების მთელ რიგს. თუ მოვანდნთ აღძრულ სარჩელთა კლასიფიკაციას მათი ხასიათის მიხედვით. შემდეგი მდგომარეობა გვექნება: 1) მიუღებელი სამუშაო ხელფასისათვის ჯილდო 2291, 2) ზედმეტი მუშაობის ჩატარებისათვის — 519, 3) გასასვლელი დახმარება — 211, 4) რაციონალიზაციის ანუ მუშაობის მეთოდის და ტენიკურ გაუმჯობესობასთან დაკავშირებული დათხოვნა მუშებისა — 19, 5) კოლექტიური და შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შეუსრულებლობა — 331, 6) უკანონო დათხოვნა 173, 7) დანარჩენი 229, და ასე შემდეგ.


საქმეთა მოძრაობა კავშირების მიხედვით შემდეგ სურათს წარმოადგენს: კავშირების მიერ აღძრული სარჩელები თანდათანობით ასეთია: კომუნალური კავშირის მიერ აღძრულია 404 საქმე, სახალხო კვების კავშირის მიერ — 258, საბჭოთა მუშაკების კავშირის — 193, აღმშენებელთა — 134 და ასე...

თუ ავიღებთ პროცენტულ დამოკიდებულებას აღძრულ სარჩელთა შორის, დავინახავთ, რომ 35 პროც. საქმეებისა აღძრულია პროფკავშირების მიერ, შემდეგ მოდის ინდივიდუალური დავა 30 პროც-ის რაოდენობით, აღძრული თვით მუშა-მოსამსახურეების მიერ, შრომის ინსპექტორისა და შრომის კომისარიატის მიერ გადმოგზავნილია 20 პროც. და ასე შემდეგ...

1927 წ. საქმეებს ჰქონდა შემდეგი მიმდინარეობა: გადაწყდა 1894 საქმე, მოისპო 858 საქმე, შეჩერდა 663, უარი ეთქვა სარჩელში 229 საქმეზე. საშუალოდ სასამართლო 1927 წელში არჩევდა თვითურად საქმეს 200-მდე. ამ ციფრში არ შედის გარჩეულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა.

წინა წლებში ვხვდებოდით საქმეთა კატეგორიებს, რომელიც მოიცავდა უხეშად დარღვევას შრომითი კანონმდებლობისა. ეს აიხსნება შრომითი კანონმდებლობის არცოდნით, ადმინისტრატორთა და ცალკე მუშურნეობის მმართველთა დაუდევრობით და სხვ. დღევანდელ პირობებში აღნიშნული სარჩელთა კატეგორიები შემცირდა, ჩვენმა ადმინისტრატორებმა და მუშურნეობის მმართველებმა ზოგადად შეითვისეს შრომითი კანონმდებლობა, თუმცა ზოგიერ შემთხვევებში არ შეწყვეტილა უკანასკნელთა მხრივ ასეთი უხეშად დარღვევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათ უფრო გააძლიერეს დარღვევა და „ცურვა“ ისეთ საკითხებში, როგორც არის სამუშაოდან დათხოვნა და ზედმეტი მუშაობის წარმოება. ამ მიმართულებით კიდევ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა, რომ თვითნებობა აღმოიფხვრას და სტაბილიზაციის პირობები შეიქნეს. რით აიხსნება ზემოდ მოყვანილი საქმეთა ზრდა შრომითი სესიებში? ჩვენის აზრით კონფლიქტთა ზრდა გამოწვეულია ჩვენი ეკონომური პოლიტიკის გართულებით (საკურო ბრუნვა, წარმოების ზრდა, რაციონალიზაცია მმართველობისა და მუშურნეობის და სხვ.) ის ფაქტი, რომ 1923 წელში წარმოებაში იყო 850 საქმე, 1927 წელში კი 4322 და რომ თანაშემადრებულობა ამ ორ წლებს შორის დიდად თვალსაჩინოა, აგვრთვეს ის მდგომარეობა რომ შრომის კონფლიქტების ზრდა უკანასკნელ დროს მატულობს და





მუშაკების რაოდენობა კი ძველ კალაპოტში დარჩა, ნათლად ადასტურებს მუშაობის ხარისხიანობის დაწვევას შრომის კონფლიქტების განხილვის დარგში. ჩვენი შრომითი კანონმდებლობა სამოქალაქო სამართალთან შედარებით ცუდადაა დამუშავებული, საქმეს ვერ შევლის ვერც შრომის სახ. კომისარიატის გამოცემული უამრავი განმარტებული და ამით აიხსნება რთული მუშაობა კონფლიქტების განხილვითა და რგში. თუ ავიღებთ ცნობებს სარჩელთა დაკმაყოფილების შესახებ ასეთი, სურათი წარმოსდგება: 1923-1924 წლებში სარჩელებს სასამართლო აკმაყოფილებდა ნაწილობრივ და მთლიანად 85-88 პროც., უარს ეუბნებოდა სარჩელში 12-15 პროც.; ხოლო 1926-1927 წლებში შემდეგი მდგომარეობა იყო: სასამართლომ ნაწილობრივად და მთლიანად დააკმაყოფილა სარჩელები 65-7 პროც. უარი უთხრა 33-35 პროც., აღძრული სარჩელები სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა წინააღმდეგ 40 პროც.; შეადგენდნენ, კერძო დაწესებულების—60 პროც.; უკანასკნელ რაოდენობაში შედის წვრილმანი საქმეები კომუნალური კავშირის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეგზოვთა საქმეები შეადგენენ საქმეთა მასის 30-35 პროც. ეს დამოკიდებულება საერთოდ საქმეთა მიმდინარეობასთან ცხადად გვიჩვენებს იმ ფაქტს, თუ რაზედნად აუცილებელია და მიზანშეწონილი მეგზოვთა მუშაკების გადაყვანა აღმასკომის ადმინისტრაციულ განყოფილების შტატში, მით უმეტეს, რომ მილიციის ორგანოების მუშაობა დიდძალი დამოკიდებული აღნიშნულ მუშაკების მუშაობასთან.

ნარჩენი საქმეები 1928 წ. იანვრისათვის იყო 773. 1928 წ. საქმეთა რაოდენობა მატულობს და მიუხედავად სასამართლოს შრომის ნაყოფიერების გაზრდისა 1 იანვრის 1928 წ. წარმოებაში დაუმთავრებელი საქმე იყო 809. ამრიგად ზემოდ მოყვანილ ციფრებზე მასალიდან ცხადი ხდება, რომ საქმეთა რაოდენობა 1923 წელთან შედარებით ხუთჯერ და მეტად გაიზარდა. მეტს ზრდას უნდა მოველოდეთ და ვარაუდად შეიძლება ითქვას, რომ 28 წ. საქმეთა რაოდენობა იქნება არა ნაკლებ 6500.

ორდესაც ნორმალურად მიმდინარეობდა საქმეთა შემოსვლა 1923-24 წლებში, საქმეები წყდება არა უგვიანეს 15 დღისა, დირექტივა იმ პერიოდში შრომის კონფლიქტების 10 დღის განმავლობაში გადაწყვეტის შესახებ უკლებლივ სრულდებოდა. 1926-27-28 წლებში შრომის საქმეების ზრდა 850-დან 4322-მდე ავიდა, მუშაკთა რიცხვი კი ძველი დარჩა. განხილვა თვითეულ სხდომაზე 30-35 საქმისა, მათი ტენიკურად მომზადება, კანონმდებლობის შეფარდება და სხვ. მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

უნდა აღვნიშნოს, რომ ძლიერ მწვავედ სდგას საკითხი კონფლიქტების მიმდინარეობისა, რადგან სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი სასამართლოს სხდომაზე ხშირად არ ცხადდებიან და სასამართლო იძულებული ხდება წერილობით მიმართოს მათ იმის აღნიშვნით, რომ თუ ისინი შემდეგ სხდომაზე არ გამოცხადდებიან, საქმე გაიჩრევა მათ დაუსწრებლად და სხვა. აქ საჭიროა აღვნიშნოს სახელმწიფო წარმომადგენელთა და იურისკონსულტების ის მოქმედება, რომ მეორედ გამოიწვევისას ისინი აცხადებენ, რომ მათ სასამართლოში მასალები არა აქვთ საქმის დასაცავად, შენდევ მოწმეების დაკითხვის მითითებებს ამ რიგად 100 პროც, მზად არიან ისინი, ხელი შეუწყონ საქმის გაკიანურებას. ამით ისინი ზარალს აყენებენ სახელმწიფო დაწესებულებებს. კერძო წარმოება-დაწესებულებათა წინააღმდეგ აღძრული საქმეები უფრო ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს. რა არის მიზეზი საქმეთა ასეთი გაკიანურებისა?

საქართველოს სინამდვილეში შრომითი პროკურატურას არ მიუღია სათანადო ღონისძიებანი, რომ ძირშივე აღეკვეთა დაწესებულებათა ბიუროკრატიული ტენდენციები. რუსეთის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შრომითი პროკურატურა მკაცრია იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობას, და მათ სისხლის სამართლის წესით სჯიან („კოლპოკიტჩიკის“).

სასამართლოს ნაკლები ყურადღება ექცეოდა უზენაეს სასამართლოს მხრითაც. უკანასკნელს უნდა შეესწავლა სასამართლოს მტკიცე უღი ადგილები და მიეღო სათანადო ღონისძიებანი მუშაობის გასაჯანსაღებლად.

თვით პროკავშირები, რომლებსაც გამოყოფილი ყავთ თავიანთი წარმომადგენელი, თვალსაჩინო დახმარებას ვერ უწყვენ სასამართლოს საქმიანობას. ისინი ხშირად არ გზავნიან სარჩელს არჩევს სათანადო მტკიცებებით და მასთან თვითონაც არ ცხადდებიან სასამართლოში.

დიდად მნიშვნელოვან, დადებით როლს თამაშობს საქართველოს პროკავშირთა იურიდიული ბიურო, რომელიც მშრომლებს და დანებარებას უწყვეს როგორც სასამართლოში გამოსვლით, ისე იურიდიული რჩევა-დარიგებით, მაგრო მათი დახმარება ვერ არის საკმაო შტატების საიციების გამო. ამიტომ რადიკალურათ უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მშრომლებისადმი იურიდიული რჩევა-დარიგებათა მიცემა გაძლიერდეს, მოეწყოს იურიდიული ბიუროსთან მაგიდა სასარჩლო განცხადებათა შედგენისათვის.

უზენაეს სასამართლოს ზოგიერთი დადგენილებებიც ართულვებენ პროცესის ვითარებას (შედარებითი შეფასება, ექსპერტიზა და სხვა). საჭიროა აღნიშნულ დადგენილებათა გაუქმება. ამ საკითხთან დაკავშირებით გაუმჯობესებულ უნდა იქნას საკასაციო კოლეჯის მუშაობა.

დეფექტები სასამართლოს მუშაობაშიც ბევრია, ასეთის გამოსწორებისათვის მიღებულ იქნა ღონისძიებანი, გამოტანილი იქნა დადგენილებაც ყოფილ ოლქის სასამართლოს პლენუმის მიერ. მაგრამ დადგენილება, როგორც სჩანს დაიწერა ფორმალურად, არსებითად კი არაფერი გავლენა უქონდა. ჩვენი ანგარიშები უმთავრესად აღებულია თბილისის შრომის საქმეთა სესიის საქმიანობიდან: პროცენტული გამოანგარიშებით დამტკიცებულია, რომ საქართველოს მასშტაბით შრომის კონფლიქტების 75% ტიფლისს ეკუთვნის.

კონკრეტული ღონისძიებანი შრომის საქმეთა სესიების მუშაობის გაჯანსაღების მიზნით იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლეჯის 28 მაისის დადგენილება და პროკავშირთა საბჭოს 6 იანვრის ა-წ. დადგენილება ავალებს სასამართლოებს ინფორმაციას შემდეგი დირექტივებით:

1) აუცილებელივ საქმეებზე იქმნეს ცნობილი დროებით მესამე სესიის მოწყობა თავის ტენიკური აპარატით არა ნაკლებ ოთხ თვის ვადისა, რომ განტვირთულ იქმნეს სასამართლო საქმეთა დაგროვებიდან (1-5--28 წ. დარჩა გაუხილველი 309 საქმე), რისთვისაც სათანადო ორგანოებში დაისვას საკითხი ასეთის მოგვარებისათვის.

2) აღიძრა საკითხი საქართველოს პროკავშირთა საბჭოს წინაშე, რომ გაძლიერებულ იქნას მშრომლებისადმი იურიდიული დახმარება, კერძოდ აბსოლუტურათ აუცილებელია პროფსაბჭოს იურიდიულ ბიუროსთან გამოიყოს მაგიდა სასარჩლო განცხადებების შედგენისათვის და პროკავშირთა ჯგუფური და ინდივიდუალური დავა გადმოიგზავნოს სასამართლოში უკანასკნელის მეშვეობით.

3) ტიფლისის აღმასკომის და შემდეგ სასკომსაბჭოს ხაზით გატარდეს დადგენილება, რომ დაწესდეს მიზნობრივი გადასახადი სახლის მფლობელობაზე მეგზოვთა მუშაკების ხელფასით დაკმაყოფილებისათვის, უკანასკნელნი კი გადაყვანილნი იქნან აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების შტატში (მეგზოვთა საქმეები 35--40% აღწყვენ).

4) მუშათა და გლეხთა ინსპექციის საშუალებით გაცემულ იქნას სათანადო ცირკულარული განკარგულება, რომ სამეურნეო საწარმოთა და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები პირველ გამოიწვევასთანავე ცხადდებოდნენ სასამართლოში საჭირო საბუთებით. გაფრთხილებულნი იქნან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იმ მიზნით, რომ საჩივრების აღძვრას ნუ გამოიწყვევენ უსაფუძვლოდ და კეთილსინდისიერათ გამოიყენონ საბჭოთა კანონები.

5) სასამართლოს მუშაკებს შორის რაციონალურათ იქნეს გაწაწილებული მუშაობა, რაციონალურად გამოყენებულ იქნეს კანცელარიის შტატი და დაისვას საკითხი სათანადო ორგანოებში მუშაკების გადიდების შესახებ.

6) საქმეებზე იქნას ცნობილი, რათა საკანონმდებლო წესით გატარებულ იქნას დადგენილება წერილობით საქმეთა კატეგორიისათვის გასაჩივრების უფლების აღკვეთისათვის. აღნიშნულ საქმეებზე გადაწყვეტილებათა განსაჩივრებას არ უნდა ექნეს ადგილი. (საკავშირო შრომის კომისარიატის დადგენილებების საფუძველზე).

7) აკერძალოს კასაციულ ინსტანციებს ფორმალური მიდგომით საქმეთა გაუქმება, უკანასკნელს უფლება მიეცეს სათანადო ცვლილებები შეიტანოს პირველ ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რითაც აცილებულ იქნება ორმაგი მუშაობა. ამასთან დაკავშირებით საკასაციო კოლეჯებში მთავარი ყურადღება მიექცოს მატერიალურ მხარეს.

8) წინააღმდეგ მიეცეს შრომის პროკურატურას გაძლიეროს ზედამხედველობა სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებათა ხელ-



მძღვანელობაზე და მათ იურისკონსულტებზე, რომელნიც საქმეებს აკიანურებენ და მშრომელთა სამართლიან მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებენ, გაძლიერებულ იქნას სისხლის სამართლის და მატერიალური პასუხისმგებლობა მე-15 პარტყრილობის დირექტივების მიხედვით.

9) წინადადება მიეცეს შრომის სასამართლოს გაატაროს ცხოვრებაში სამოქ. საპრ. კოდ. 187 მ. მოთხოვნილება გადაწყვეტილება-თა დაუყოვნებლივ აღსრულებისა შრომის ხელფასის თაობაზე, გარდა ისეთ შემთხვევების, როდესაც თანხათა რაოდენობა დიდია და მიმართულია სახელმწიფოს მიმართ და წარმოადგენს ხელფასს დამატებით შრომითი ხელშეკრულების გამომდინარე პირობებიდან, მაგ. საკომისიო, პროცენტული და სხვა ამგვარი ჯილდო. (იხ. რუსეთის უზენაეს სასამართლოს 2 აპრილის 1928 წლის პლენუმის დადგენილება).

10) უზენაეს სასამართლომ მიიღოს ზომები პროცესის გართულების წინააღმდეგ. გაუქმებულ იქნას უზენაეს სასამართლოს 15 აპრილის 1927 წლის დადგენილების ზოგიერთი მუხლები, რომელიც ხელს უწყობს საქმეთა გაკიანურებას (შედარებით შეფასება, ექსპერტიზა და სხვა). გაძლიერებულ იქნას უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგია სათანადო სპეციალისტის დანიშვნით შრომის საკითხებისთვის.

11) უზენაესმა სასამართლომ უფრო სისწორით შეისწავლოს სასამართლოს მუშაობათა სუსტი ადგილები და გამოსცეს სათანადო დირექტივები.

12) ეთხოვოს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, რომ უკანასკნელმა გასცეს განკარგულება ყველა კავშირებისადმი, რომ კავშირების წარმომადგენლები თავის დროზე ცხადდებოდენ სასამართლოში საჭირო საბუთებით.

13) უზრუნველყოფილ იქნას სასამართლო საჭირო იურიდიული ლიტერატურით.

14) სანამ შეიცვლებოდეს უზენაეს სასამართლოს 15 აპრილის 27 წლ. დადგენილება უკანონო დათხოვნილ პირთა აღდგენის საკითხის ირგვლივ, წინადადება მიეცეს სასამართლოს ურყევად გაატაროს ხსენებული დადგენილების მე-2-ე მუხ. დამნაშავეთა პირების პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ.

უკანასკნელი საკითხთა ჯგუფი, რომელიც გამოიტანა პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა და იუსტსახკომის კოლეგიამ ეხება პროფკავშირების ძირითად ორგანოთა მუშაობის გაძლიერებას; დღევანდელ პირობებში შრომის სესიებში აღიძვრის ისეთი საქმეები რომელთა მოგვარება ადვილი შესაძლოა პროფკავშირთა ხაზით; ამასთან დაკავშირებით პროფკავშირთა ორგანოები მასწავლებლებს მეტად მოიკოტულებენ და არ აწარმოებენ არავითარ მუშაობას მათი ინტერესების დასაცავად.

უკანასკნელ საკითხთა მოგვარების და კომისარიატის კოლეგიის დადგენილებათა რეალიზაციის მიზნით გადადგმულია სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები.

სოციალისტურ მწინებლობასთან დაკავშირებით, სოციალისტურ შრომის პირობების მოწესრიგება დღევანდელ პირობებში საქმათ ძნელ ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ღონისძიება წამოყენებულ ამოცანების უმტკივნეულოდ გადაჭრისათვის.

6. ჯინჯარაძე.

მოითხოვს ხანმოკლე ვადაში განტვირთვას, რომ სესიას მიეცეს საშვალემა ახლად შემოსული საქმეები-აწარმოოს ნორმალურად, რომ საქმეთა რიცხვის გაზრდას ხელს უწყობს ერთი მხრივ ტფილისში-პროფკავშირების ძირითად ორგანოთა მუშაობის შესუსტება, რაც სჩანს იმ გარემოებიდან, რომ შრომის სესიაში წარმოებაშია ისეთი საქმეები, რომელთა მოგვარება მოწესრიგება ადვილი შესაძლოა პროფკავშირთა ძირითად ორგანოების ენერგიული მუშაობის პირობებში, ხოლო მეორეს მხრივ მასწავლებლებში პროფკავშირთა ორგანოები მეტად მოიკოტულებენ და თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ თავის წევრთა ინტერესების დასაცავად, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ ლაგოდების უბ. სახ. სასამართლოში აღძრულ 99 ბატრაკ-მოჯამავირის საქმეზე არც ერთში პროფკავშირების მიერ არ ყოფილა დადებული ხელშეკრულება კერძო დამქირავებლებთან და არც სასამართლო პროცესში იღებენ მონაწილეობას, რომ ქ. თბილისის სახ. სასამართლოს შრომის საქმეთა სესიის საქმეებით დატვირთვაში დიდი როლი მიუძღვის მეგობრულ მომუშავეთა შრომის ხელფასით დაკმაყოფილების საკითხის მოუწესრიგებლობას, რომელთა საქმეებიც შეადგენენ სასამართლოში აღძრულ 35—40 პროც. მათ, მეგობრებს განსაკუთრებით განაპირა უბნებში არა ჰყავთ განსაზღვრული დამქირავებლები და რაიმე დავის აღძვრისას სასამართლოს თითქმის სიით უხდება დამქირავებელთა გამოწვევამათვის საესგებით უმნიშვნელო საქმეებზე (თანხების სიმცირის გამო), რომ შრომის სესიის არა კეთილ საზოგადო აზრის შექმნის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს საქმეთა გაკიანურება, მრავალჯერ გადადება და დროზე გადაწყვეტილებათა სისრულეში მოუყვანლობა, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სარჩელთა განცხადებებს მომჩივნები სწვრენ არა სათანადოდ და არ ურთავენ საჭირო საბუთებს, მოსამართლენი, დატვირთვის გამო, მოკლებულნი არიან საშვალეებს სარჩელები მიიღონ უშუალოდ და ყოველი საჭირო საბუთები მოსთხოვონ საქმეთა შედგენამდე, სასამართლოში უწყებით მოწვეულნი არ აღგენენ საჭირო საბუთებს, იგვიანებენ ან სავსებით არა ცხადდებიან არამც თუ სხვა და სხვა დანაშაულებათა წარმომადგენლები, არამედ მაძიებელთა ინტერესების დასაცავად მოწვეული თვით პროფკავშირთა წარმომადგენელნიც; სასამართლოს უწყებები შიკრიკის მეტად დატვირთვის გამო არა ბარდება თავის დროზე; უზენაეს სასამართლოს 1927 წ. 15 აპრილის დადგენილების ზოგიერთი მუხლი მეტად ართულებს შრომის საქმეთა პროცესს და აფერხებს მათ წარმოებას, შრომის საქმეთა პროკურატურა ფართოდ სარგებლობს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შეჩერების უფლებით, ზოგიერთი დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ბოროტად იყენებენ პროცესით გათვალისწინებულ საშვალეებს და დიდხნობით არ მოჰყავთ სისრულეში აშკარად სწორი გადაწყვეტილებანი უმნიშვნელო თანხებზე, რითაც დაწესებულება-წარმოებას საქმის საბოლოოდ გადაწყვეტისას მოსდის დიდი ზარალი გაცდენილ დროის გასამრჯელოს გაცემის სახით და ადგინა: 1) ა) ეთხოვოს პროფკავშირთა საბჭოს გაძლიეროს მშრომელებისათვის იურიდიული დახმარება, კერძოდ იურიდიულ ბიუროსთან დაარსდეს წერილობითი დახმარების ბიურო სასარჩლო განცხადებათა შესადგენად,

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილება

ქ. ტფილისის სახ. სასამართლოს შრომის საქმეთა სესიის მუშაობის შესახებ.

კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ შრომის საქმეთა რიცხვი თანდათან მატულობს, ქ. ტფილისის სახ. სასამართლოს შრომის საქმეთა სესიაში 1 ამა მაისისათვის თაიროვითა 800 მიტი დაუმთავრებელი საქმე, რაც



ბ) მიაქციოს მეტი ყურადღება ქ. ტფილისში ძირითად თავის ორგანოებს (შემფასებელ საკონფ. კომისიებს), რომ მათ მუშაობაში გამოიჩინონ მეტი ენერგიულობა, ნაზრებში გამოაცოცხლოს პროფორგანოთა მუშაობა, ბატრაკ-მოჯამაგირეთა ინტერესების დასაცავად დამჭირავებლებთან ხელშეკრულების დადების და სასამართლოში მოჯამაგირეთა ინტერესების დასაცავად ჩარევის სახით, გ) თავის დროზე ცხადდებოდენ პროფკავშირთა წარმომადგენელნი სასამართლოში და ადგენდენ ყოველივე საჭირო საბუთებს; 2) მიღებულ იქნეს ზომები სახლის მფლობელობაზე მეგობრული მუშაკების ხელფასით დაკმაყოფილებისათვის მიზნობრივ გადასახადის დასაწყებლად და მეგობრული-მუშაკები გადაყვანილ იქნენ აღმასკომის აღმინგანის შტატში; 3) აღიძრას შუამდგომლობა (კაკის წინაშე განიმოხროს თავის ცირკულარი, რომ დაწესებულებათა წარმომადგენელნი პირველ გამოწვევისთანავე ცხადდებოდენ საჭირო საბუთებით სასამართლოში და გაფრთხილებულ იქნენ დაწესებულება-ორგანიზაციები სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისას კეთილსინდისიერად გამოიყენონ არსებული კანონები; 4) ა) მივლინებულ იქნეს უბნის ერთ-ერთი მოსამართლე შრომის სესიაში ხელმძღვანელად და შეძლებისდა მიხედვით საჭირო შემთხვევებში სხდომებზე დასახმარებლად; ბ) სასამართლოს კანცელარია, კომუჯრდის და კომისარიატთან მოწვეულ თათბირის დადგენილებათა თანახმად, გაერთიანებულ იქნეს ერთი მდივნის დატოვებით და მეორე მდივნის მაგიერ აყვანილ იქნეს ორი თანამშრომელი; გ) უფრო რაციონალურად იქნეს გამოყენებული კანცელარიის შტატი, დ) დაინიშნოს შრომის სასამართლოში მესამე შიკრიკი, ე) წინადადება მიეცეს შრომის საქმეთა სესიის თავმჯდომარეთ ხანმოკლე ვადაში განტვირთონ სასამართლო დაგროვილ საქმეებისაგან; ვ) მეტი ინტენსივობით აწარმოონ საქმიანობა, ზ) სხდომების გახსნა, თანახმად კომისარიატის ცირკულარულ განკარგულებისა, აწარმოონ ზამთარში დილის 10 საათიდან, ხოლო ზაფხულში 9 საათიდან თ) მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში სწორად დაიცვან ამისათვის არსებული წესები; 5. ა) წინადადება მიეცეს უზენაეს სასამართლოს შრომის საქმეთა განხილვისას ნაკლებად გამოიყენონ ფორმალური მიდგომა, ბ) გადაწყვეტილებებში შესაძლო შემთხვევებში, გაუქმების მაგივრად, შეიტანოს ცვლილებები, გ) მთავარი ყურადღება მიაქციოს საქმეთა მატერიალურ მხარეს, დ) გადასინჯოს თავის 1927 წლ. 15 აპრილის დადგენილება ზოგიერთი მუხლების (შეღარებითი შეფასება, ექსპერტიზა და სხვა) გაუქმების მიზნით, მანამდე კი 6) ა) შრომის სასამართლომ სწორად იხელმძღვანელოს აღნიშნულ დადგენილების მე-2 მუხლით და დამნაშავენი მისცეს პასუხის გებაში, ბ) დაევალოს შრომის სასამართლოსავე სწორად გაატაროს ცხოვრებაში სამოქ. საპრ. კოდ. 1872-მუხ. მოთხოვნილება გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ შრომის ხელფასის თაობაზე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც თანხათა რაოდენობა დიდია; მიმართულია სახელმწიფოს მიმართ და წარმოადგენს დამატებით ხელფასს, შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირობებიდან (მაგ. საკომისიო, პროცენტული და სხვა ამგვარი ჯილდო). 7) წინადადება მიეცეს შრომის საქმეთა პროკურორს გააძლიეროს ზედამხედველობა

სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებზე და მათ იურისკონსულტებზე, რომელნიც საქმეებს აკვიანურებენ და მშრომელთა სამართლიან მოთხოვნა-ნილებებს არ აკმაყოფილებენ, 8) გაძლიერებულ იქნეს დაწესებულებათა ხელმძღვანელების სისხ. სამართლის და მატერიალური პასუხისმგებლობა საქ. კომპარტიის (ბ) მე-XV ყრილობის დირექტივების მიხედვით, 9) წინადადება მიეცეს კომისარიატის 1 განყოფილებას პირველ რიგში მოახდინოს რევიზია შრომის სესიაში, 10) აღიძრას საკითხი უმნიშვნელო თანხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა განუსაჩივრების შესახებ (საკ. შრ. სახ. კომის. დადგენილების მიხედვით).

**მაზრის პროკურორთა მორიგ თათბირის მოწვევის შესახებ.**

დაევალოს კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებას იენისის შუა რიცხვებამდე ჩაატაროს ხუთ საპროკურატურო უბნის დათვალიერება და იენისის მეორე ნახევარში მოიწვიოს პროკურორთა მორიგ თათბირი, რომლის დღის წესრიგშიც დაისაგან საკითხი საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XV ყრილობის დადგენილებათა დამუშავების შესახებ (დასამუშავებლად და შესაფერ დირექტივების მისაცემად).

**დასჯაგამასწორებელ პოლიტიკის გაძლიერების შესახებ.**

შესწავილ იქნეს არსებული დასჯა გასწორების პოლიტიკა შ. ს. ს. კ. საპატიმრო სამმართველოს წარმომადგენელთან ერთად და მოხსენება მოსმენილ იქნეს მათ წარმომადგენელის თანდასწრებით.

**განათლების სახკომის მომართვის შესახებ.**

შესაძლებლად იქნეს ცნობილი სოფლის შენობების დაგირავება მხოლოდ ასაღებად და ამ საფუძვლით სახელგამის პრეტენზიის უზრუნველსაყოფად სოფლის შენობებზე გირავნობის ფურცლის გაცემა, ხოლო ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მიწსახკომთან ერთად გამოიყენეს ცირკულარი, რომელიც გაითვალისწინებს სოფლის შენობების დაგირავებასა და მათზე გირავნობის ფურცლების გაცემის წესს და რეგისტრაციას.

**ადგილკომის და კოოპერატიულ კომისიის შუამდგომლობა თანამშრომლების მიერ კრედიტის მისაღებად მუშკოპისათვის 3000 მან. საგარანტო წერილის მიცემის შესახებ.**

ხელწერილის გაცემა ფინსახკომის მეშვეობით პრინციპალურად მიღებულ იქნას. დაევალოს ამხ. ენუქიძეს და ბრეგვაძეს შეამოწმონ საჭირო თანხის რაოდენობა და თვით თანამშრომელთა სია. დაევალოს საფინანსო ნაწილს კრედიტის თანხათა დაკავება აწარმოოს შრომის ხელფასიდან ყოველ თვიურად ვადებზე და არავითარ შემთხვევაში არ იქნეს გაგრძელებული ვადა, რაიმე მიზეზით საბოლოოდ დაუკავებელი თანხა პროპორციულად იქნეს განაწილებული კრედიტით მოსარგებლე თანამშრომელთა შრომის ხელფასის ფონდზე. საკითხი გადატანილ იქნეს თანამშრომელთა საერთო კრებაზე.

**მომავალ 1928/29 საბიუჯეტო წლის შესახებ.**

თანახმად არსებულ დირექტივებისა თავი იქნეს შეკავებული სპეც და პასუხისმგებელ მუშაკთათვის შრომის



ხელფასის მომატებისაგან. თავისუფალი თანხები მოხმარდეს ტექნიკურ მუშაკთა ჯამაგირების მომატებას.

2) საკოდიფიკაციო ნაწილის ორი კოდიფიკატორის თანამდებობა გაუქმებულ იქნეს, მათ მაგივრად დაწესდეს საკოდიფიკაციო ნაწილის თანამდებობა შრომის ხელფასად 200 მანეთის მიცემით, ხოლო მეორეს მაგივრად მიღებულ იქნეს ტექნიკური მომუშავე.

3) სასამართლო მმართველობის განყოფილების ინსტრუქტორ-რევიზორთა თანამდებობანი შეცვლილ იქნეს ინსპექტორის თანამდებობით და ერთ მათგანს ეწოდოს უფროსი-განყოფილების გამგის საჭირო შემთხვევებში შეცვლის უფლების მინიჭებით.

4) ხარჯთ-აღრიცხვის ნაწილი ბინის დაქირავებაზე, გათბობა განათებაზე და სხვ. მიღებულ იქნეს უცვლელად.

5) ხარჯთ-აღრიცხვის ნოტარიატის ხარჯთა ნაწილი მიღებულ იქნეს საფუძვლად და გადაეცეს კომისიას დაწერილებით განსახილავად. ხარჯთ აღრიცხვის დაცვა დაევალოს ანხ. კაჭარავას და ბრეგვაძეს.

**ზუგდიდის მაზრის სასამართლოსა და პროკურორის მუშაობის შესახებ.**

აღნიშნოს ზუგდიდის მაზრის სასამართლო ორგანოთა და პროკურატურის სუსტი ბრძოლა მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, რაც გამოიხატება საქმეებზე „დანაშაულობის ნიშნების უქონლობის გამო“ საქმეთა მოსაობაში ან სხვა მიზეზებით ბრალდებულთა გამართლებაში, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, ამკარად არა სწორ სოციალურ დაცვის ღონისძიებების შეფარდებაში და პროკურატურის მხრივ ამ საქმეების განუსაჩივრებლობაში, ხოლო სანოტარო მოვალეობათა აღმსრულებელ სახ. მოსამართლის მხრივ კი მიწის ყიდვა-გაყიდვაზე სანოტარო გარიგებათა შესრულებაში. შეტანილ იქნეს პროტესტები მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეებზე გამოტანილ განაჩენებზე მათი სისუსტის და საქმეში არსებულ მასალასთან შეუფერებლობის ან ამკარად უსწორობის გამო. მიექცეს პროკურატურის და სასამართლოს ჯეროვანი ყურადღება ყოფა-ცხოვრების საქმეებს, ზუგდიდის უბნის სახ. გამომძიებელი აშხ. ციბაძე შეცვლილ იქნეს ადგილობრივ მოსახლეობის ენის (მეგრულის) უცოდინარობის გამო. მომავალ საბიუჯეტო წლიდან მაზრის პროკურორისათვის შეძენილ იქნეს ცხენი (არა უმეტეს 300 მანდირებული), დაევალოს ანხ. ქავთარაძეს, შონიას და კალანდაძეს შეიღუშაონ მოხსენებათა ირგვლივ საჭირო საბოლოო ღონისძიებანი პროკურატურის მუშაობაში სუსტი მხარეების აღნიშვნით და წინასწარ შეუთანხმონ იუსტსახკომს და მის მოადგილეს.

**თემალმასკომთა ქვემდებარებაში გადაცემულ საქმეთა წარმოების შესახებ.**

თემალმასკომთა წარმოებაში გადაცემულ საქმეთა წარმოება ჩაითვალოს სუსტად, რაც გამოწვეულია საქმის თემალმასკომთათვის სიახლით და სავსებით ხელმძღვანელობის უქონლობით. ზოგიერთ თემალმასკომთა განცხადებანი, რომ საქმეები ბრკოლდება მათი დატვირთვის და დროს უქონლობის გამო არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, ვინაიდან სწორედ ამის გამცხადებელ აღმასკომზე გადაცემული საქმეები თითქმის სავსებით ხელუხლებელია, ზოგიერთ აღმასკომებს მიუხედავად გადაცემულ

საქმეთა თვალსაჩინო რიცხვისა საქმეები თავის დროზე განუხილავთ და უკვე დაუშთავრებიან, ხოლო ზოგიერთსკი 2—3 გადაცემული საქმე არ განუხილავთ რამოდენიმე თვის განმავლობაშიც კი და მიზეზად აცხადებენ, რომ უცდიდენ საქმეთა დაგროვებას და ერთად განიხილავდენ. საქმეთა დაბრკოლებების ყველა ეს მიზეზები კოლეგიას არა სერიოზულად მიაჩნია და მათ შემდეგში თავიდან ასაცილებლად საჭიროა მხოლოდ სათანადო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა მაზრალმასკომის, პროკურორების და სასამართლო ორგანოთა მხრივ. ამიტომ კოლეგია მისაღებად სთვლის უმნიშვნელო თანხების სამოქალაქო და მცირე დანაშაულის სისხ. სამართლის საქმეთა თემებში შემდეგ გადაცემას, მით უმეტეს, რომ უკვე გადაცემულ საქმეთა მიხედვით თემალმასკომები, რომელთაც განიხილეს ეს საქმეები, აცხადებენ, რომ მოსახლეობა მეტად კმაყოფილია ამ გარემოებით და მას არ უხდება უბრალო საქმეებზე შორ მანძილზე სიარული, იმ პირობით კი, რომ ეს ღონისძიება გატარებულ იქნეს საცდელად სიღნაღის და შორაპნის მაზრებში და მიღწეულ შედეგების მიხედვით შემდეგ სხვაგანაც.

**თემალმასკომთა დებულების შესახებ.**

1) დებულების საფუძვლად მიღებულ იქნეს რ.ს.ფ.ს.რ. მომრიგებელ კამერის დებულების პროექტი სახელწოდების თემის სასამართლოს შეცვლით. 2) ქვემდებარეობა: ა) წანახედებზე დარჩეს 15 მანეთამდე, ბ) ტყის წესების დარღვევის შესახებ საკითხი დარჩეს ღიად და განიხილულ იქნეს სპეციალურ თათბირზე მიწადმოქმედების და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა თანდასწრებით, გ) სარჩელები—25 მანეთამდე, დ) კერძო ბრალდებათა წესით აღძრული სისხ. სამ. საქმეები დასახიჩრებათა გარდა და ვ) ქურდობა 10 მანეთამდე ღირებულ ქონებისა. 3) თემის სასამართლოს თავმჯდომარეობა დაევალოს თემის საბჭოს ერთ-ერთ წევრს, 4) მთავულებათ კი მოწვეულ იქნენ საერთო წესით მოსახლეობის კრებაზე არჩეულ პირთა სიიდან რიგ-რიგობით. 5) თავმჯდომარისათვის გასამრჯელოდ თვეში 25 მანეთამდე მიცემა საერთოდ მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, ხოლო ბიუჯეტის მიხედვით გასამრჯელო შეიძლება არ მიეცეს. 6) ამ საფუძვლებზე სათანადო დებულების პროექტის შემუშავება დაევალოს ანხ. ურუშაძის თავმჯდომარეობით შემდეგ სპეციალურ კომისიას.

**ქ. ტფილისის სახალხო სასამართლოთა მუშაობის რაციონალიზაციის შესახებ.**

ვინაიდან თანამშრომელთა ხშირ გადაყვან-გადმოყვანის შედეგად ქ. თბილისის ზოგიერთ უბნის სახ. სასამართლოებში მეტად გადიდდა ტექნიკურ თანამშრომელთა რიცხვი და ადგილი არა აქვს რაციონალურად მათ შორის სამუშაოს განაწილებას და თვით თანამშრომელთა გამოყენებას დაევალოს კომისიას აშხ. იპ. კაპანაძის (თავმჯდომარეობით) რ. კალანდაძის და პავლიაშვილის შემადგენლობით ერთი კვირის განმავლობაში რაციონალურად ჩამოაყალიბოს ქ. თბილისის საბინაო საქმეთა და უბნის სახ. სასამართლო მათი შემცირების მიზნით და შტატი, თანამშრომელთა შორის ფუნქციების განაწილებით და წარმოადგინოს კოლეგიის სხდომაზე საქმისათვის.



**ქ. ტფილისის სახ. სასამართლოთა პირად შემადგენლობის შესახებ.**

წინადადება მიეცეს სასამართლო მმართველობის განყოფილებას კოლეგიის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს ქ. ტფილისის და მის მაზრის სახ. სასამართლოთა მდივნების ახალი შემადგენლობა, მათი დამახასიათებელი ცნობებით, და გააკეთოს მოხსენება ქ. ტფილისის სახ. სასამართლოთა პირად შემადგენლობის შესასწავლად უკვე ჩატარებულ მუშაობის შედეგებზე.

**ნოტარიატის და საერთოდ სასამართლო აღმასრულებელთა სარევიზიო მასალების შედგენების შესახებ.**

წინადადება მიეცეს სასამ. მმართველობის განყოფილებას შეისწავლოს სასამართლო აღმასრულებელთა და ნოტარიატის შესახებ შეგროვილი სარევიზიო მასალები და მოახსენოს კოლეგიის შემდეგ სხდომაზე.

მ/გ ინსპექციის სახკომის ა. წ. 24/V-1218 № ცირკულარული მომართვა ცენტრალურ დაწესებულებებში მთხოვნელთა მისაღებად განსაზღვრულ დროს დაწესების და კვირა-უქმე დღეებში მათ მისაღებად პასუხისმგებელ ამხანაგთა მორიგეობის შემოღების შესახებ.

დაევალოს 1 განყოფილებას და სამნეო ნაწილს: 1) შენობის მთავარ შემოსავალში მოთავსებული ტაბელი სათანადოთ შეაესონ პასუხისმგებელ თანამდებობის ამხანაგთა, მათ ოთახების, კანცელარიათა ნომრების და მთხოვნელთა მიღების საათების აღნიშვნით;

2) პასუხისმგებელ ამხანაგთა ოთახის კარებზე გამოკრულ იქნეს მთხოვნელთა მიღების საათების აღნიშვნა;

3) ი. ს. კ. განყოფილებათა ყველა გამგებმა, პროკურორებმა, უზენაეს სასამართლომ, ქ. ტფილისის სახ. სასამართლოებმა და ტფილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ და უყონებლივ გამოჰყონ მთხოვნელთა მიღების საათები, სადაც ეს შესაძლებელია სამუშაოს ხასიათის მიხედვით საქმისათვის ზიანის მიუყენებლად. ანალოგიური ღონისძიებანი გატარებულ იქნეს მაზრებშიც. ღონისძიებათა ცხოვრებაში და უყონებლივ გატარების ზედამხედველობა დაეკისროს 1 განყოფილებას.

**პროექტი ახალი დებულებისა დამცველთა კოლეგიის შესახებ**

კოლეგია თავისდროულად და მომწიფებულად სთვლის იურიდიულ დახმარების აღმოჩენის კერძო შეთანხმების სისტემიდან კოლექტიურ სისტემაზე გადასასვლელად და ამიტომ უახლოეს მომავალში სათანადო ნაბიჯების გადადგმას.

# ქ რ ო ნ ი კ ა

**საქართველოს ცაკის მეოთხე სესია.**

ა. წ. ივლისის 3-ს ქ. ტფილისში გაიხსნება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესია. სესიის ღღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებების და მოვალეობების გაფართოების შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც პრეზიდენტის მიერ მიღებული იყო სესიიდან სესიამდე.
3. ორგანიზაციული საკითხები.
4. მიმდინარე საკითხები.

**ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება.**

2 ივლისისათვის მოწვეულ საქართველოს პროფკავშირების საბჭოს მეშვიდე პლენუმზე ამხ. ი. ვარძიელი გააკეთებს მოხსენებას შრომის საქმეების სასამართლოთა მუშაობის შესახებ.

**ახალი დანიშვნები და სამსახურიდან განთავისუფლება.**

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის სპროკურორატურა განყოფილების გამგის თანამდებობის მიხედვით მის მოადგილეთ დანიშნა ა. წ. 15 ივნისიდან იუსტისკომის ცენტრ. პროკურატურის პროკურორი ამხ. სერგო ქავთარაძე.

ა. წ. 1-ლი ივლისიდან გაუქმებულია ქ. ტფილისის მორიგი კამერა. მორიგი კამერის საქმეები გადაეცა მე II უბნის სახ. სასამართლოს; სახ. მოსამართლე ამხ. გაბუნია და მორიგი კამერის ტექნიკური შტატი დაემატა შრომის სახ. სასამართლოს.

ა. წ. 13 ივნისიდან გაუქმებულია საბინაო საქმეთა პროკურორის თანამდებობა. საბინაო საქმეებზე თვალყურის დევნება დავალებული აქვს ტფილისის მაზრა ქალაქის პროკურატურას. საბინაო საქმეთა პროკურორი იპოლიტე კაპანაძე გადაყვანილია ი. ს. კ. ცენტრ. პროკურატ. პროკურორათ, ხოლო ი. ს. კ. ცენტრ. პროკ. პროკურორი ნ. ჩუბინიშვილი გადაყვანილია ტფილისის მაზრა-ქალაქის პროკურორად.

ტფილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს წევრი აკაკი ლეკვეიშვილი განთავისუფლებულია აღნიშნულ თანამდებობიდან ა. წ. 15 ივნისიდან და ამავე რიცხვიდანვე დანიშნულია ი. ს. კ. 1-ლი განყ. სანოტარო ქ/განყოფილების გამგეთ.

ქ. ტფილისის მე-5 უბნის სახ. მოსამართლე ვლადიმერ მამალაძე განთავისუფლებულ იქნა სრულიად სამსახურიდან ა. წ. 1-ლი ივლისიდან.

ქ. ტფილისის მე-IX უბ. გამომძიებელი დავით აბაშიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან ა. წ. 20 ივნისიდან და მის მაგიერ დანიშნულია ამხ. მიხეილ ნოზაძე.

ტფილისის მე-II უბნის გამომძიებ. ვლადიმერ ვაჩნაძე განთავისუფლებულია ა. წ. 22 ივნისიდან და მის მაგიერ დანიშნულია დროებით არტემ ცვარიაანი.

წალკის უბნის სახ. გამომძიებელი თეიმურაზ დემურია განთავისუფლებულია სამსახურიდან ა. წ. 25 ივნისიდან და მის მაგიერ დანიშნულია ევგენი ამირხანოვი.

დამტკიცდენ ა. წ. 15 ივნისიდან თელავის უბნის სახ. მოსამართლე იოსებ ილიას ძე წვერიკაშიშვილი; ყვარელის უბნის მოსამართლე ვახილ ესიბაშვილი; წინანდალის უბნის მოს. იორდანე როსტომიშვილი; ანბეტის უბნის მოსამართლე იოსებ პაპუნაშვილი.

აღბულალის უბნის სახ. მოსამართლე ამხ. იასონ ჭყუახელი განთავისუფლებულია ა. წ. 15 ივნისიდან აღნიშნულ თანამდებობიდან.

ბორჩალოს მაზრის მოსამართლე ვალ. კერესელიძე დანიშნულია ა. წ. 15 ივნისიდან თელავის მაზრის მოსამართლედ, ხოლო თელავის მაზრის მოსამართლე პავლე ბურკაძე ამავე რიცხვიდანვე დანიშნა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამ. წევრათ.

ყარაიაზის უბნის მოსამართლედ დანიშნულია 1-ლი ივნისიდან ქეთევან რიზა-ზადე.

**მივილინებაში გამგზავრება.**

სასამართლო მმართველობის განყოფილების გამგე ამხ. იოსებ სიჭინავა და ამავე განყოფილების ინსტრუქტორი ბეჟუაშვილი მივილინებული არიან ქუთაისის მაზრაში რევიზიის მოსახდენათ.

**კომისიის დანიშვნა.**

ამხ. ი. ვარძიელის ბრძანებით, სანოტარო კანტორების გაერთიანების მიზნით მათი შტატის გადასასინჯათ შეიქმნა კომისია ამხ. ხარაბაძის თავმჯდომარეობით და შემდეგ წევრთა შემადგენლობით—ა. ლეკვეიშვილი, აფთ. კალანდაძე და თ. შავიშვილი. კომისიის დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას.



# ა. კ. იუსტიციის სახ. კომისართა მესამე თათბირი

21 ივნისს ტფილისში აშ. ნაზარეტიანის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისართა და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მესამე თათბირი.

პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა აშ. ნაზარეტიანის მოხსენება—წვრილ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გარჩევით სოფლის სასამართლო ორგანოების დაარსების შესახებ.

მომხსენებლის სიტყვით წელიწად ნახევარზე მეტია რაც ეს საკითხი წამოიჭრა პრესაში და სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში. პარტიის მიერ მოცემული იყო დირექტივა, რომ საქმეების გარჩევა დაუხლოდეს მასას—სოფელს. ეს დირექტივა ნაწილობრივ განხორციელდა მით, რომ ჩატარდა სასამართლოს ძველი ორგანოების, საოლქო სასამართლოების რეორგანიზაცია. მაგრამ დირექტივა უნდა შესრულდეს მთლიანად და სოფელში უნდა მოეწყოს ისეთი სასამართლო ორგანოები, რომლებიც შესძლებენ წვრილი საკითხების ისე გადაწყვეტას, როგორც ამას მოითხოვს პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და მუშათა კლასი.

ამ ორგანოების მოწყობა სოფლად გამოწვეულია აგრეთვე რეალური მოთხოვნებით, ვინაიდან წვრილი საქმეები უმეტეს შემთხვევაში ვერ აღწევენ სასამართლომდე, მათ ადგილობრივად წყვეტენ სოფლად.

ასეთი საკითხების გადასაწყვეტად სომხეთში სოფლის საბჭოებთან დაარსებულია სპეციალური სექციები, რომელშიაც შედის 5—8 კაცი. სომხეთში სულ შექმნილია 712 სასამართლო სექცია 4836 წევრით. აქედან 4.500 მამაკაცია და 243 ქალი. სექციაში შედიან საშუალო შემოსების და ღარიბი გლეხები, ასე რომ მათი სოციალური შემადგენლობა სრულიად დამაკმაყოფილებელია. თვითვე სექციაში თვითურად შემოდის 4—6 საქმე.

ჯერჯერობით სექციებისათვის დაქვემდებარებულ საქმეები ძალიან შეზღუდულია, მაგრამ სექციის პრაქტიკის ზრდის თანაბრად განზრახულია თანდათანობით გაფართოვდეს მათი ქვემდებარე საქმეების წრე.

სოხეთში სასამართლოს სექციები მოქმედებენ 6 თვე და ამ ხნის დაკვირვებამ ჩვენ დაგვარწმუნა საქმის სწორად დაყენებაში. ამვე ხნის განმავლობაში ამ სექციებმა მოიპოვეს მასის ნდობა. კულაკები გაურბიან სექციას და ცდილობენ საქმე ისე მოაწყონ, რომ იგი დაქვემდებაროს არა სექციას, არამედ სახალხო სასამართლოს.

მომხსენებლის აზრით ამ ორგანოების განაჩენის გასაჩივრება არ უნდა მოხდეს სახალხო სასამართლოში, ვინაიდან ამით დაიტვირთება ისედაც საქმეებით დატვირთული სახ. სასამართლო; სახ. სასამართლოებს უნდა დაეცისროს სექციების ინსტრუქტაჟი.

აშ. ვარძიელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ სომხეთში ახლად მოწოდებული სასოფლო სასამართლოების სტრუქტურა შეუძლებელს ხდის იუსტიციის სახ. კომისარიატისთვის ამ ორგანოების კანტროლსა და ხელმძღვანელობას, ვინაიდან ეს ორგანოები უშუალოდ დაკავშირებული არ არიან იუსტიციის სახ. კომისარიატთან. საქართველოში ჩატარებული ცდების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატმა გამოიტანა დასკვნა, რომ უკეთესია თემსაბჭოებთან მოეწყოს „მომრიგებელი სასამართლო კამერები“, რომლებიც განაჩენი საბოლოო იქნება. მომხსენებლის აზრით ასეთი კამერების მოწყობა აუცილებელია, ვინაიდან წვრილი საქმეების გასაჩივრებით დატვირთული არიან სახალხო სასამართლოები და ამ საქმეების გარჩევა გრძელდება რამოდენიმე თვე, თვით საქმე კი თავისი მნიშვნელობით მეტად მცირეა.

ზედამხედველობა მომრიგებელ სასამართლო კამერებზე ევალება სათანადო სახალხო სასამართლოს და პროკურორს, რომელთაც—თუ დაინახავენ რომ განაჩენი სწორად არ არის გამოტანილი, შეუძლიათ გააუქმონ განაჩენი და საქმე გადასცენ გასაჩივრად იმავე კამერის სხვა შემადგენლობას.

აშ. ველიბეკოვიმ მოხსენებიდან ირკვევა, რომ აზერბეიჯანის იუსტიციის სახ. კომისარიატის პროექტით განზრახულია სოფლის სიბჭოთაში მოეწყოს კომისია (სექცია); კომისიის თავმჯდომარე გამოყოფილი უნდა იქნეს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ხოლო სახალხო მსჯეულები არჩეული უნდა იქნან სოფლის ყრილობის

აზერბეიჯანის პროექტით გაფართოვებულ უნდა იქნეს კომისიისთვის დაქვემდებარებულ როგორც სამოქალაქო აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეების წრე. კომისიის განაჩენი გასაჩივრებული უნდა იქნეს სოფლის საბჭოს პრეზიდიუმში.

თათბირის მესამე სხდომაზე მოსმენილი იქნა რესპუბლიკანურ იუსტიციის სახ. კომისარიატის წარმომადგენელთა მოხსენებები სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

აშ. ველიბეკოვიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ წინედ აზერბეიჯანში მიღებული იყო სასამართლო ორგანოების იგივე სტრუქტურა, როგორც რუსეთში იყო შემოღებული სამხედრო კომისიის პერიოდის შემდეგ; ძირითადი უჯრედი—სახალხო სასამართლო, შემდეგი საფეხურის უჯრედი—საოლქო სასამართლო და უზენაესი სასამართლო.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს სისტემა არ შეეფერებოდა აზერბეიჯანის სინამდვილეს, ვინაიდან აზერბეიჯანის ადმინისტრაციულად დანაწილება არ იყო შეფარდებული ამ სისტემასთან. არსებობდა ორი საოლქო სასამართლო: ერთი ბაქოში და მეორე განჯაში. სასამართლოები მაზრებში სესიაზე გადიოდენ წელიწადში ორჯერ. ხშირი შემთხვევა იყო, რომ საქმეები მთლიანად ვერ ირჩეოდა თვითველ სესიის დროს, გრძელდებოდა წლობით და მეტი ხნითაც. ესევე სისტემა ითხოვდა დიდ ხარჯებს, როგორც თვით სასამართლოს, აგრეთვე მოსახლეობის მხრივაც. ამ სისტემის დროს პროკურატურის ზედამხედველობა შეზღუდული იყო, ვინაიდან პროკურატურა იძულებული იყო საოლქო სასამართლოსთან ყოფილიყო და პერიოდულად უყურადღებოდ დაეტოვებოდა. ასევე განუხორციელებელი რჩებოდა იურიდიული დახმარების აღმოჩენა მოსახლეობისათვის. ვინაიდან დამცველთა კოლეგიებიც საოლქო სასამართლოს ვერ დაშორდებოდენ.

რეორგანიზაციის შემდეგ სასამართლო უფრო დაუხლოვდა სოფელს, თუ წინეთ სესია მაზრებში წელიწადში მხოლოდ ორჯერ გადიოდა, ახლა მაზრიდან სესია ხშირად გადის თემებში და სოფლებში. გაცილებით შემცირდა საქმის წარმოების ხარჯი, დაჩქარდა საქმეების გარჩევა. გაფართოვდა პროკურატურის ზედამხედველობა. მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმე დასწვა.

ყველა ამ ზომებმა საგრძობლად აამაღლა სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლომ მოიპოვა უფრო მეტი გავლენა და მნიშვნელობა.

აშ. ვარძიელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის გატარებამდე იყო ერთგვარი შიში, რომ იურიდიულ ცენტრს მოწყვეტილი სამაზრო მოსამართლე ვერ შესძლებს ზოგიერთი რთული საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრას და რომ სამაზრო სასამართლო მოექცევა სამაზრო ხელისუფლების გავლენის ქვეშ; ფიქრობდენ, რომ ვერ შეესაძლებოდა სამაზრო სასამართლოებისათვის სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკთა კადრის გამინახვას, რომ რეორგანიზაცია გამოიწვევს დიდ ხარჯებს სადგომების მოწყობის მხრივ და ჩვენი მატერიალური რესურსები არ იკმარებს ამ საქმისათვის და სხვ.

მაგრამ ერთი წლის პრაქტიკამ ჩვენ დაგვანახა, რომ ეს შიში სრულიად უსაფუძვლო იყო. სამაზრო სასამართლოებმა არა თუ შესძლეს საქმის სწორად დაყენება, არამედ შესძლეს იმაზე მეტიც, არასც მათგან მოველოდით და ძველი დაწესილი საქმეებიდან განტვირთეს სასამართლო. ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ დაბრკოლებებს არ უქმნის სასამართლოს. ჩვენი სამაზრო სასამართლოები სავსებით დამაკმაყოფილებელი არიან მომხდებელი მუშაკებით. ხარჯები რეორგანიზაციის წყალობით არამც თუ არ გამოზარდა, არამედ პირიქით—მიმდინარე წლის განმავლობაში გააკეთა 80 ათასი მანეთი ეკონომია. არავითარი ნიშანი არ არის იმის, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგია მოწყდა პერიფერიას და ხალხს. უმემარტოს შემთხვევაში საკასაციო საჩივრები ადგილებიდან იგზავნებოდა ფოსტით. მომხსენებლის აზრით ჩატარებული რეორგანიზაცია არ არის საბოლოოდ დამთავრებული საქმე და ახლო მომავალში საჭირო იქნება სამაზრო სასამართლოების გადაკეთება სახალხო სასამართლოებად, ასე რომ იარსებებს სასამართლო ორი საფეხური: სახალხო სასამართლო და უზენაესი სასამართლო. მომხსენებლის საჭიროდ მიაჩნია დამცველთა კოლეგიის საკითხის განხილვა. მას საჭიროდ მიაჩნია ინდივიდუალური დაცვის ლიკვიდაცია და გადასვლა კოლექტიურ დაცვაზე, როდესაც ბრალდებული დამოკიდებული



იქნება კოლექტივზე და არა პიროვნებაზე. იგი საჭიროდ სცნობს შეიქნას ერთიანი დაწვევითა კოლექცია, რომელსაც ადგილებზე ექნება თავის ფილიალები.

ამს. ა შ რ ა ფ ი ა ნ ი ს მოხსენებიდან ირკვევა, რომ სომხეთში შემოღებულია სახალხო სასამართლოები და უზენაესი სასამართლო. უზენაესი სასამართლოს ჯერ-ჯერობით დაქვემდებარებული აქვს ზოგიერთი საქმე. რომელიც ახლო მომავალში უნდა გადაეცეს სახ. სასამართლოებს. სასამართლო აღმასრულებლების სიმცირის გამო ძალიან იგვიანებს განაჩენის აღსრულება. საგამომძიებლო აპარატი ექვემდებარება პროკურატურას. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია არსებულ დამცველთა კოლექციის გადაკეთება საბჭოთა საზოგადოებრივი დაცვის ორგანოდ და სახალხო მსაჯულების მომზადება მუშა-მოსამსახურეთა წრიდან, სასამართლოს ეს ახალი მუშაკები შემდეგში სამუშაოდ უნდა გაიგზავნოს, როგორც პროკურატურაში აგრეთვე დამცველთა კოლექციაში და სასამართლოში.

მოხსენებების რეზოლიუციის შემუშავება დაევალო წინა სხდომაზე არჩეულ კომისიას.

23 ივნისს დილით მუშაობდნენ კომისიები.

23 ივნისს, საღამოს შესდგა უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები. რეზოლიუციები განსახილველად წარედგინება ა.კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

რეზოლიუციების დამტკიცების შემდეგ თათბირი დაიხურა.

# კანონმდებლობის მიმოხილვა

## საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა

1928 წ. ივლისის 3-დან ივნისის 21-მდე.

### გადასახადები.

1928-29 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 8 დადგ., „კომუნისტი“ № 127, ივნისის 3).

მემინდერეობის შემოსავლის გამონაგარიშება უნდა სწარმოებდეს მეურნეობაში ფაქტიურად დათესილ მიწის (ნათესის) რაოდენობის მიხედვით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ფინსახკომს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა, რომ ამა თუ იმ მაზრაში ან რაიონში დაბეგვრა სახნავის მიხედვით მოხდეს.

ბოსტნების, ბაღების და ხილის ბაღებისათვის დაუბეგრავი მინიმუმად დაწესებული 60 კვ. საუ.

დამტკიცებულია სია ქალაქებისა და ქალაქის ტიპის ადგილებისა, სადაც მოსახლეობა დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

განსაზღვრულია საქართველოს შედგენილობაში შემავალ მაზრებისათვის შემოსავლიანობის მტკიცე ნორმები.

იჯარით აღებული მიწებისათვის დაწესებულია ნომინალურ ნორმასთან შედარებით 20 პროც. ნაკლები ნორმა შემოსავლიანობისა.

გადასახადით დაიბეგრება (სხვადასხვა რაოდენობით) შინამრეწველობის და ხელოსნების შემოსავალი, არასამიწადმოქმედო შრომითი და უშრომო საშოვარი და მეურნეობის გარეშე რეწვის საშოვარი.

სამარტოხელო მეურნეობისათვის, რომლის ყველა შემოსავალი 300 მან. აღემატება, დაწესებულია საპროცენტო ზედნართი სოფლის მეურნეობის შემოსავალზე სხვადასხვა რაოდენობით.

იმ ნაკლებად ღონიერ მეურნეობათა გადასახადისაგან გასანთავისუფლებლად, რომელთა შემოსავალიც რესპუბლიკანურ დაუბეგრავ მინიმუმს აღემატება, დაწესებულია სამონაკლებო ფონდი.

ფინსახკომი, დაინტერესებულ კომისარიატებთან შეთანხმებით, დაიდგენს იმ მეურნეობათა და მიწების სიას, რომელთა შემოსავალიც განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადისაგან დებულების 43 მუხ. თანხმად.

გადასახადით დაბეგვისაგან განთავისუფლებულია ყველგან ჩაის პლანტაციებით დაჭერილი სივრცე, თუთის ნარგავები და მებაღეურობის შემოსავალი.

გადასახადის შეტანისათვის დაწესებულია უკიდურესი ვადები-რომლებიც სხვადასხვა საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის.

აღსრულების განსახორციელებლად დაარსებულია სასოფლო-სა-აღსრულებო კომისიები, რომლებსაც დაკისრებული აქვს სასოფლო სის შედგენა, საშემოსავლო წყაროთა და მჭამელთა აღსრულება და წინასწარ განსაზღვრა თვითველ მეურნეობის არასამიწადმოქმედო შემოსავლის რაოდენობისა, ხოლო გადაზღვრულთა დასაბეგრი შემოსავლის და გადასახადის განაკვეთის გამონაგარიშება და საშენაწრო ფურცლების და პირადი ანგარიშების შედგენა დაკისრებული აქვს საფინგანყოფილებას.

სამაზრალმასკომთან მოეწყობა საგადასახადო კომისია, რომელიც გადასწვეტს საკითხს ღირებ მეურნეობათა არასამიწადმოქმედო შემოსავლის გადასახადით დაბეგვისაგან განთავისუფლების შესახებ, განთავისუფლებს ფონდების ხარჯზე გადასახადისაგან ნაკლებად ღონიერ მეურნეობათ და სხვ..

### ადგილობრივი.

ქალაქებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალის შექმნის შესახებ (საქ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 9 დადგ. „კომუნისტი“ № 130, ივნისის 7.).

ქალაქებში ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენილობაში შეიქმნება საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალები, რომლებიც უნდა იზარჯებოდეს მუნიციპალიზაციამნილი საბინაო ფონდის მოსავლე-ლად, შესაკეთებლად და აღსადგენად და აგრეთვე ახალი საცხოვრებელი სახლების ასაგებად.

ეს სპეციალური კაპიტალები შესდგება იმ საცხოვრებელი სადგომების წმინდა შემოსავლით, რომელთა ექსპლოატაციასაც უშუალოდ ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებანი ეწვეიან, საბინაო-საიჯარო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სახლების წმინდა შემოსავლით და სხვ..

ამა დადგენილების შესაფარდებლად ფინსახკომმა, შრომის სახ. კომისარიატსა და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, უნდა შეამუშაოს და გამოცეს ინსტრუქცია ორი კვირის განმავლობაში.

### შ რ მ ა.

ყრილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთა საწარვლინებო სარგოს შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1928 წ. აპრილის 18 დადგ. № 21, „კომუნისტი“, № 138, ივნისის 16.).

გამოცემულია თანახმად ამ.-კავკ. ც. ა. კ-ის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგენილებისა (იმავე სახელწოდებისა).

დადგენილებაში დაწვრილებით გათვალისწინებულია იმ ხარჯების ანაზღაურების წესი, რაც დაკავშირებულია წასვლა-მოსვლასთან საბჭოთა ყრილობაში, კონფერენციაში, აღმასკომის სესიაში და სხვ. მონაწილეობის მიღებასთან,—სარგოს რაოდენობა და მიღების წესი. კმაყოფის და ბინის ნატურით ან ფულად მიღებისა და სხვ.

საზომ-საწონთა პალატისათვის მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში დანხარების გაწვევის შესახებ. (საქ. ს. კ. ს-ის ცირკულარი, „კომუნისტი“, 1928 წ. № 142, ივნისის 21).

მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს და საფინანსო, სატენიკო, სასანიტარო და ვაჭრობის ინსპექციას ევალებათ ამ ინსტრუქციით სთანადო დანხარება გაუწიონ საზომ-საწონთა პალატას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში.

გ. ქ.

### რედაქციისაგან.

მიუხედავთ იმისა, რომ ჩვენი ჟურნალის მეცამეტე ნომერი იბეჭდება გადიდებული ფორმით (30 გვ), ტენიკური დაბრკოლებების გამო დამზადებული მასალა გადაიდო შემდეგი ნომრისათვის.



# ქვეყნის სახელმწიფო აქტების კრებული



ქვეყნის სახელმწიფო  
არქივი

შინაარსი: იუსტიციის სახ. კომისარიატის ცირკულარი № 11. — ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პლენუმის სხდომის ოქმებიდან.

## იუსტისსაქმის ცირკულარები

## ამონაწერი

ცირკულარი № 11.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის სხდომის  
1928 წ. 1—2 ივნისის ოქმიდან.

ყველა პროკურორებს.

გორის სამაზრო სასამართლოს ამხ. გასიევის მოხ-  
სენება გორის მაზრაში იუსტიციის მუშაობის შესახებ.

ახლი: აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის  
რესპუბლიკის პროკურორებს.

„საქართველოს შრომის სახკომისარიატის და სამეურ-  
ნეო ორგანიზაციების შორის შრომის პირობების გაჯან-  
საღებისათვის დადებულ ხელშეკრულებების შესრუ-  
ლებაზე მეთვალყურეობის შესახებ“.

1. თავის მოხსენებაში ამხანაგი გასიევი შეგნო გორის მაზრის  
სასამართლოს საქმიანობას; სასამართლოს ორგანოებში ტექნიკური  
თანამშრომლების შემადგენლობას; ბრალდებულთა ინსტიტუტის  
საკითხს საჩვენებელ პროცესებთან და გამსვლელ სესიების მუშაო-  
ბასთან დაკავშირებით, იურიდიულ ბიუროს მუშაობას მაზრაში; სა-  
ადგილ-მამულო სასამართლოს საქრებულოების მუშაობას; თემ-ალ-  
მასკომების მუშაობას ხე-ტყის საქმეების განხილვის დარგში და მაზ-  
რის მოსამართლის, როგორც უზენაეს სასამართლოს რწმუნებულის,  
მუშაობას გორის მაზრაში და მოახსენა პლენუმის სხდომას შემ-  
დეგი.

შრომის პირობების გაჯანსაღების და შრომის დაცვის დარგ-  
ში ღონისძიებების გეგმიურად შესრულების მიზნით სსრკ შრომიკ  
სახკომისარიატის და ს. მ. უ. ს. მიერ 1926 წ. აგვისტოს 21-ს თა-  
რილით გამოცემულ ცირკულარის თანახმად (გამოქვეყნებული სსრკ  
შრომის კომისარიატის „მოამბე“-ში №31—1926 წ.) შემოღებული  
იყო პრაქტიკა ხელშეკრულებების დადებისა შრომის კომისარიატის  
და სამეურნეო ორგანოების შორის. ზოგიერთ შემთხვევაში სამეურ-  
ნეო ორგანიზაციები არ ასრულებენ აღნიშნულ ხელშეკრულებებით  
თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს და აღნიშნულ ღონისძიებე-  
ბის ცხოვრებაში გატარებისათვის დანიშნულ ფულს ხარჯავენ სხვა  
საჭიროებისათვის.

1. სანაგარიშო ხნის განმავლობაში, ე. ი. 1 დეკემბრიდან  
1927 წლისა, რა რიცხვიდანაც სასამართლოს დაუწყია მუშაობა 1  
მაისამდე 1928 წ. ადგილობრივ შემოსულა სისხლის სამართლის 132  
და სამოქალაქო კი 13 საქმე და ოქმის სასამართლოდან ს. ს. საქმე  
322 და სამოქალაქო 10, ასე რომ წარმოებაში ყოფილა სულ 353  
საქმე სისხლის სამართლის და სამოქალაქო —23, მათ შორის განხი-  
ლული და დამთავრებულია სისხლის სამართლის 84 საქმე, გადაცე-  
მულია ხელახლა გამოსაძიებლათ 8 საქმე; სამოქალაქო საქმიდან  
დამთავრებულია 2, დარჩა წარმოებაში 1 მაისისათვის 1928 წლისა  
სისხ. სამ. საქმე 269 და სამოქალაქო 21, გარდა ზემოაღნიშნულის  
საქმეებისა შემოსულა აგრეთვე საადგილ-მამულო-საკასაციო საქმეები  
—სულ 384. მათ შორის განხილულია 34 და მოსაპობილია წარმოე-  
ბით 105, დარჩენილია წარმოებაში 245 საადგილ-მამულო საკასა-  
ციო საქმეები.

მივიღო რა მხედველობაში, რომ ხსენებულ შრომის სახკომი-  
სარიატის და ს. მ. უ. ს. ცირკულარით (მე-7-ე მუხლი) ამგვარ  
ხელშეკრულების შესრულებლობისათვის გათვალისწინებულია პასუ-  
ხისგება სისხლის სამართლის წესით საქართ. იუსტიციის სახ. კომი-  
სარიატი წინადადებას გაძღვეთ:

განხილულ საქმეებში ჰქონდათ ადგილი სისხ. სამ. კოდ. შემ-  
დეგ მუხლებს: ა) 146 მ.—8 საქ., ბ) 147 მ.—3 საქმეს, გ) 148 მ.—  
2 საქმეს, დ) 116 მ.—3 საქმეს, ე) 111—112 მ.—4 საქმეს, ე) 119 მ.—  
4 საქმეს, ვ) 191 მ.—1 საქ., თ) 108—109 მ.—2 საქ., ი) 166—173  
მ.—3 საქ., კ) 188 მ.—1 საქმე, ლ) აღნიშნულ საქმეებზე სოციალურ  
დაცვის ღონისძიება იქმნა მიღებული ბრალდებულთა მიმართ; ორ  
საქმეზე უმაღლესი სასჯელი დახრეტა, —აწინსტიის შეუარდებით  
კი 10 წლის თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 2 ბრალ.,  
8 საქმეზე 8 წლ. თავისუფლ. აღკ. სასტიკი იზოლ.—8 ბრალდ., 3  
საქმეზე 5 წლ. თავისუფ. აღკ. სასტიკი იზოლ. 3 ბრალდ., 1 საქმეზე  
უმაღლესი სასჯელი უაწინსტიოთ 10 წ. ე.—1 ბრალდ., 4 საქმეზე  
3 წლ. თავისუფლ. აღკ. სასტიკი იზოლ. 4 ბრალდ., 1 საქმეზე 6 წლ.  
თავისუფლ. აღკ. სასტიკი იზოლიაც. 2 ბრალდ., 3 საქმეზე 1 წლ.  
თავისუფლ. აღკ. სასტიკი იზოლ. 2 ბრალდ., 1 საქმეზე 4 წლ. თა-  
ვისუფლ. აღკ. სასტიკი იზოლ. 1 ბრალდ., 2 საქმეზე 6 თვით თა-  
ვისუფ. აღკ. უიზოლიაციოთ 4 ბრალდ., 1 საქმეზე 3 წლ. თავისუფ.  
აღკ. უიზოლიაციოთ 1 ბრალდ., 1 საქმეზე გამართლებული 2 ბრალ-  
დებულნი.

1) შემოღებულ იქნეს, როგორც წესი შრომის ინსპექციის მო-  
ხსენება შრომის საქმეთა პროკურატურისათვის სამეურნეო ორგანი-  
ზაციების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, რო-  
გორც შრომის დაცვის, აგრეთვე შრომის პირობების გაჯანსაღების  
დარგში.

2) სამეურნეო ორგანოების მიერ შრომის სახ. კომისარიატთან  
დადებულ ხელშეკრულების შესრულებლობის შემთხვევაში პროკუ-  
რატურამ (შრომის სახკომისარიატის ადგილობრივ ორგანოებთან  
შეთანხმებით) უნდა აღძრას დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სა-  
მართლის საქმე.

უკეთეს გამოძიების დროს გამოირკვევა, რომ ადგილობრივ  
სამეურნეო ორგანოების მიერ ხელშეკრულების შესრულებლობა  
გამოწვეულია მათი ცენტრალურ სამმართველოს დანაშაულით (ტრე-  
სტების გამგებობა და სხვა) პროკურატურა ვალდებულია მთელი მა-  
სალა გადაუგზავნოს ადგილობრივ პროკურატურას, სადაც იმყოფება  
ცენტრალური სამმართველო, რაც უნდა ეცნობოს შრომის საქმეთა  
გროკურორს უზენაეს სასამართლოსთან.

სასამართლოს დატვირთვის მთავარი მიზეზია შემოსულ საქ-  
მეების დიდი რიცხვი, რომელთა განხილვას საქმეთა სირთულის გა-  
მო ერთი მოსამართლე ვერ შესძლებს.

3) სამეურნეო ორგანიზაციების წინააღმდეგ ხელშეკრულებით  
აღებულ ვალდებულებათა შესრულებლობისათვის, სისხლის სამარ-  
თლის საქმის აღძრის ყველა შემთხვევები უნდა ეცნობოს შრომის  
საქმეთა პროკურორს უზენაეს სასამართლოსთან.

მომხსენებელს მიუღია ზომები მკვლელობის შესახებ საქმეების  
სასწრაფოთ განსახილველად, რაც წარჩინებულათ ჩაუტარებია, ასე  
რომ აღნიშნული საქმეები წარმოებაში ყოფილა მეტად მოკლე ხნის  
განმავლობაში. მისი აზრით ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება,  
რომ ამ უკანასკნელ ხანებში მკვლელობის შესახებ საქმეების რიცხვი  
მცირდება, დაუმთავრებელი საქმეები ყველა დანიშნულია ა.წ. 1  
სექტემბრამდე და თავისუფალი დღე არ ყოფილა ახლად შემოსულ  
საქმეების დასანიშნავათ, ასე რომ ახალი საქმეები უნდა დაინიშნოს  
მხოლოდ 1 სექტემბრის შემდეგ, დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს,  
რომ უკანასკნელ ხანებში ხშირია რკინის გზებზე წვრილი ბოროტ-  
მოქმედებების შემთხვევა, რაც გამოიხატება მასში, რომ თანამშრომ-

საქ. იუსტიციის სახ. კომისარის მოადგილე და რეს-  
პუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე — ა. ურუშაძე.

შრომის საქმეთა პროკურორი უზენაეს სასამართ-  
ლოსთან — ამიროვი.

1928 წ. ივნისის 25.



ლები ამზადებენ ყალბ ქვითარებს; ამის წინააღმდეგ მიღებული სა-  
თანადო ზომები და მომხსენებელი იმედოვნებს, რომ მიღებუ-  
ლი ზომები მიზანს მიაღწევს და ბოროტმოქმედებს მოსპობს.

**მომხსენება მიღებულ იქნეს ცნობად და გორის  
მაზრის სასამართლოს განსაკვირთავად მივლინებულ  
იქნეს სასამართლოში სამი თვის ვადით დასახმარებ-  
ლად ერთი წევრი.**

II. სასამართლო ორგანოებში მომუშავე ტენიკური თანამ-  
შრომლები, მომხსენებლის აზრით ვერ დგანან სასურველ დონეზე,  
ბევრი მათგანი მოუშადადებელია, ზოგიერთნი კი, თუმცა მცოდნე და  
მომზადებული არიან, მაგრამ ვერ აქვთ შეგნებული თავიანთი მოვა-  
ლეობა და ხშირად გლეხებს და სხვ. ვისაც აქვს საქმე სა-  
სამართლოში, ექცევიან უხეშად; მომხსენებლის მიერ შემჩნეული  
ყოფილა, რომ სასამართლოს მდივანს გაუჭიანურებია საქმეზე უბრა-  
ლო ცნობის მიცემა და მით შევიწროება მიუყენებია გლეხისათვის.

**დაევალოს მაზრის და უბნის სახალხო სასამართ-  
ლოებს გადათვალთვალონ ტენიკური თანამშრომლების  
შტატი და მათ შორის თანამდებობისადმი შეუფერებელ-  
ნი მოხსნან.**

III. სასამართლო გლეხების ფართო მასასთან დასაკავშირებ-  
ლად და აგრეთვე საქმეების მომარჯვებულად განხილვის მიზნით  
ნიშნა და საქმეებს განსახილველად ბოროტმოქმედების ჩადენის ად-  
გილზე და ამ გვარად აწყობდა გასულ სესიებს წითელ ქალაქში,  
მეჯვრისხევში, ქარელში, ბორჯომში, სურამში, ყვავში და გორში კი  
ნიშნავდა საჩვენებელ პროცესებს, —სამგზავრო ხშირად ხარჯების  
სიძვირის გამო სასამართლოს უხდებოდა ფეხით სიარული და ად-  
გილობრივ საქმის განხილვა პროკურორის დაუსწრებლად. საქმეზე  
საზოგადო ბრალმდებელი არ გამოსულა, ვინაიდან მაზრაში საზო-  
გადო ბრალმდებელთა ინსტიტუტი არ არსებობს.

**დაევალოს მაზრის სასამართლოებს პროკურორებ-  
თან შეთანხმებით მოაწყონ მაზრაში საზოგადო ბრალ-  
მდებლების ინსტიტუტი და ფართოდ შემოიღონ საზო-  
გადო ბრალმდებლების მონაწილეობით საქმის განხილ-  
ვა; ეთხოვოს რესპუბლიკის პროკურორს გასცეს სათა-  
ნადო ცირკულარი მაზრის პროკურორისადმი.**

IV. იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად არის ბიურო გორ-  
ში და ბორჯომში, მაგრამ როგორც მუშაობენ და რამდენათ თვალ-  
საჩინო დახმარებას უწევენ აღნიშნული ბიუროები ფართო მასას  
მომხსენებელმა არ იცის; ქოხ-სამკითხველობთან იურიდიული ბიუ-  
როების დაარსებას არ შეეცდია, თუმცა ასეთების გლეხობისათვის  
დიადი მნიშვნელობა კარგათ ესმის მაგრამ ამ ფრთად მნიშვნელოვან  
დარგში არაფერი გაუკეთებია დროს უქონლობისა გამო.

**დაევალოს მაზრის მოსამართლეებს პროკურორებ-  
თან შეთანხმებით მოაწყოს ქოხ-სამკითხველობთან ბიუ-  
რო ფართო მასისათვის იურიდიული დახმარების აღმო-  
საჩენათ, —ამ საკითხის მოსაგვარებლად ეთხოვოს რეს-  
პუბლიკის პროკურორს გამოსცეს სათანადო ცირკულა-  
რი პროკურორებისადმი.**

V. საადგილ-მამულო სასამართლოს საკრებულოში, როგორც  
მაზრისა, ისე უბნის მუშაობა ნორმალურად არ მიდის, უბნის საად-

გილ-მამულო საკრებულოები მოკლებული არიან ხელმძღვანელობას  
და ამიტომ მათ წარმოებაში ხშირია კანონების უხეშად დარღვევა,  
მაზრის საადგილ-მამულო საკრებულოს მუშაობას აფერხებს უმთავ-  
რესად ის გარემოება, რომ აღმასკომის და მაზრის საადგილ-მამულო  
კომიტეტის წარმომადგენელი გულგრილად ექცევიან თავიანთ მო-  
ვალეობას, —აღმასკომის საადგილ-მამულო ქვეგანყოფილების გამგე  
საკრებულოს არ ესწრება და ამიტომ საკრებულო იძულებულია და-  
უშვას შემადგენლობაში ქვეგანყოფილების გამგის მაგიერ მისი თა-  
ნაწრომელი, ამაზე საადგილ-მამულო საბჭოსათვის არ უცნობებია  
დროის უქონლობისა გამო.

**საადგილ-მამულო საქმეები განსახილველად გა-  
დაეცეს საერთო სისტემის სასამართლოებს და ეს საკით-  
ხი საბოლოოდ გადასაჭრელად გადაეცეს იუსტიციის  
კომისარიატს.**

VI. უაუგეშო მდგომარეობაში ყოფილა მომხსენებლის სიტ-  
ყვით ხე ტყის საქმეები, თემალმასკომები დატვირთული ყოფილან  
თავიანთ საქმეებს და სატყეო საქმეების სრულებით ყურადღებასაც  
არ აქცევენ, ერთ-ერთ თემში მოსამართლეს აღმოუჩენია სატყეო საქ-  
მეები სამკითხველოს შენობაში, რასაკვირველია უმოძრაოდ შენახუ-  
ლი, —ოქმების დაგროვება გლეხებს აკადნიერებს და ტყის გაჩეხა-  
ლებულობს ეპიდემიურ ხასიათს.


**ეცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომ  
ხე-ტყის საქმეების მოსაგვარებლად მიწად-მოქმედების  
კომისარიატთან შეთანხმებით მიღებულ იქნეს ვადამ-  
ჭრელი ზომები, ვინაიდან ტყის გამჩეხლების მიმართ  
მიღებული რეპრესიები მიზანს ვერ აღწევს და ტყეები  
კი ნადგურდება.**

VII. მომხსენებელს დაუთვალთვალებია გორის და ბორჯომის  
უბნების სასამართლოების სასამართლოს აღმასრულებლების და მც-  
რეწლოვანთა სამაზრო კომისიის წარმომებები; გორის სამაზრო და  
უბნის სახალხო სასამართლოები და პროკურატურა მოთავსებულია  
ერთ შენობაში; შენობას ესაჭიროება გადაკეთება, ვინაიდან ვერ არის  
ოთახებად სათანადოდ დაყოფილი; სასამართლოებს არ აქვს საკი-  
რო ინვენტარი, ექსპერტების და მსაჯულებისათვის და აგრეთვე საგზაო  
ხარჯების დასაფარავათ ავანსები მეტად მცირეა; სასამართლოს აღმას-  
რულებელს აღმოაჩნდა ბევრი შეუსრულებელი აღმასრულებელი ფურ-  
ცელი, რომელთა უმეტეს პროცენტს შეადგენს სახელმწიფო დაწესებუ-  
ლებების წინააღმდეგ გაცემული ფურცლები. —მაზრის მცირე წლო-  
ვანთა კომისია მუშაობა გორში; მომხსენებელს დაუთვალთვალებია კა-  
მისიის დადგენილებები და აღმოუჩენია, რომ მხოლოდ რეციდივებზე  
აღბრული საქმეები გადაუციათ სასამართლოებისათვის; მომხსენ-  
ებელს აქტიური მონაწილეობა მიუღია მსაჯულობის არჩევაში და  
კომპანია ჩაუტარებია სასურველად; დასასრულ მომხსენებელი აღ-  
ნიშნ ვს, რომ მაზრაში ბევრი რამ არის გაუკეთებელი, მაგრამ მე-  
ტის გაკეთება ვერ შესძლო დროის უქონლობისა გამო.

**დაევალოს ყველა მაზრის მოსამართლეებს, რო-  
გორც უზენაეს სასამართლოს რწმუნებულებს, შეასრუ-  
ლონ რწმუნებულების ყველა ის მოვალეობანი, რაც გა-  
თვალისწინებულია ს. ს. ს. რ. ცაკის 1927 წ. ოქტომ-  
ბრის № 90. დადგენილების მე-9 მუხლით.**

გამომცემელი:

სამ. ს. ს. რ. იუსტიციის  
სახალხო კომისარიატი



პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი.

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ა. ურუშაძე,  
ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, ს. ჯაფა-  
რიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.



# ИЗДАТЕЛЬСТВО НКЮ ССР ГРУЗИИ

ВЫШЛО ИЗ ПЕЧАТИ И ПРОДАЕТСЯ

**РУКОВОДСТВО** для работников Суда. Финорганов,  
а также для плательщиков:

**„ДЕЙСТВУЮЩЕЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО** о порядке  
перехода и обложения налогом имуществ, переходящих  
по наследованию и дарению“

ЦЕНА 70 КОП.

Составлено сотрудником НКФ ССРГ И. ПАИЧАДЗЕ.

СКЛАД ИЗДАНИЯ: Трибунальная, 32. Издательство НКЮ. В розницу продается  
в магазинах госиздата РСФСР и Заккниги.

საქართველოს ს. ს. რ. იუსტისსისტემის გამომცემლობა

დაიბეჭდა

საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის კო-  
დექსის 180—205<sup>1-8</sup> მუხლების კომენტარი

„ნ ა ს უ ი ლ მ ბ ა“

—კომენტარი იუსტისსისტემის საკანონმდებლო განმარტების  
წიგნ-კონსულტანტის—

ა. ალხოვისა.



# სახალხო სასამართლოების და სახალხო გამოამიებლების საყოველთაოდ

ექსპედიციის რეგულირული მიზნით „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია სთხოვს  
სახალხო სასამართლოებს და სას. გამოამიებლებს, რომლებმაც მიიღეს ჩვენი  
ქურნალის კომპლექტები ფასდაღებით და გამოამიედეს—ამის შესახებ სასწრაფოდ  
აცნობონ რედაქციას.

## მიიღება ხელისმომწერა მთლიან ნაგავარიფლიანთათვის

ქურნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ივლისიდან 1929 წ. 1 იანვრამდე

ხელისმომწერის ფასი: 6 თვით—5 მან. 50 კ. 3 თვით—3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელის მოწერა არ მიიღება.

რადიკალური შიიკლება აბრკათვა შიიკანა ა. წ. 1 იანვრიდან ყველა  
გამოსული ნომერიდან.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ სამხსრო სასამართლოებს, რომელთაც მოე-  
პოვებათ პირველი და მეხსრა ნომერი გაუეიდველი სასწრაფოდ გადმოკხვანონ  
უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 „საბჭოთა სამართ-  
ლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10—51.